

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2010, # 9

## ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო პ რ ო ც ე ს ი

1. დამატებითი გადაწყვეტილება
2. გადაწყვეტილების (განჩინების) განმარტება
3. აღსრულება
  - გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განაწილვადება
  - გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა
  - განჩინების აღსრულების განახლება
  - მხარეთა მორიგება
4. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში
  - სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსი
  - სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის თავიდან გადაწყვეტა
  - სააპელაციო საჩივრის ფარგლები
5. გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები
6. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება
  - კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
  - საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება
7. საქმის წარმოების განახლების საფუძვლები
  - ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება
  - საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება

## 1. დამატებითი გადაწყვეტილება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

(დამატებითი გადაწყვეტილება)

#ას-856-1142-09

4 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი

დავის საგანი სარჩელში: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2000 წლის 3 იანვარს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ჟ. ო-იამ მოპასუხეების -თ. და მ. ბ-იების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ბინის ნასყიდობის თანხის -60 000 აშშ დოლარის მოპასუხეთათვის დაკისრება. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და შეგებებული სარჩელი წარადგინეს იმავე სასამართლოში. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით ჟ. ო-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -თ. და მ. ბ-იებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 37 200 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო 22 800 აშშ დოლარის მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლო გადაწყვეტილებები მხარეების მიერ არაერთხელ იქნა გასაჩივრებული. ამასთან, 2002 წლის 1 აპრილს თბილისის საოლქო სასამართლოში მოპასუხეებმა წარადგინეს დაზუსტებული შეგებებული სასარჩელო განცხადება.

2003 წლის 4 ივლისს ჟ. ო-იამ დავის საგნის გადიდების თაობაზე განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტის -82594 აშშ დოლარისა და თავდაპირველი მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილის -22800 აშშ დოლარის მოპასუხეებისათვის დაკისრება. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 8 ივლისის საოქმოდ განჩინებით ჟ. ო-იას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საბოლოოდ დავის საგნის ოდენობა 105394,52 აშშ დოლარით განისაზღვრა. მიღებული გადაწყვეტილებები მხარეების მიერ ასევე არაერთხელ იქნა გასაჩივრებული სხვადასხვა ინსტანციაში.

2006 წლის 24 ოქტომბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: თ. და მ. ბ-იების შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ჟ. ო-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -თ. და მ. ბ-იებს ჟ. ო-იას სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 53866 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში ჟ. ო-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ. და მ. ბ-იებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის განჩინებით თ. და მ. ბ-იების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება თ. და მ. ბ-იების შეგებებული სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით თ. და მ. ბ-იების შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა -ჟ. ო-იას თ. და მ. ბ-იების სასარგებლოდ დაეკისრა 69000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. და თ. ბ-იებისათვის ჟ. ო-იას სასარგებლოდ დაკისრებული 53866 აშშ დოლარი გაიქვითა 69000 აშშ დოლარის ანგარიშში და საბოლოოდ ჟ. ო-იას მ. და თ. ბ-იების სასარგებლოდ დაეკისრა 15134 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ჟ. ო-იამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინებით ყ. ო-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ბ-იას და მ. ბ-იას შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა -ყ. ო-იას დაეკისრა თ. ბ-იას და მ. ბ-იას სასარგებლოდ 69000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. და თ. ბ-იებისათვის ყ. ო-იას სასარგებლოდ დაკისრებული 53866 აშშ დოლარი გაიქვითა 69000 აშშ დოლარის ანგარიშში და ყ. ო-იას მ. და თ. ბ-იების სასარგებლოდ დაეკისრა 15134 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. ყ. ო-იას დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 1725 აშშ დოლარისა და 3450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 5 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და თ. ბ-იას საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს თბილისში, ... ქ.#10-სა და ... ქ. #12-ში მოეხსნა ყადაღა.

მითითებული გადაწყვეტილება ყ. ო-იას მიერ გასაჩივრებულ იქნა საკასაციო საჩივრით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით ყ. ო-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. და მ. ბ-იების შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ყ. ო-იას დაეკისრა თ. და მ. ბ-იების სასარგებლოდ 55231 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

აღნიშნული თანხიდან გაიქვითა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. და თ. ბ-იებისათვის ყ. ო-იას სასარგებლოდ დაკისრებული 53866 აშშ დოლარი და ყ. ო-იას მ. და თ. ბ-იების სასარგებლოდ დაეკისრა 1365 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. ამასთან, თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 5 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა და ყადაღა მოეხსნა თ. ბ-იას საკუთრებაში არსებულ, ქ.თბილისში, ... ქ.#10-სა და ... ქ.#12-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს.

გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში ყ. ო-იამ საკასაციო სასამართლოს მომართა განცხადებით და მოითხოვა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა და აღსრულების შეჩერება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ყ. ო-იას განცხადება სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მის მიერ წარმოდგენილ სასამართლო ხარჯების გაანგარიშების წესსა და აღსრულების შეჩერების შესახებ მოთხოვნას უარი უნდა ეთქვას შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი განსაზღვრავს მხარეთა შორის ხარჯების განაწილების წესს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს -სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

მითითებული ნორმის დათქმიდან გამომდინარე, ესა თუ ის მხარე შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ იმ სასამართლო ხარჯებიდან, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა იქნეს შეტანილი. მაგრამ მხარე არ შეიძლება გათავისუფლდეს ხარჯებისაგან, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ უნდა იქნეს გადახდილი. ამრიგად, თუ მოსარჩელემ შეიტანა სახელმწიფო ბაჟი და

სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მისი სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, მაშინ ამ ხარჯის გადახდა იმ ოდენობით, რაც მოსარჩელემ შეიტანა სახელმწიფო ბაჟის სახით (აგრეთვე – სხვა ხარჯები), დაეკისრება მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია თუ არა იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, რომ მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილება, კერძოდ, ერთი მხარის მიერ გაწეული ხარჯების მეორე მხარეზე გადაკისრება უნდა მოხდეს სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც დააკმაყოფილა ან რომელზეც უარი უთხრა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას იგი შესაბამისად შეცვლის ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო მოახდენს ყველა იმ ხარჯის გაანგარიშებას, რაც მხარემ გასწია სასამართლოში. აქ იგულისხმება არა მხოლოდ კონკრეტულად გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოში გაღებული ხარჯი, არამედ მთლიანად სასამართლოს ყველა ინსტანციაში გაწეული ხარჯები.

დადგენილია, რომ საქმის განხილვისას ძირითად სარჩელში მოსარჩელის -ჟ. ო-იას სასარჩელო მოთხოვნა შეადგენდა 105394,52 აშშ დოლარს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. და თ. ბ-იებს ჟ. ო-იას სასარგებლოდ დაეკისრათ 53866 აშშ დოლარი.

მითითებული გადაწყვეტილებით, მოსარჩელე ჟ. ო-იას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ჟ. ო-იას, როგორც მოსარჩელეს, მიერ 2006 წლის 24 ოქტომბრამდე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, რომელთა ოდენობაც შეადგენს 4030 ლარს, უნდა აუნაზღაურდეს დაკმაყოფილებული სარჩელის პროპორციულად.

დადგენილია, რომ 105394,52 აშშ ლარის მოთხოვნიდან სარჩელი დაკმაყოფილდა 53866 აშშ დოლარით, შესაბამისად, დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულობაც აქედან უნდა გაანგარიშდეს ( $53866/105394,52 \times 100=51,1\%$ ), ამდენად, 53866 აშშ დოლარი შეადგენს 105394,52 აშშ დოლარის 51,1%-ს, რაც ნიშნავს, რომ სარჩელი დაკმაყოფილდა 51,1%-ით და, შესაბამისად, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -4030 ლარი უნდა გაანგარიშდეს დაკმაყოფილებული სარჩელის ნაწილიდან -51,1%-დან, რაც შეადგენს 2059 ლარს და რომელიც მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოპასუხეს, მიუხედავად იმისა, განთავისუფლებულია თუ არა იგი სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

პალატის მიერ ასევე დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიღებამდე, მოსარჩელეს სამართალწარმოების გარკვეულ ეტაპებზე, შესაბამის ინსტანციებში არაერთხელ გადაედო სახელმწიფო ბაჟის გადახდა, რომელთა ოდენობამაც შეადგინა 10340,64 ლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლი ცალსახად ადგენს სახელმწიფოსათვის სასამართლო ხარჯების ანაზღაურების წესს. მითითებული ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, ხოლო მოპასუხე გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასამართლოს მიერ საქმის განხილვისასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდება მოსარჩელეს, რომელიც არ არის გათავისუფლებული სასამართლოს ხარჯების გადახდისაგან, სასარჩელო მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომლის დაკმაყოფილებაზედაც მას უარი ეთქვა.

დადგენილია, რომ სასარჩელო მოთხოვნას შეადგენდა 105394,52 აშშ დოლარი და სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -53866 აშშ დოლარით. შესაბამისად, დაუკმაყოფილებელ ნაწილს შეადგენს (105394,52-53866) 51528,52 აშშ დოლარი. ამდენად, მითითებული ნორმის თანახმად, ვინაიდან მოპასუხე სასამართლოს მიერ გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, მოსარჩელეს მის მიმართ სასამართლოს მიერ გადადებული სახელმწიფო ბაჟი უნდა დაეკისროს სარჩელის დაუკმაყოფილებელი ნაწილის -51528,52 აშშ დოლარის პროპორციულად. ზემოხსენებულიდან გამომდინარე სარჩელი არ დაკმაყოფილდა ( $51528,52/105394,52 \times 100=48,9\%$ ) 48,9%-ით, საიდანაც პროპორციულად უნდა გაანგარიშდეს სასამართლოს მიერ გადადებული სახელმწიფო ბაჟის პროპორციულობა, ეს კი შეადგენს ( $10340,64 \times 48,9/100=5056,6$ ) 5056,6 ლარს, რომელიც უნდა დაეკისროს მოსარჩელეს.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ -53866 აშშ დოლარით დაკმაყოფილებული სარჩელიდან გამომდინარე, სასამართლო ხარჯების გაანგარიშებით, მოსარჩელე ჟ. ო-იას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 5056,6 ლარის გადახდა.

რაც შეეხება თ. და მ. ბ-იების შეგებებულ სარჩელს, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ

დაკმაყოფილდა და მოპასუხეს შეგებულ სარჩელში გადასახდელად დაეკისრა 55231 აშშ დოლარი.

დადგენილია, რომ შეგებული სარჩელის სხვადასხვა სასამართლო ინსტანციებში განხილვისას მოპასუხემ შეგებულ სარჩელში  $\varphi$ . ო-იამ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადა 6903,16 ლარი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხარეთა შორის ხარჯების განაწილების წესი განისაზღვრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე. ზემოხსენებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, მოპასუხეს თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ ნაწილის პროპორციულად, რომლითაც მოსარჩელეს ეთქვა უარი. ვინაიდან მოსარჩელეებს უარი ეთქვათ  $(69000-55231=13769)$  13769 აშშ დოლარის დაკმაყოფილებაზე, პროპორციულად რაოდენობაც სწორედ აქედან უნდა იქნეს გამოანგარიშებული. 13769 აშშ დოლარი 69000 აშშ დოლარის 20%-ია. ე.ი. მოსარჩელეებს შეგებულ სარჩელში უარი ეთქვათ სასარჩელო მოთხოვნის თანხის 20%-ზე. შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 6903,16 ლარი უნდა გაანგარიშდეს 20%-თან მიმართებით, რაც შეადგენს 1380,6 ლარს, რომელიც უნდა დაეკისროს მოსარჩელეებს შეგებულ სარჩელში მოპასუხის  $\varphi$ . ო-იას სასარგებლოდ.

რაც შეეხება შეგებული სარჩელის განხილვისას  $\varphi$ . ო-იას მიერ გადაუხდელი სახელმწიფო ბაჟების ოდენობას, მან მთლიანად შეადგინა 4771,21 ლარი. აღნიშნული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ასევე პროპორციულად უნდა იქნეს გადახდილი, მაგრამ მხოლოდ მოპასუხის  $\varphi$ . ო-იას მიერ. კერძოდ, მოპასუხე  $\varphi$ . ო-იას ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრება  $(4771,21 \times 80\% = 3816,97)$  3816,97 ლარის გადახდა.

დადგენილია ასევე, რომ სამართალწარმოებისას მოსარჩელეები შეგებულ სარჩელში თავისუფლდებოდნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, კერძოდ, თ. ბ-ია კანონისმიერი საფუძველით, ხოლო მ. ბ-ია, სასამართლოს მიხედულებით ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით. ასევე, დადგენილია, რომ მ. ბ-იას საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ საკასაციო ინსტანციაში გადაედო სახელმწიფო ბაჟის -2693,3 აშშ დოლარის გადახდა. შესაბამისად, სახელმწიფოსათვის ხარჯების ანაზღაურება უნდა განისაზღვროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადებისა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლის სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილებისათვის დადგენილი საერთო წესების გათვალისწინებით. კერძოდ, მოსარჩელეთა სასარგებლოდ სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადადებული სახელმწიფო ბაჟი უნდა დაეკისროს მოპასუხეს სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული. ვინაიდან შეგებული სარჩელი დაკმაყოფილებულია 80%-ით, გადადებული სახელმწიფო ბაჟი 2693,3 აშშ დოლართან მიმართებით პროპორციულად შეადგენს 2154,64 აშშ დოლარს, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა გადახდეს მოპასუხეს შეგებულ სარჩელში  $\varphi$ . ო-იას, ხოლო დაუკმაყოფილებელ ნაწილზე, რაც შეადგენს 20%-ს, უნდა გადახდეს მოსარჩელეს -მ. ბ-იას. ვინაიდან სარჩელი არ დაკმაყოფილდა 20%-ით, გადადებული სახელმწიფო ბაჟის -2693,3 აშშ დოლარის პროპორციულობაც აქედან უნდა იქნეს გაანგარიშებული, რაც შეადგენს 538,66 აშშ დოლარს, რომელიც უნდა დაეკისროს მ. ბ-იას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრისა და უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებების გათვალისწინებით სასამართლო ხარჯები ნაწილდება შემდეგი სახით:

$\varphi$ . ო-იას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 5056,6 ლარის, 3816,97 ლარისა და 2154,64 აშშ დოლარის გადახდა. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, 2154,64 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით შეადგენდა 3647,6 ლარს. აქედან გამომდინარე,  $\varphi$ . ო-იას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ეკისრება 12521,17 ლარის გადახდა.

მ. ბ-იას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 538,66 აშშ დოლარის გადახდა. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, 538,66 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით შეადგენდა 911,9 ლარს. თ. და მ. ი. ბ-იებს  $\varphi$ . ო-იას სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ 3439,6 ლარის გადახდა  $(2059+1380,6=3439,6)$ .

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუფადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. ხოლო ამავე კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წა-

რუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზეც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მ. ბ-იას დაეკისრა 911,9 ლარის გადახდა სახელმწიფო ბაჟის სახით ბიუჯეტის სასარგებლოდ. დადგენილია, რომ საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე მ. ბ-იამ არაერთხელ მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება თავისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ასევე დადგენილია, რომ სასამართლო თითქმის ყოველთვის აკმაყოფილებდა მის მოთხოვნას და ათავისუფლებდა მას სახელმწიფო ბაჟის გადახდის მოვალეობისაგან, გარდა ერთი ზემოხსენებული შემთხვევისა. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი მოთხოვნებისა და მ. ბ-იას მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა განთავისუფლდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი ბაჟისაგან.

ჟ. ო-იას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 12521,17 ლარის გადახდა. ჟ. ო-იას სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვს 10933,16 ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 12521,17 ლარი წარმოადგენს იმ ოდენობის თანხას, რაც გამოიწვევს მხარის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებას. მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით უკვე გადახდილ თანხასთან ერთად 12521,17 ლარის გადახდა მხარეს ჩააგდებს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში. სწორედ ამიტომ, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ჟ. ო-იას, ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის გათვალისწინებით უნდა შეუმცირდეს, კერძოდ, გაუნახევრდეს მის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი ბაჟი, რაც საბოლოოდ შეადგენს  $(12521,17:2=6260,58)$  6260,58 ლარს.

რაც შეეხება აღსრულების შეჩერების საკითხს, პალატა განმარტავს, რომ განმცხადებლის - ჟ. ო-იას მოთხოვნა პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია და საფუძველს მოკლებულია შემდეგ გარემოებათა გამო: „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლი ითვალისწინებს სააღსრულებო მოქმედებს შეჩერებას, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლით გათვალისწინებულ აღსრულების გადადების ერთგვარ სახეს წარმოადგენს და ნიშნავს აღსრულების სხვა დროისათვის, ანუ უფრო მოგვიანებით გადატანას. მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების გადადებისათვის (შეჩერებისათვის) უნდა არსებობდეს ამისათვის გონივრული საფუძველი, რაც შეიძლება იყოს სტიქიური მოვლენა, სხვა ადგილზე საცხოვრებლად გადასვლა, ქონებრივი მდგომარეობის მოულოდნელად გაუარესება და სხვა. განმცხადებელი კი მოითხოვს რა მხოლოდ აღსრულების შეჩერებას, არ ასაბუთებს, თუ რატომ უნდა იქნეს გადაწყვეტილება შეჩერებული. კერძოდ, არ მიუთითებს არც სამართლებრივ და არც ფაქტობრივი თვალსაზრისით გონივრულ საფუძველებზე, რის გამოც მოთხოვნა, როგორც დაუსაბუთებელი და უსაფუძველო, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

ჟ. ო-იას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს 6260,58 ლარის გადახდა.

მ. ბ-ია გათავისუფლდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის გადახდისაგან.

თ. და მ. ბ-იებს ჟ. ო-იას სასარგებლოდ დაეკისროთ 3429,6 ლარის გადახდა.

უარი ეთქვას ჟ. ო-იას უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების გადადების (შეჩერების) შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დამატებითი გადაწყვეტილება

### განჩინება

ნას-74-71-2010

1 აპრილი 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** ზარალის ანაზღაურება, თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით შპს "თბილწყალკანალის" სარჩელი დაკმაყოფილდა - შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა-ს" შპს "თბილწყალკანალის" სასარგებლოდ დაეკისრა 2 449 631 ლარი და 14 თეთრი. შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - შპს "თბილწყალკანალის" შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სასარგებლოდ დაეკისრა 5 405 794 ლარი და შეწყდა მხარეთა შორის 2002 წლის 1 ივლისს დადებული დავალიანების გადავადების შესახებ #45 ხელშეკრულება.

2006 წლის 3 ივლისს შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით შპს "თბილისის წყალი-სათვის" სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შეგებებული სარჩელის სარულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება შპს "თბილწყალკანალის" სარჩელის დაკმაყოფილებისა და შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შეგებებული სარჩელის 685 910.6 ლარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2009 წლის 23 მარტს დაინიშნულ მთავარ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე შპს "თბილისის წყალის" წარმომადგენელი, რის გამოც შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" წარმომადგენელმა იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე. სხდომაზე წარმოდგენილ იქნა განცხადება საქმის გადადების მოთხოვნით იმ საფუძველით, რომ შპს "თბილისის წყალში" მიმდინარეობდა სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის რეორგანიზაცია და მხარეებს შორის მოლაპარაკება მორიგებაზე დროულად ვერ მოხერხდა. აღნიშნულ განცხადებას ხელს აწერდა ნ. ბ-ძე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს "თბილისის წყალის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა - შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სარჩელი დაკმაყოფილდა. შპს "თბილისის წყალს" შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სასარგებლოდ 685 910,6 ლარის გადახდა დაეკისრა.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა შპს "თბილისის წყალის" წარმომადგენელმა ბ. კ-ძემ, რომელმაც მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 ივლისის განჩინებით შპს "თბილისის წყალის" საჩივარს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნულ განჩინებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" (შპს "თბილისის წყალის" უფლებამონაცვლე), რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 ივლისის განჩინებისა და ამავე სასამართლოს 2009 წლის 23 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 დეკემბრის განჩინებით შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2009 წლის 20 ივლისის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ზემოხსენებული გადაწყვეტილება 2010 წლის 22 იანვარს შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ გასაჩივრებული იქნა საკასაციო წესით მისი გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 23 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი სსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო 2010 წლის 26 მარტის განჩინებით შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი. აღნიშნული განჩინებით სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების, კერძოდ, კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის საკითხი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" საკასაციო საჩივარზე გამოტანილ უნდა იქნეს დამატებითი განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის განჩინებით შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი. აღნიშნული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულია, რომ, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%-ით, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ საკასაციო საჩივრის შეტანისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენდა 8000 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%, რაც შეადგენს 5600 ლარს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 401-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -5600 ლარი;
2. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **დამატებითი გადაწყვეტილება**

#### **განჩინება**

#ას-1107-1371-09

25 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. კვანტალიანი,**  
**თ. თოდრია**

**სარჩელის დავის საგანი:** ხელშეშლის აღკვეთა, თანასაკუთრებაში არსებული ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა



**შუამდგომლობის საგანი:** საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მაისის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა

**აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მაისის განჩინებით, დ. ჩ-შვილის, თ. ლ-ძის, ნ. კ-ძის, ე. კ-ძის საკასაციო საჩივრის განხილვის საფუძველზე გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2010 წლის 24 მაისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შუამდგომლობით მომართა კასატორების -დ. ჩ-შვილის, თ. ლ-ძის, ნ. კ-ძის, ე. კ-ძის წარმომადგენელმა მ. პ-აიამ, რომელმაც მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე, 261-ე, 404.2 მუხლების საფუძველზე საქმეზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 აპრილისა და 14 მაისის საოქმო განჩინებების გაუქმებისა და სასამართლო ხარჯების შესახებ.

შუამდგომლობის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 18 მაისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას არ იქნა გამოცხადებული სასამართლოს გადაწყვეტილება მათ შუამდგომლობაზე მტკიცებულებათა გამოთხოვისა და სპეციალისტის მოწვევის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 აპრილისა და 14 მაისის საოქმო განჩინებების გაუქმების თაობაზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას. ასევე, არ გადაწყვეტილა სასამართლო ხარჯების საკითხი.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი არსებობს იმ შემთხვევაში, თუკი ერთ-ერთი მოთხოვნის ირგვლივ სასამართლო გადაწყვეტილება არ გამოტანილა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს კანონის მითითებული ნორმით გათვალისწინებული დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, რამდენადაც საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 18 მაისის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის საოქმო განჩინების გაუქმების შესახებ კასატორების შუამდგომლობის საკითხი არ გადაწყვეტილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მაისის განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახალი განხილვის მიზნით მისცა მითითებები, რაც ასახულია განჩინების სამოტივაციო ნაწილში. ერთ-ერთი ასეთი მითითებაა, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მტკიცებულებათა მის მიერ გამოთხოვის საპროცესო შესაძლებლობის არსებობაზე და იმ შემთხვევაში შეაფასოს გამოთხოვილი მტკიცებულებები, ასევე, მოწვეული სპეციალისტის მიერ ამ მტკიცებულებათა ირგვლივ მიცემული ახსნა-განმარტებები, თუკი ასეთი საპროცესო შესაძლებლობა არსებობს. ამასთან, საოქმო განჩინების გაუქმების კასატორის რეალური სამართლებრივი ინტერესი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არ მოხდეს ამ მტკიცებულებათა შეფასება. ამისათვის არ არის აუცილებელი საოქმო განჩინების გაუქმება. ამდენად, ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

რაც შეეხება კასატორის შუამდგომლობას 2009 წლის 13 აპრილისა საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე, ასეთი საკასაციო მოთხოვნა კასატორებს საკასაციო საჩივარში არ ჰქონიათ წარმოდგენილი.

რაც შეეხება სასამართლო ხარჯების საკითხს, არც ამ თვალსაზრისით არსებობს საქმეზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიერ საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო შეცვლის ხარჯების განაწილებას, თუკი გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას. მოცემულ შემთხვევაში კი საქმეზე ახალი გადაწყვეტილება არ გამოტანილა, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია საქმის განხილვასთან დაკავშირებით, შემდგომ ექვემდებარება შეჯამებასა და განაწილებას

მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ამდენად, ამ ეტაპზე საკასაციო სასამართლო მოკლებულია სასამართლო ხარჯების საბოლოო განაწილების შესახებ მსჯელობის შესაძლებლობას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის მიერ 2010 წლის 18 მაისის განჩინებაზე გამოტანილ იქნეს დამატებითი გადაწყვეტილება;

დ. ჩ-შვილის, თ. ლ-ძის, ნ. კ-ძის, ე. კ-ძის წარმომადგენელ მ. პ-აიას შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის საოქმო განჩინების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

დ. ჩ-შვილის, თ. ლ-ძის, ნ. კ-ძის, ე. კ-ძის წარმომადგენელ მ. პ-აიას შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის საოქმო განჩინების გაუქმებისა და სასამართლო ხარჯების გადანაწილების შესახებ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

საკასაციო სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დამატებითი გადაწყვეტილება**

**განჩინება**

#ას-21-20-2010

10 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ლ. მურუსიძე,**

**პ. სილაგაძე**

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა შპს "საფინანსო კომპანია ბ-ქ-თვის" სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების საკითხი.

**პალატამ გამოარკვია:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მარტის განჩინებით შპს "საფინანსო კომპანია ბ-ქ-ის" საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული მისი დაუშვებლობის გამო. აღნიშნული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულია, რომ პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის სკითხი შეიძლება დისკუსიის გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მარტის განჩინება, რომლითაც შპს "საფინანსო კომპანია ბ-ქ-ის" საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, გამოტანილია საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, რაც გულისხმობს, რომ მისი სარეზოლუციო ნაწილი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე და 397-ე მუხლების თანახმად, საპროცესო მოქმედების შესარულების ვადების ათვლისას გადაწყვეტილების გამოცხადება და მისი მხარისათვის ჩაბარება ერთმანეთს უთანაბრდება. აქედან გამომდინარე, თუ გადაწყვეტილება გამოცხადდა სასამართლო

სხდომაზე, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადის ათვლა დაიწყო სწორედ ამ მომენტიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მისი მხარისათვის ჩაბარებიდან.

საქმეში წარმოდგენილი მასალებით ვერ დგინდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მარტის განჩინების მხარისათვის ჩაბარების თარიღი, ამიტომ შეუძლებელია ვადა აითვალოს განჩინების ჩაბარების მომენტიდან.

შპს "საფინანსო კომპანია ბ-ქ-ის" წარმომადგენელმა -მ. ა-მემ საქართველოს უზენაეს სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების შუამდგომლობით მომართა 2010 წლის 2 ივნისს. იქიდან გამომდინარე, რომ განჩინება სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა და არც საქმის მასალებით დგინდება მხარისათვის მისი ჩაბარების ზუსტი თარიღი, სავარაუდოა, რომ შპს "საფინანსო კომპანია ბ-ქ-ის" წარმომადგენლის შუამდგომლობა შემოვიდა სასამართლოში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლით გათვალისწინებულ 7-დღიან ვადაში.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა კასატორს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი ჰქონდა 8000 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად შპს "საფინანსო კომპანია ბ-ქ-ის" უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%, რაც შეადგენს 5600 ლარს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 401-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

შპს "საფინანსო კომპანია ბ-ქ-ის" დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 5600 ლარი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ განცხადების შეტანის ვადა განჩინება**

#ას-600-563-2010 24 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
მოსამართლე ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** საკონკურსო კომისიის წარდგინებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებების ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. კ-აიამ სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ "ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" მიმართ საკონკურსო კომისიის #10141/02 წარდგინებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 10 აგვისტოს #234/02-03 ბრძანებების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 სექტემბერს მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება გ.კ-აიას გამოუცხადებლობის გამო, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამავე სასამართლოს 2010 წლის 25 იანვრის განჩინებით ასევე არ დაკმაყოფილდა გ. კ-აიას საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. კ-აიამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 მარტის განჩინებით გ. კ-აიას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, ამავე განჩინებით აპელანტს სასამართლო ხარჯების ანაზღაურება დაეკისრა.

გ. კ-აიამ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა დამატებითი გადაწყვეტილების მიღების გზით დაკისრებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება, ასევე, საქმეზე მომხსენებელი მოსამართლის აცილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მაისის განჩინებით გ.კ-აიას განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების მიღების გზით მოსამართლის აცილების საკითხის გადაწყვეტის თაობაზე დარჩა განუხილველად. სასამართლომ განმცხადებელს განუმარტა, რომ აღნიშნული შუამდგომლობა განხილულია სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განჩინებით და არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით დადგენილი წინაპირობა მოცემულ საკითხზე დამატებითი გადაწყვეტილების მისაღებად.

2010 წლის 19 მაისის განჩინებით ასევე არ დაკმაყოფილდა გ.კ-აიას განცხადება საპროცესო ხარჯების განსაზღვრის ნაწილში დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე იმ საფუძველით, რომ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო 2010 წლის 16 მარტის განჩინებით განისაზღვრა სასამართლო ხარჯების დაკისრების საკითხიც, შესაბამისად, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, აპელანტს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. დასახელებული განჩინებით მხარეს აგრეთვე განემარტა, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების წესი და პირობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ ეთანხმებოდა გადაწყვეტილებას, მას შეეძლო იგი გაესაჩივრებინა სარეზოლუციო ნაწილში მითითებული წესისა და პირობების შესაბამისად, აღნიშნული კი გამორიცხავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით დადგენილი დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ამდენად, სააპელაციო პალატის 2010 წლის 19 მაისის განჩინებით გ.კ-აიას განცხადება სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე დარჩა განუხილველად.

გ. კ-აიამ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და განმარტა, რომ სასამართლოს მიერ გადაცემული განჩინებები დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ მისი განცხადებების განუხილველად დატოვების თაობაზე არის იდენტური გარდა ბოლო გვერდებისა, მოითხოვა აღნიშნული განჩინებების სრულყოფილად ჩაბარება და დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადებების განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებების კერძო საჩივრის შეტანის გზით გასაჩივრების ვადის გაგრძელება. წარმოდგენილი განცხადებაშივე უთითებს მხარე, რომ სწორედ აღნიშნული განცხადებით მიმართვის დროს ამოიწურა დამატებითი გადაწყვეტილების მიღებაზე განცხადებების განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებების გასაჩივრების ვადა და ჩაბარებული განჩინებების უსრულობის თაობაზე მხარისათვის ცნობილი გახდა სადავო განჩინებებზე კერძო საჩივრის შეტანის ვადის უკანასკნელ დღეს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძველიანობისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ გ.კ-აიას განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გაგრძელების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მეხუთე ნაწილი ადგენს დამატებითი გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების წესს. დასახელებული ნორმის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ამავე კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. ამდენად, დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, განჩინების გასაჩივრებისათვის კანონი ადგენს 12-დღიან ვადას, რომლის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია და მხარეს უფლება ეძლევა, კერძო საჩივარი შეიტანოს განჩინების კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ჩაბარების ან გამოცხადების მომენტიდან. აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და მასში მითითებული ვადის აღდგენა არ დაიშვება.

განსახილველ შემთხვევაში გ.კ-აიამ განცხადებითვე მიუთითებს, რომ მოსამართლის აცილებისა და საპროცესო ხარჯების დაკისრების საკითხებზე დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ განცხადებების განუხილველად დატოვების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 მაისის განჩინებები მას არ ჩაჰბარდა სრულყოფილი სახით და აღნიშნულის თაობაზე შეიტყო განცხადების შეტანის დღეს -დამატებითი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის უკანასკნელ დღეს. დასახელებული მსჯელობიდან და საქმეში წარმოდგენილი საფოსტო შეტყობინებიდან გამომდინარეობს, რომ მხარეს სააპელაციო სასამართლოს სადავოდ მიჩნეული 2010 წლის 19 მაისის განჩინებე-

ბი წამდვილად ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს განმცხადებლის მიერ მითითებულ ფაქტს, რომ განჩინებები არ იყო სრულყოფილი, რის თაობაზეც მან კერძო საჩივრის შეტანის ვადის უკანასკნელ დღეს შეიტყო, რადგანაც მხარე აღნიშნულის თაობაზე ვალდებული იყო, შეეტყო განჩინებების გადაცემის დღესვე და არა მისი გადაცემიდან მე-12 დღეს -კერძო საჩივრის შეტანის ვადის უკანასკნელ დღეს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ.კ-აიასათვის სასამართლო შეტყობინების გადაცემა მოხდა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წესის შესაბამისად 2010 წლის 29 მაისს, შესაბამისად, კერძო საჩივრის შეტანის ვადის დენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილისა და 416-ე მუხლის შესაბამისად დაიწყო განჩინებების გადაცემის დღის მომდევნო დღეს და ამოიწურა 2010 წლის 10 ივნისს, აღნიშნული ვადა კი გაგრძელებას ან აღდგენას არ ექვემდებარება.

ამდენად, გ. კ-აიას განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ განცხადებების განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებებზე კერძო საჩივრის შეტანის ვადის გაგრძელების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 397-ე მუხლის პირველი ნაწილით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

გ. კ-აიას განცხადება კერძო საჩივრის შეტანის ვადის გაგრძელების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **დამატებითი გადაწყვეტილება**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

#ას-446-418-2010 19 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

სს „ს-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ს. გ. ს. კ-ის“ მიმართ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დავალდებულებისა და მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

სს „ს. გ. ს. კ-იამ“ შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ს-ის“ მიმართ, რომლითაც თანხმობა განაცხადა მოსარჩელის სასარგებლოდ 3900992,40 ლარის ანაზღაურებაზე, მაგრამ ამავე დროს მოითხოვა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე და 394-ე მუხლების საფუძველზე მოსარჩელისათვის დავალიანების -9996466,13 ლარის ანაზღაურების ან ამავე კოდექსის 442-ე და 444-ე მუხლების შესაბამისად მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შედეგად მოსარჩელისათვის 6095472,60 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „ს. ნ. გ. კ-ის“ სარჩელი მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაკმაყოფილდა -სს „ს-ს“ შპს „ს. ნ. გ. კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 9996466.13 ლარის გადახდა. ამავე სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხის საჩივრის საფუძველზე აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის წარმოება განახლდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 აპრილის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „ს. ნ. გ. კ-ის“ სარჩელი, მოპასუხის გამო-

უცხადებლობის გამო, დაკმაყოფილდა -სს "ს-ს" შპს "ს. ნ. გ. კ-ის" სასარგებლოდ დაეკისრა 9996466.13 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სს "ს-მა" გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის განჩინებით სს "ს-ის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს "ს. ნ. გ. კ-იამ" გაასაჩივრა საკასაციო წესით. კასატორმა იშუამდგომლა მის მიერ საქმის განხილვისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით შპს "ს. ნ. გ. კ-ის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის განჩინება გაუქმდა და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 აპრილის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

2010 წლის 5 ივლისს შპს "ს. ნ. გ. კ-იამ" განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე იმ საფუძველით, რომ საკასაციო პალატამ 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით არ იმსჯელა კასატორის შუამდგომლობაზე მის მიერ შეგებულ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -3500 ლარისა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი 8000 ლარის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაბრუნების შესახებ.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების შემოწმებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "ს. ნ. გ. კ-ის" განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

მითითებული ნორმით კანონმდებელი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ ძირითადი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დამატებითი გადაწყვეტილების გამომტანის შესაძლებლობას, რომლითაც მოწესრიგდება სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებული, გადაუწყვეტავი საკითხები.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით შპს "ს. ნ. გ. კ-ის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ, რომლითაც შპს "ს. ნ. გ. კ-ის" სარჩელი დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს განმცხადებლის არგუმენტს, რომ მითითებული გადაწყვეტილებით საკასაციო პალატას არ უმსჯელია კასატორის შუამდგომლობაზე მოწინააღმდეგე მხარისათვის მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -11500 ლარის დაკისრების შესახებ, რაც დამატებითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯები, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს.

განსახილველ შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით შპს "ს. ნ. გ. კ-ის" სარჩელი სრული მოცულობით დაკმაყოფილდა, რის გამოც სს "ს-ს" უნდა დაეკისროს განმცხადებლის მიერ შეგებულ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 3500 ლარისა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი 8000 ლარის ანაზღაურება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლით და

## და ა ა დ გ ი ნ ა :

შპს "ს. ნ. გ. კ-ის" განცხადება დაკმაყოფილდეს.  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებაზე მიღებულ იქნეს დამატებითი გადაწყვეტილება.  
სს "ს-ს" დაეკისროს შპს "ს. ნ. გ. კ-ის" სასარგებლოდ 11500 ლარის გადახდა.  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### დამატებითი გადაწყვეტილება

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ას-216-205-2010 25 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ქ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. კ-ძის მიმართ, ნასყიდობის ხელშეკრულებით ნა-  
კისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თანხის -3020 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი-  
სა და 60 ლარის დაკისრების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ქ-ძის სარჩე-  
ლი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -თ. კ-ძეს მ. ქ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 400 აშშ დოლარის  
ეკვივალენტი ლარის გადახდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მ.  
ქ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის გა-  
დაწყვეტილებით მ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სარჩელის დაკმაყო-  
ფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მ. ქ-ძის სარჩელი  
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -თ. კ-ძეს მ. ქ-ძის სასარგებლოდ დამატებით დაეკისრა 600 აშშ  
დოლარის ანაზღაურება, ხოლო მიყენებული ზიანის -780 აშშ დოლარისა და საპროცენტო დანამა-  
ტის -840 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოება შეწ-  
ყდა სარჩელზე უარის თქმის მოტივით, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა  
უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. კ-ძის წარმომადგენელმა ფ. ც-ძემ გაასაჩივრა  
საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის გა-  
დაწყვეტილებით თ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამარ-  
თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება თ. კ-ძისათვის 600  
აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში გაუქმდა და მ. ქ-ძის სარჩელი ამ ნაწილში არ  
დაკმაყოფილდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

2010 წლის 5 აგვისტოს თ. კ-ძის წარმომადგენელმა ფ. ც-ძემ განცხადებით მიმართა საკასაციო  
სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით და მიუთითა, რომ 2010 წლის  
31 მაისის გადაწყვეტილების მიღებისას საკასაციო პალატას თ. კ-ძის მიერ გადახდილი სასამარ-  
თლო ხარჯების განაწილების თაობაზე არ უმსჯელია. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის  
261-ე მუხლის საფუძველზე მოწინააღმდეგე მხარეს უნდა დაეკისროს თ. კ-ძის მიერ საქმის წარ-  
მოებისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი განცხადების საფუძველები და მიიჩნევს, რომ  
თ. კ-ძის წარმომადგენელ ფ. ც-ძის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე

უნდა დაკმაყოფილდეს და მ. ქ-მეს თ. კ-მის სასარგებლოდ დაეკისროს 549,75 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების "გ" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

მითითებული ნორმით კანონმდებელი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ ძირითადი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, რომლითაც მოწესრიგდება სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებული გადაუწყვეტავი საკითხები. ამასთან, დამატებითი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია ძირითადი გადაწყვეტილების გამოცხადებიდან ან, თუ გადაწყვეტილება მიღებულია ზეპირი მოსმენის გარეშე, დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის კანონით დადგენილი წესით ჩაბარებიდან 7 დღეში.

მოცემულ შემთხვევაში თ. კ-მის წარმომადგენელმა ფ. ცერცვამემ დამატებითი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით სასამართლოს დროულად, ზემოხსენებული 7-დღიანი ვადის დაცვით მიმართა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით თ. კ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება 600 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში გაუქმდა და მ. ქ-მის სარჩელი ამ ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს განმცხადებლის არგუმენტს, რომ მითითებული გადაწყვეტილებით საკასაციო პალატას არ უმსჯელია მოწინააღმდეგე მხარისათვის საქმის წარმოებისას თ. კ-მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაკისრების შესახებ, რაც დამატებითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯები, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს -სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

განსახილველ შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით მ. ქ-მის სარჩელი თ. კ-მის მიმართ 1400 აშშ დოლარისა და 60 ლარის დაკისრების შესახებ (780 და 840 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნაზე მოსარჩელემ უარი თქვა) არ დაკმაყოფილდა 1000 აშშ დოლარისა და 60 ლარის მოთხოვნის ნაწილში. თ. კ-მემ ყველა ინსტანციის სასამართლოში გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 774,30 ლარი. შესაბამისად, მ. ქ-მეს თ. კ-მის სასარგებლოდ აღნიშნული თანხის პროპორციულად უნდა დაეკისროს 558,22 ლარის ანაზღაურება (სულ დავის საგანს წარმოადგენდა 1400 აშშ დოლარი და 60 ლარი, რაც შეადგენს 1433,33 აშშ დოლარს, სარჩელი არ დაკმაყოფილდა 1033,33 აშშ დოლარის ფარგლებში. ამდენად,  $774,30 \times 1033,33 / 1433,33 = 558,22$ ).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

თ. კ-მის წარმომადგენელ ფ. ც-მის განცხადება დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებაზე მიღებულ იქნეს დამატებითი გადაწყვეტილება.

მ. ქ-მეს დაეკისროს თ. კ-მის სასარგებლოდ 558,22 ლარის გადახდა.

საკასაციო პალატის დამატებითი გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



## 2. გადაწყვეტილების განმარტება

### განჩინება

#ას-999-1275-09

21 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი

**დავის საგანი:** სარდაფისა და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ო. ხ-შვილის სარჩელი ო. კ-ძის მიმართ სარდაფისა და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის თაობაზე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ო. ხ-შვილმა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ო. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, კერძოდ, ო. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და ო. კ-ძეს დაევალა . . . ქუჩა #24-ში მდებარე #36 კოტეჯის, სარდაფისა და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. კ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ო. კ-ძის საკასაციო საჩივარი და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

2007 წლის 19 ნოემბერს ო. ხ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით მისი სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული სარჩელით იგი მოითხოვდა ო. კ-ძისათვის . . . ქ.#24-ში მდებარე #36 კოტეჯზე და საერთო სარგებლობის ეზოში პროექტის დარღვევით წარმოებული მშენებლობის აღკვეთას, თვითნებურად მითვისებული საერთო სარგებლობის ეზოს კაპიტალური კედლების დანგრევას, ეზოსა და ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანას და მისი კუთვნილი სარდაფის დაბრუნებას.

ასევე მან მოითხოვა, პირველ სართულზე არსებული სასადილო აივნის მოშლა, რომელიც გადაიდებულია და გადაკეთებულია ოთახად საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ხარჯზე, აგრეთვე, ახლად გაკეთებულ გადახურულ ბინაში შესასვლელის მონგრევა; საწოლი ოთახის გვერდითი აივნის მოშლა, რომელიც გადიდებულია საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ხარჯზე და გადაკეთებულია ბავშვების საწოლ ოთახად და დაუბრუნდეს პირვანდელი სახე; პირვანდელი სახით აღდგეს სადარბაზო, გაუქმდეს ახლად გაკეთებული სარდაფის ჩასასვლელი კიბე და აღდგეს სარდაფში ჩასასვლელი ძველი კიბე; გაუქმდეს სადარბაზოში შესასვლელის ქვეშ გათხრილი ახალი სარდაფი, უპროექტო და უკანონო, მოწყობილი საკუჭნაოდ და მარნად, აღდგეს პირვანდელი სახით და ამოივსოს მიწით; აღდგეს პირვანდელ მდგომარეობაში სარდაფი, რომელიც მიითვისა მოპასუხემ, მოშალა ტიხრები, გადააკეთა თავისი შეხედულებით, მოაწყო: აბაჯანა, ბარი, ბუხარი; დაუბრუნდეს მისი კუთვნილი 32 კვ.მ სარდაფი, მოპასუხეს დარჩეს 14 კვ.მ. აღდგეს თავისუფალი ფართი, რისთვისაც უნდა მოიშალოს ბარი, აბაჯანა, ბუხარი, ასევე, დაევალოს 100 კვ.მ-ზე საერთო ეზოში მოწყობილი მანქანების სადგომის მოშლა, რომელიც ამდღეობულია, დაბეტონებულია და მოკირწყლულია; აღდგეს საერთო სარგებლობის ეზოში შესასვლელი ახალი ჭიშკარი და ღობე. დარჩეს ძველი შესასვლელი ჭიშკარი საერთო სარგებლობაში; საერთო სარგებლობის ეზოში აშენებული ეზოს გამყოფი ბეტონის კედლისა და ეზოში გაკეთებული ფაცხის მოშლა.

განმცხადებელმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტება ზემოაღნიშნული პუნქტების მიხედვით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განჩინებით ო. ხ-შვილის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ო. ხ-შვილმა. ო. ხ-შვილის კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა ზემდგომ სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2008 წლის 2 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა ო. ხ-შვილის კერძო საჩივარი, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით ო. ხ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი - „ო. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს და ო. კ-ძეს დაევალოს . . . ქ.#24-ში მდებარე #36 კოტეჯის, სარდაფისა და ეზოს აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში“ -განიმარტა შემდეგნაირად:

1. ეზოს გამყოფი ქვის ღობის მონგრევა;
2. ტერასის დანგრევა 100 კვ.მ მოზაიკის იატაკითა და კიბით;
3. ო. კ-ძის მიერ მოწყობილი ეზოში დამოუკიდებელი შესასვლელის გაუქმება და საერთო შესასვლელი ჭიშკრის დატოვება;
4. ეზოს კეთილმოწყობის მოშლა;
5. სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება;

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს ო. ხ-შვილმა და ო. კ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინებით ო. ხ-შვილისა და ო. კ-ძის კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად.

2009 წლის 4 ივნისს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა გ. დ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და აღნიშნა, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია სააღსრულებო ფურცელი #28\907-8, გაცემული 2009 წლის 10 მარტს. განმცხადებელმა მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების განმარტება, კერძოდ, იმის განმარტება, თუ რა ფორმით უნდა გაუქმდეს ო. კ-ძის მიერ მოწყობილ ეზოში დამოუკიდებელი შესასვლელი, რა სახის მოქმედება უნდა შესრულდეს, რათა მოიშალოს ეზოს კეთილმოწყობა და რა დონემდე ან რით უნდა ამოივსოს სარდაფი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის განჩინებით თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის -გ. დ-შვილის განცხადება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ო. კ-ძის წარმომადგენელმა მ. ს-ძემ. მან აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში განსამარტავი გადაწყვეტილების ბუნდოვანება გამოიხატება იმაში, რომ ზუსტად არ არის განსაზღვრული იმ მოქმედებათა შინაარსი, რომლის განხორციელებაც უნდა ჩაითვალოს გადაწყვეტილების შესრულებად, კერძოდ, განსამარტავი გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულება მოვალის -ო. კ-ძის მიერ. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ აღსასრულებელი გადაწყვეტილების შინაარსი არ ხასიათდება ბუნდოვანებით და, აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების განმარტება დაუშვებელია. მისი აზრით, გადაწყვეტილება აშკარად საჭიროებდა განმარტებას, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია, თუ რა ქმედების განხორციელება უზრუნველყოფს გადაწყვეტილების შესრულებას. შეუძლებელია, მოეთხოვოს ო. კ-ძეს იმის განხორციელება, რისი შინაარსიც უცნობია სასამართლოსათვის, აღმასრულებლისა და კრედიტორისათვის. ასეთ პირობებში კი მოქმედებას ვერ ახორციელებს ო. კ-ძე, რომელსაც ეთვლება, რომ უარი განაცხადა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებაზე, რაც იწვევს სხვადასხვა სახის არახელსაყრელ შედეგებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ო. კ-ძეს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ო. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, კერძოდ, ო. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და ო. კ-ძეს დაევალა . . . ქუჩა #24-ში მდებარე #36 კოტეჯის, სარდაფისა და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 19 სექ-

ტემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ო. კ-ძის საკასაციო საჩივარი და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს უკვე მიღებული გადაწყვეტილების ბუნდოვანი შინაარსის განმარტებას. დაუშვებელია გადაწყვეტილების განმარტების სახით ახალი გადაწყვეტილების მიღება ან ადრე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა.

დადგენილია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით, ამავე სასამართლოს 2008 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი განიმარტა იმგვარად, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა გამოიხატა შემდეგ მოქმედებებში:

1. ეზოს გამყოფი ქვის ღობის მონგრევა;
2. ტერასის დანგრევა 100 კვ.მ მოზაიკის იატაკითა და კიბით;
3. ო. კ-ძის მიერ მოწყობილი ეზოში დამოუკიდებელი შესასვლელის გაუქმება და საერთო შესასვლელი ჭიშკრის დატოვება;
4. ეზოს კეთილმოწყობის მოშლა;
5. სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება;

საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ბუნდოვანია გადაწყვეტილების "გ", "დ" და "ე" პუნქტები, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა განიმარტოს აღნიშნული გადაწყვეტილების ბუნდოვანი პუნქტები გადაწყვეტილების შინაარსის შეუცვლელად. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში განჩინებით განსაზღვრულია ის სამუშაოები, რომლებიც უნდა შესრულდეს... ქ. #24-ში მდებარე #36 კოტეჯის სარდაფისა და ეზოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისათვის, მაგრამ არ არის დაზუსტებული მათი შინაარსი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ უნდა დააზუსტოს, როგორ უნდა მოხდეს ო. კ-ძის მიერ მოწყობილ ეზოში დამოუკიდებელი შესასვლელის გაუქმება და საერთო შესასვლელი ჭიშკრის დატოვება; ასევე ბუნდოვანია "დ" პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ უნდა მოხდეს ეზოს კეთილმოწყობის მოშლა. სასამართლომ უნდა დააზუსტოს, თუ რას ნიშნავს ეზოს კეთილმოწყობის მოშლა, რაში გამოიხატება ეზოს კეთილმოწყობა და რა სახით უნდა მოიშალოს იგი. ბუნდოვანია, აგრეთვე, აღნიშნული გადაწყვეტილების "ე" პუნქტი, სადაც მითითებულია, რომ უნდა მოხდეს სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება. სააპელაციო სასამართლომ უნდა დააზუსტოს, რას ნიშნავს სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება, კერძოდ, გაურკვეველია, რა სახით არსებობდა ადრე და რა დონეზე უნდა ამოივსოს სარდაფი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ო. კ-ძის კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ო. კ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეგზავნოს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## განჩინების განმარტება

### განჩინება

#ა-27-გან-1-2010

1 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** სახელმწიფო ვალდებულების შესრულება, ნივთის მფლობელობაში გადაცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

გ. დ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის გამგეობის თავმჯდომარე ტ. თ-ძის მიმართ ქ.ბათუმში, ... ქ. #64-65-ში მშენებარე მრავალბინიანი სახლის მე-2 სადარბაზოს მე-2 სართულზე არსებული 120 კვ.მ ხუთოთახიანი ბინის ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1990 წლის 5 დეკემბრის #1131 გადაწყვეტილებით გარკვეულ პირებს, მათ შორის, გ. დ-მესაც, გამოეყოთ მიწის ნაკვეთი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად. 1990 წლის 18 დეკემბერს გ. დ-მესა და კოოპერატივ „კეთილმოწყობას“ შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად კოოპერატივი ააშენებდა და მშენებლობის შემდეგ გადასცემდა საცხოვრებელ სახლს ბინათმშენებლობის წევრებს. ბინის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 1991 წლისათვის, ხოლო დამკვეთს უნდა გადაეხადა ორი და სამოთახიანი ბინების ღირებულება -28000 და 35000 მანეთი, თავდაპირველად 50%, ხოლო დანარჩენი თანხა -თვის ბოლომდე. მოსარჩელემ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე შეიტანა 35 000 მანეთი. 1995 წლის 23 აგვისტოს, მშენებლობის შეჩერების გამო, ბინათმშენებლობის წევრებმა გადაწყვეტილება მიიღეს, მშენებლობის გაგრძელების მიზნით შეეტანათ დამატებითი შენატანები. გ. დ-ემ დამატებით შეიტანა 400 აშშ დოლარი, 2400 აშშ დოლარის ღირებულების 4 ტონა კარბიტი და 100 აშშ დოლარი. მშენებლობა განახლდა 2001 წელს. მშენებლობის დასრულების შემდეგ, მოსარჩელემ მოითხოვა მისთვის სამოთახიანი ბინის გამოყოფა. ტ. თ-მემ მოსარჩელისათვის გადასაცემი ბინა გაახვიისა, მას კი შესთავაზა იმავე სახლის მე-2 სადარბაზოში, მე-2 სართულზე მდებარე 120 კვ.მ ხუთოთახიანი ბინა ღირებულების სხვაობის დამატებით. 2003 წელს ტ. თ-მემ, ბინათმშენებლობის წევრების გვერდის ავლით, დააფუძნა შპს „ესმა“, რომელიც შემდგომ გახდა კოოპერატივ „კეთილმოწყობისა“ და ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ზოდიაქოს“ სამართალმემკვიდრე. მოპასუხემ ბინათმშენებლობის წევრებისათვის განკუთვნილი ბინები სხვა პირებს გადასცა. გ. დ-ემ მისთვის განკუთვნილ ხუთოთახიან ბინაში დაიწყო სარემონტო სამუშაოები, მაგრამ ტ.თ-ძის მხრიდან ხელშეშლის გამო მათ შორის წარმოიშვა კონფლიქტი და საქმეში ჩაერთო პოლიცია. გამომძიებელთან მიცემულ ჩვენებაში ტ. თ-მემ მთლიანად აღიარა 1990 წელს აღებული ვალდებულება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით გ. დ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერვლის განჩინებით გ. დ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ.ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1990 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ.ბათუმის მოქალაქეთა ერთ ჯგუფს, მათ შორის, აპელანტს, საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, მრავალსართულიანი სახლის მშენებლობისათვის ქ.ბათუმში, ... ქ.#105-სა და ს... ქ. #64-65-ში გამოეყო მიწის ნაკვეთი. 1990 წლის 18 დეკემბერს აპელანტსა და კოოპერატივ „კეთილმოწყობას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად კოოპერატივს უნდა აეშენებინა საცხოვრებელი სახლი და დასრულების შემდეგ აპელანტისათვის გადაეცა სამოთახიანი ბინა. მხართა შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, სადაც აპელანტი იყო შემკვეთი, ხოლო კოოპერატივი „კეთილმოწყობა“ -მენარდე. ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ზოდიაქოსა“ და სპონსორთა ჯგუფის საერთო კრების #2 ოქმის, ტ. თ-ძის დაკითხვის ოქმისა და შპს „ესმას“ საგადასახადო შემოწმების აქტის თანახმად, კოოპერატივ „კეთილმოწყობის“ ლიკვიდაციის შემდეგ მენარდის ვალდებულებები იკისრა ჯერ ერთი პირის საწარმო „ზოდიაქომ“, ხოლო მისი რეორგანიზაციის შემდეგ -შპს „ესმამ“. 2006 წელს შპს „ესმამ“, ძირითადად დაასრულა საცხოვრებელი კორპუსის

მშენებლობა, თუმცა 1990 წლის 18 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო არ შესრულებულა, საცხოვრებელი სახლი ბოლომდე არ აშენებულა და დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღებული არ არის. პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტმა სარჩელი აღძრა არა იურიდიული პირის – შპს „ესმას“ წინააღმდეგ, არამედ – ფიზიკურ პირ ტ. თ-ძის მიმართ და პირველი ინსტანციის სასამართლოში ტ. თ-ძის შპს „ესმათი“ შეცვლაზე უარი განაცხადა. პალატამ ასევე დაადგინა, რომ ტ. თ-ძე, როგორც ფიზიკური პირი, არ იმყოფებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობებში აპელანტთან და არავითარი ვალდებულება მის წინაშე არ უკისრია. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლით და მიუთითა, რომ ტ. თ-ძეს აპელანტის წინაშე ვალდებულებები კანონით გათვალისწინებული არც ერთი საფუძვლით არ წარმოშობია. პალატამ მიიჩნია, რომ, აპელანტის მოთხოვნა ბინის მისთვის გადაცემის შესახებ უსაფუძვლოა, ვინაიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ჯერ არ შესრულებულა, საცხოვრებელი სახლი სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარებული არ არის და იგი სამოქალაქო ბრუნვის ობიექტს არ წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება გ. დ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: კასატორს კუთვნილი ბინით სარგებლობაში ხელს უშლის ტ. თ-ძე. ამდენად, მოთხოვნა ხელშეშლის აღკვეთაზე წარდგენილ უნდა იქნეს არა შპს „ესმას“ და საწარმო „ზოდიაქოს“ მიმართ, არამედ ტ. თ-ძის წინააღმდეგ. აღნიშნული მსჯელობა გამორიცხავს ტ. თ-ძის უფლებამონაცვლეობის საკითხს, ვინაიდან კასატორის მოთხოვნაა მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთა და არა ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა, მფლობელობის უფლება კი შესაძლოა ნებისმიერმა პირმა შეზღუდოს. ამდენად, სასამართლოს მიერ სამართალმემკვიდრეობის საკითხის დადგენა ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლს, ვინაიდან ამ საკითხს არსებული დავისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გ. დ-ძის სარჩელი არ დააკმაყოფილა ხანდაზმულობის მოტივით, სააპელაციო სასამართლომ კი სააპელაციო საჩივარს უარი უთხრა სარჩელის არავალდებულები პირის მიმართ აღძვრის მოტივით, რაც არასწორია, ვინაიდან კასატორი რაიმე ვალდებულების შესრულებას არ ითხოვდა და ვალდებულები პირი არც სასამართლოს უნდა ერკვიო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელი უნდა აღძრულიყო სათანადო მოპასუხე შპს „ესმას“ მიმართ. პალატამ არ გაითვალისწინა, რომ, მართალია, გ. დ-ძემ უარი განაცხადა შპს „ესმას“ სათანადო მოპასუხედ საქმეში ჩაბმაზე, საქალაქო სასამართლომ მაინც არსებითად იმსჯელა დავაზე და სარჩელი, ხანდაზმულობის გამო, არ დააკმაყოფილა. შესაბამისად, გ. დ-ძემ გადაწყვეტილება მხოლოდ ხანდაზმულობის კუთხით გაასაჩივრა. სააპელაციო პალატამ კი ფაქტობრივად საუარესოდ შეცვალა კასატორის მდგომარეობა.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცობის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით დამტკიცდა მორიგება ტ. თ-ძესა და გ. დ-ძეს შორის შემდეგი პირობებით:

1. ტ. თ-ძე იღებს ვალდებულებას, საკუთრებაში გადასცეს გ. დ-ძეს ქ. ბათუმში, ს. . . . ქ. #64-სა და . . . 107-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსის მე-2 სადარბაზოს VI სართულის #38. 99,7 კვ.მ კარკასულ მდგომარეობაში არსებული ბინა;

2. გ. დ-ძემ ტ. თ-ძეს უნდა გადაუხადოს 27 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი;

3. მხარეებმა ნაკისრი ვალდებულებები უნდა შეასრულონ არა უგვიანეს 2009 წლის 27 ნოემბრისა;

4. მორიგების პირობების შესაბამისად მხარეები უარს ამბობენ ტ. თ-ძის მიმართ გ. დ-ძის სარჩელის საფუძველზე აღძრული დავის გაგრძელებაზე. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ, დამრღვევი მხარის მიმართ გამოიყენონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

შეწყდა საქმის წარმოება გ. დ-ძის სარჩელს გამო ტ. თ-ძის მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისა და ნივთის მფლობელობაში გადაცემის შესახებ. ამასთან, განმარტათ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით გაუქმდა მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

2010 წლის 5 იანვარს გ. დ-ძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინების მეოთხე პუნქტში მითითებული პირობის – “მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ, დამრღვევი მხარის მიმართ გამოიყენონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები” – განმარტება შემდეგი საფუძვლებით: განმცხადებლის მოწინააღმდეგე მხარეს მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ განჩინე-

ბით დადგენილ ვადაში არ შეუსრულებია ნაკისრი ვალდებულება. ამასთან, ტ. თ-მე აღნიშნული ვალდებულების შესრულებას ვერ უზრუნველყოფს, რადგანაც საცხოვრებელი კორპუსი, სადაც სადავო ბინა მდებარეობს განთავსებულია ამხანაგობა "ორი მეზობლის" კუთვნილ მიწაზე, რომლის წევრიც ტ. თ-მე არ არის, საცხოვრებელი კორპუსი უნებართვოდაა აშენებული და ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2009 წლის 13 ნოემბრის #01-22/860 ბრძანების თანახმად საცხოვრებელი სახლის ლეგალიზებაზე ითქვა უარი. განმცხადებლის მითითებით, მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ განჩინებაში მითითებული ბინა მდებარეობს არა ამავე კორპუსის მე-7 სართულზე და არა მე-6 სართულზე, ხოლო მისი ფართი ნაცვლად 99,7 კვადრატული მეტრისა, არის 98,9 კვ.მ. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით განმცხადებელი მიიჩნევს, რომ საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით დამტკიცებული პირობების შესაბამისად ტ. თ-მე მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ვერ უზრუნველყოფს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და განხილვების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. დ-მის განცხადება საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტის განმარტების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. დასახელებული ნორმის თანახმად, სასამართლო განმარტავს გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს ბუნდოვან ან ორაზროვან დებულებას. ამასთან, განმარტების საკითხი ორიენტირებული უნდა იყოს მისი აღსრულების ხელშეწყობაზე. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით საქმეზე გ. დ-მის სარჩელის გამო ინდივიდუალური ბინათმშენებლობის გამგეობის თავმჯდომარე ტ. თ-მის მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისა და ნივთის მფლობელობაში გადაცემის შესახებ მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება მათ მიერვე ხელმოწერილი და სასამართლოში წარდგენილი მორიგების პირობების შესაბამისად. დამტკიცებული მორიგების მე-4 პუნქტად მიეთითა, რომ მორიგების პირობების შესაბამისად მხარეები უარს ამბობენ ტ. თ-მის მიმართ გ. დ-მის სარჩელის საფუძველზე აღძრული დავის გაგრძელებაზე. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ, დამრღვევი მხარის მიმართ გამოიყენონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. დასახელებული ნორმის დანაწესით სასამართლო ვალდებულია, ყოველნაირად შეუწყოს ხელი მხარეთა შორის არსებული სადავო ურთიერთობის მორიგების გზით დასრულებას, რა დროსაც სასამართლო მხარეთა მიერ მიღწეული მორიგების პირობების დამტკიცებისას ამოწმებს აღნიშნული პირობების კანონმდებლობასთან შესაბამისობას ისე, რომ იგი საკუთარი ინიციატივით არ არკვევს მორიგების აქტში მითითებული მხარეთა შორის შეთანხმებული მორიგების პირობის შინაარსობრივ ასპექტებს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით, დადგენილი დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს უფლებამოსილება მორიგების პირობებთან მიმართებით შემოიფარგლება მხოლოდ მხარეთა შორის აღნიშნული შედეგის მიღწევით -დავის მორიგების გზით დამთავრებით. მორიგების პირობებში ასახვას ჰპოვებს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება ისე, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი, მხარეებს განუსაზღვროს მორიგების კონკრეტული პირობა.

ამდენად, სასამართლო მორიგების პირობების დამტკიცებისას შეზღუდულია მხარეთა ნებით და იგი მათ მიერ გამოვლენილი ნების განმარტებას არ ახდენს. სადავოობის შემთხვევაში მხარეები თავად წყვეტენ და თანხმდებიან ამა თუ იმ პირობაზე, ვინაიდან მორიგება თავისი შინაარსით იგივე მხარეთა შეთანხმებაა (ხელშეკრულება), რომელიც სასამართლოში აღძრულ დავაზე მიიღწევა.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. დ-მემ და ტ. თ-მემ 2009 წლის 20 ოქტომბერს მათ შორის მიღწეული მორიგების პირობების დამტკიცების თხოვნით შუამდგომლობით მიმართეს საკასაციო სასამართლოს. აღნიშნული აქტის მე-4 პუნქტში მხარეებმა მიღწეული მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამრღვევი პირის მიმართ გამოსაყენებელ ღონისძიებად მიუთითეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების გამოყენების შესაძლებლობაზე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწ-

ყვეტილების (განჩინების) აღსრულების პირობების ერთ-ერთი მხარის მიერ დარღვევისას, ასევე, გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე სადავო ურთიერთობის ობიექტის არარსებობის ან აღსრულების ხელისშემშლელი სხვა გარემოების არსებობის შემთხვევაში, რომელიც იწვევს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, ასევე "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს კონკრეტული ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას სადავოდ ქცეული უფლების ადრესატის ინტერესების დასაცავად. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: მოვალის ქონებაზე ზღვევინების მიქცევა, საბანკო ანგარიშსა თუ სხვა უძრავ-მძრავ ქონებაზე ყადაღის დადება, მხარეთა შეხედულებისამებრ ერთი ნივთის მეორეთი შეცვლა თუ სხვა ტოლფასი ქონების გადაცემა და სხვა, რათა კრედიტორის უფლება მოვალის ქმედების შედეგად სამართლებრივი დაცვის მიღმა არ აღმოჩნდეს. მითითებულ ღონისძიებათა გამოყენება და შესრულება მხარის უფლებას წარმოადგენს. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობა - კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების გამოყენება, თავისთავად კანონსაწინააღმდეგო პირობა არ არის და მისი გამოყენებისათვის მხარის იურიდიული ცოდნა (საჭიროებისამებრ იურისტის რჩევა) საჭირო და არა სასამართლო განჩინების განმარტება.

რაც შეეხება განმცხადებლის მითითებას, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის თაობაზე, აღნიშნული არ წარმოადგენს მორიგების განჩინების განმარტების საფუძველს. ამასთან, მოვალის მიერ ნაკისრი ქონებრივი ვალდებულების საგნის - გადასაცემი ქონების მოვალის საკუთრებაში არსებობის საკითხი კრედიტორს შეთანხმებამდე უნდა გაერკვია და ასეთი ქმედების განუხორციელებლობა კრედიტორის რისკია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ.დ-მის განცხადება საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინების მე-4 პუნქტის განმარტების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 262-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

გ. დ-მის განცხადება საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინების მე-4 პუნქტის განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **უარი განჩინების განმარტებაზე**

##### **განჩინება**

#ვ-150-გან-2-2010

22 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** განჩინების განმარტება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2002 წლის 15 აგვისტოს თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ქ. მ-შვილმა მოპასუხეების - თ. და ლ. მ-შვილების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა თბილისში, ... ქ. #11-ში მდებარე ბინის გამოთხოვა მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან და მისთვის, როგორც მესაკუთრისათვის, დაბრუნება, აგრეთვე, მოპასუხეების მხრიდან ხელშეშლის აღკვეთა.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

თბილისში, ... ქ. #11-ში მდებარე #25 ბინა პრივატიზებული იყო გ. მ-შვილის სახელზე. 2000 წლის 17 მაისს გ. მ-შვილის შვილმა თ. მ-შვილმა ს. ე-ანისაგან ორი თვით ისესხა 3 600 აშშ დოლარი, რომელიც მოვალემ დროულად ვერ დააბრუნა. 2000 წლის 15 მაისს გ. მ-შვილმა

სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა გაცა თ. მ-შვილის სახელზე შემდგომი გადანდობის უფლებით, ხოლო ამ უკანასკნელმა მინიჭებული მინდობილობა გადანდო ს. ე-ანს, რომელმაც, სესხის დაფარვის მიზნით, 2000 წლის 16 აგვისტოს ზემომითითებული ბინა გაასხვისა ჟ. მ-შვილზე. აღნიშნულის შედეგად სადავო სახლი საჯარო რეესტრში აღირიცხა ჟ. მ-შვილის სახელზე. არაერთი მიმართვის მიუხედავად, მოპასუხეებმა ბინა არ გაათავისუფლეს.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით გ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა: თ. მ-შვილისა და ს. ე-ანისათვის გაცემული მინდობილობები და ჟ. მ-შვილთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 19 ნოემბრის განჩინებით სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა შორის მორიგება, რომლის თანახმად, თ. მ-შვილს 4 თვის ვადაში, 2002 წლის 1 აპრილამდე, ჟ. მ-შვილისათვის უნდა გადაეხადა 4 000 აშშ დოლარი, თ. მ-შვილის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თბილისში, ... ქ. #11-ში მდებარე ბინა #25 მიექცეოდა აღსრულებაში აუქციონზე გატანის გზით; ჟ. მ-შვილს სადავო ბინა უნდა გადაეფორმებინა გ. მ-შვილის სახელზე შემდგომი რეალიზაციის მიზნით, რისთვისაც აღნიშნულ ბინას დაედო ყადაღა საჯარო რეესტრში ბინის აუქციონზე გატანამდე.

2000 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა გ. მ-შვილი, ხოლო 2002 წლის 18 ივნისს -ს. ე-ანი, რის გამოც საოლქო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება ვერ აღსრულდა.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც თ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, იყო არასწორი, რადგან ჟ. მ-შვილი წარმოადგენდა ბინის კეთილსინდისიერ შემძენს.

რამდენადაც ამ დროისათვის სადავო ბინა მოსარჩელის საკუთრებაში ირიცხებოდა, ხოლო თ. და ლ. მ-შვილები მას უკანონოდ ფლობდნენ, ჟ. მ-შვილის აზრით, მისი სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა -მოპასუხეები გამოსახლდნენ სადავო ბინიდან.

სასამართლო კოლეგიამ დაადგინა, რომ თბილისში, ... ქ. #11-ში მდებარე #25 ბინა საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით ირიცხებოდა ჟ. მ-შვილის სახელზე. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 170-ე-172-ე მუხლებით, მიიჩნია, რომ მოსარჩელის, როგორც სადავო ბინის მესაკუთრის, მოთხოვნა, მისი კუთვნილი ბინიდან მოპასუხეთა გამოსახლების შესახებ, საფუძვლიანი იყო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. და ლ. მ-შვილებმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 24 თებერვლის განჩინებით ჟ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 18 ივნისის განჩინებით თ. და ლ. მ-შვილების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 18 ივნისის განჩინება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ლ. და თ. მ-შვილებმა.

საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 17 ივნისის განჩინებით თ. და ლ. მ-შვილების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 18 ივნისის განჩინება.

2005 წლის 20 დეკემბერს თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2010 წლის 23 თებერვალს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განმცხადებით მიმართა ჟ. მ-შვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 17 ივნისის განჩინების განმარტება, რაც შემდგომ 2010 წლის 18 მარტის განცხადებით დააზუსტა, კერძოდ, მან მოითხოვა შემდეგი საკითხების გარკვევა:

ა) ზემოაღნიშნული განჩინებით უქმდება თუ არა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2001 წლის 19 ნოემბერს მხარეთა შორის გაფორმებული მორიგება და მისი თანმდევი ყველა აქტი; და-საშვებია თუ არა ამ განჩინების შემდგომ მოპასუხის მიერ უფლებამონაცვლეობის საკითხის თავი-



დან დაყენება იმ პირობებში, როდესაც სასამართლო განხილვის დროს უფლებამონაცვლეობაზე უფლებამოსილ პირს შესაბამისი ნება არ განუცხადებია, ხოლო თავად სასამართლოს არ შეეძლო უფლებამოსილი პირის უფლებამონაცვლედ ცნობა ამ უკანასკნელის ნების გამოხატვის გარეშე განეხორციელებინა;

ბ) შესულია თუ არა კანონიერ ძალაში თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს (მოსამართლე ვ. ლ-ძე) 2002 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ლ. და თ. მ-შვილები მათთან მყოფ პირებთან ერთად გამოსახლდნენ თბილისში, ... ქ. #11-ში მდებარე #25 ბინიდან და სადავო ბინა გადაეცა მის მესაკუთრე ჟ. ძ-შვილს;

გ) უნდა განახლდეს თუ არა შეჩერებული სააღსრულებო წარმოება იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 20 დეკემბერს გაცემული #2/1759-02 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული იძულებითი აღსრულების თაობაზე;

დ) ჰქონდა თუ არა სააპელაციო სასამართლოს უფლება მიეღო მხარის სარჩელი უფლებამონაცვლეობისა და მორიგების მოთხოვნით, მიუხედავად უზენაესი სასამართლოს განჩინების არსებობისა და ჩაითვლება თუ არა სადავო ბინის მოპასუხის სახელზე დარეგისტრირების შესახებ 2006 წლის 10 ნოემბრის განჩინების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნა კანონიერად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა ჟ. ძ-შვილის წარმომადგენელი მ. ლ-ანის განცხადება და მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. დასახელებული საპროცესო ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების აუცილებლობის საჭიროება დგება და, შესაბამისად, გადაწყვეტილების განმარტების შესახებ სასამართლოს საპროცესო ვალდებულება წარმოიშობა სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსობრივი ბუნდოვანების, უზუსტობის, ურთიერთსაწინააღმდეგობის, ურთიერთგამომრიცხავობის, მისი ნამდვილი აზრის გაურკვევლობის შემთხვევაში. კანონმდებელი ითვალისწინებს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების შესაძლებლობას მისი შინაარსის შეუცვლელად.

მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს განჩინების განმარტების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 17 ივნისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს ბუნდოვან, ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს. გარდა ამისა, განცხადების შინაარსის მიხედვით, განმცხადებელი, ფაქტობრივად, ითხოვს სამართლებრივ დახმარებას არსებულ ვითარებაში განჩინების სამართლებრივი შედეგების თაობაზე. აღნიშნული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, არ შეიძლება იყოს განმარტების საგანი. ამდენად, ჟ. ძ-შვილს უარი უნდა ეთქვას განცხადების დაკმაყოფილებაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ჟ. ძ-შვილის წარმომადგენელ მ. ლ-ანის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 17 ივნისის განჩინების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. აღსრულება

#### გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განაწილვადება; მხარეთა მორიგება

##### განჩინება

#ას-792-1079-09

9 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** გარიგების ბათილად ცნობა, თანასაკუთრებიდან წილის განსაზღვრა და გამოყოფა, აუქციონის შედეგებისა და საჯარო რეესტრის ამონაწერის ბათილად ცნობა

##### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ე-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის, ნოტარიუს ე.შ-შვილს, მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს, ნ. ვ-ულისა და მ. კ-შვილის მიმართ საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმების, გარიგებისა და აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 9 მარტის განჩინებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახური შეიცვალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოთი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ე-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. მოცემული საქმე განხილულ იქნა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება -მ. ე-იამ იკისრა 6 თვის ვადაში, 2009 წლის 16 აპრილის ჩათვლით, მ. კ-შვილისათვის 20 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება; მ.კ-შვილმა თანხმობა გამოთქვა, მითითებული თანხის გადახდისთანავე მ. ე-იასა და ნ. ვ-ულს საკუთრებაში გადასცეს უძრავი ქონება (სარეგისტრაციო ზონა -მცხეთა, კოდი . . . , სექტორი დილომი, 0,030 ჰა სასოფლო-სამეურნეო #. . . ნაკვეთი შენობა-ნაგებობით) და საჯარო რეესტრში აღრიცხოს იგი მ. ე-იასა და ნ. ვ-ულის საკუთრებად; ზემოხსენებულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მ. ე-ია და ნ. ვ-ული 2009 წლის 17 აპრილს სადავო უძრავ ქონებას გადასცემენ მ. კ-შვილს; მხარეთა შეთანხმებით, სადავო უძრავ ქონებას დაედოს ყადაღა და მ. ე-იას მიერ თანხის ვადაში გადაუხდელობისას მითითებული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდება.

2009 წლის 27 აპრილს მ. ე-იამ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული განჩინების აღსრულების 6 თვით გადავადების, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლის შესახებ იმდაგვარად, რომ მ. კ-შვილს 20000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ გადაუფორმდეს მ. ე-იას კუთვნილი 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით მ. ე-იას განცხადება არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 31-ე, 36-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვეტილების აღსრულება გადაუვადოს მხარეს მხოლოდ პატივსადავები მიზეზის არსებობის შემთხვევაში, აღსრულება არ შეესაბამება მორალის ზოგად პრინციპებსა და ნორმებს, ხოლო მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. ე-იამ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: კერძო საჩივრის ავტორი სასამართლოში საქმის განხილვისას აღნიშნავდა, რომ მორიგების პირობის შესასრულებლად -20 000 აშშ დოლარის მ. კ-შვილისათვის გადასახდელად მხოლოდ ერთი საშუალება გააჩნია, კერძოდ, უნდა გაეყიდა ქ.თბილისში, დილომი მდებარე 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ვინაიდან სხვა ქონება მას არ გააჩნდა. მორიგების დამტკიცების მომდევნო პერიოდში მ. ე-იამ ვერ შეძლო კუთვნილი უძრავი ნივთის რეალიზაცია მინიმალურ ფასადაც კი საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისა და მის შემდეგ არსებული ეკონომიკური კრიზისის გამო, რა დროსაც უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა და საბანკო კრედიტის მიღება უკიდურესად გართულდა. მ. ე-იას მეუღლემ მიიღო საბანკო კრედიტი მხოლოდ

5600 ლარის ოდენობით და შესთავაზა მ. პ-შვილს დასაწყისისათვის 5000 აშშ დოლარი, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მ. ე-ია იძულებით გადაადგილებული პირია, ჰყავს სამი შვილი, სხვა საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია და სადავო ფართიდან გამოსახლებას მძიმე შედეგი მოჰყვება მისი ოჯახისათვის. ამასთან, მხედველობაშია მისი საქართველოს ხელისუფლებისა და ქალაქის მერიის განცხადება ლტოლვილთათვის იძულებითი გამოსახლებისას შეღავათების მინიჭების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მ. პ-შვილმა #ა-2150-09 განცხადებით მიმართა პალატას, რომელსაც დაურთო წერილობითი მტკიცებულება 1 ფურცლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ე-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე, შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი. დასახელებული ნორმა ითვალისწინებს სასამართლოს შესაძლებლობას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და ორივე მხარის კანონიერ ინტერესთა ურთიერთშეჯერების შედეგად ერთჯერადად, არა უმეტეს 3 თვისა გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, ასევე, შეცვალოს გადაწყვეტილებით დადგენილი აღსრულების პირობები და საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს რაიმე ობიექტური გარემოების არსებობას ან მიუთითებს თავის მძიმე ქონებრივ მდგომარეობაზე, რაც, სასამართლოს შეფასებით, საფუძველად დაედება გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ ღონისძიებათა გამოყენებას. აღნიშნული კანონის დანაწესი არ უნდა განიმარტოს იმდაგვარად, რომ მხარის ფინანსური სიმწიფეების არსებობა თავისთავად განაპირობებს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესსა და საშუალებებში კანონით განსაზღვრული ცვლილების შეტანას. მითითებული ღონისძიებები ხელს უწყობს მხარის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებას და სასამართლო დაკმაყოფილებს მხარის თხოვნას, თუ ეს უკანასკნელი დაასაბუთებს, რომ აღსრულების გადადება, განაწილვადება, მისი საშუალებისა და წესის შეცვლა გადაწყვეტილების აღსრულებას რეალურად დაეხმარება. ამგვარი საპროცესო ღონისძიებების განხორციელებისას მნიშვნელოვანია ორივე მხარის უფლებათა დაცვა. ამასთან, გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლამ არსებითი გავლენა არ უნდა მოახდინოს გადაწყვეტილებით დადგენილ სამართლებრივ შედეგზე.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების საფუძველზე შეიცავს "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც მიუთითებს აღსრულების შეჩერების წინაპირობად მიჩნეულ კონკრეტულ გარემოებათა ჩამონათვალზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მხარეს 2008 წლის 16 ოქტომბრის სასამართლო განჩინების აღსრულების გადადებისა და აღსრულების საშუალების შეცვლის არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და არც "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონით" გათვალისწინებულ ობიექტურ საფუძველზე არ მიუთითებია, კერძოდ:

მოცემულ შემთხვევაში მ. ე-ია მოითხოვდა მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების აღსრულების 6 თვით გადადებასა და აღსრულების საშუალების იმდაგვარად შეცვლას, რომ მოწინააღმდეგე მხარეს შეთანხმებული თანხის სანაცვლოდ გადასცემოდა მ. ე-იას კუთვნილი უძრავი ნივთი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმით კანონმდებელი გულისხმობს, რომ მორიგებისას მხარეებმა სადავო საკითხზე უნდა მიაღწიონ კომპრომისს, რაც მორიგების პირობების სახით დეტალურად აისახება მორიგების აქტში და, ასეთი პირობების კანონთან შესაბამისობისას, მტკიცდება სასამართლო განჩინებით.

განსახილველ შემთხვევაში მ. ე-იასა და მ. პ-შვილს შორის 2008 წლის 16 ოქტომბერს დამტკიცებული მორიგების პირობას წარმოადგენდა ის, რომ 2009 წლის 17 აპრილამდე მ. ე-იას მ. პ-შვილისათვის უძრავი ქონების სანაცვლოდ უნდა გადაეცა 20 000 აშშ დოლარი. მ. ე-იას მიერ აღნიშნული თანხის მოპოვებასთან დაკავშირებით მხარეებს რაიმე კონკრეტული პირობა არ გაუთვალისწინებიათ. ამდენად, ზემოხსენებული სასამართლო განჩინების აღსრულებაზე გავლენას ვერ მოახდენს მ. ე-იას მითითება, რომ იგი ჯერ კიდევ მორიგების დამტკიცებამდე განმარტავდა სასა-

მართლოში, რომ 20 000 აშშ დოლარის გადახდა შეეძლო მხოლოდ კუთვნილი 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის რეალიზების შემდეგ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ე-ის მოთხოვნის შესაბამისად 2008 წლის 16 ოქტომბრის განჩინების აღსრულების საშუალების შეცვლით –თანხის სანაცვლოდ მ. პ-შვილისათვის თუნდაც გადასახდელ თანხაზე მეტი ღირებულების უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით არსებითად შეიცვლება ზემოაღნიშნული განჩინებით დამტკიცებული მხარეთა შეთანხმების სამართლებრივი შედეგი და დაირღვევა მ. პ-შვილის კანონიერი უფლება, კანონით დადგენილი გზით –სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებით მოახდინოს ამ გადაწყვეტილებით მისთვის მინიჭებული უფლებების რეალიზება.

რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების 6 თვით გადადების მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოწინააღმდეგე მხარისათვის მ. ე-ის მიერ თანხის გადაცემის ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის –2009 წლის 16 აპრილისა და სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვის –27 აპრილის შემდეგ გასულია 6 თვე და, მართალია, გასაჩივრებული განჩინებით მხარეს გადაწყვეტილების აღსრულების გადავადებაზე უარი ეთქვა, მ. ე-ის საკმარისი დრო ჰქონდა, რათა მორიგების პირობების შესრულებაზე ეზრუნა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ე-ის მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის საფუძვლად ვერ ჩაითვლება მის მიერ წარმოდგენილი სოფელ დიდმის საჯარო სკოლის 2009 წლის 27 აპრილის #79 ცნობა ნ. თ. და გ. კ-ების (მ. ე-ის შვილების) მე-2, მე-3 და მე-4 კლასებში სწავლის შესახებ და ბ. კ-ის (მ. ე-ის მეუღლის) მიერ სს "პროკრედიტ ბანკიდან" 5600 ლარის ოდენობით კრედიტის გამოტანის თაობაზე, რადგან მითითებული მტკიცებულებებით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლის სამართლებრივი წინაპირობების არსებობა არ დასტურდება.

მ. პ-შვილს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ #ა-2150-09 განცხადებაზე დართული წერილობითი მტკიცებულება 1 ფურცლად, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მ. ე-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა**

#### **განჩინება**

#ას-359-334-2010

7 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),**

**ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),**

**ნ. კვანტალიანი**

**სარჩელის დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა

### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 18 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. ს-შვილმა მოპასუხეების -ლ. (ო.) ლ-მისა და ნ. შ-იას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, კერძოდ, თბილისში, ... ქ. #17-ში მდებარე არასაცხოვრებელი 275.98კვ.მ-ის მოპასუხეების მიერ გამოთავისუფლება და მისთვის თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარება.

სარჩელის თანახმად, მოპასუხეებმა დაარღვიეს ნ. ს-შვილის საკუთრების უფლება თბილისში, ... ქ. #17-ში მდებარე არასაცხოვრებელ 275.98კვ.მ-ზე, ისინი მოსარჩელეს არ აძლევენ ფართით სარგებლობის შესაძლებლობას. ნ. ს-შვილს სადავო ფართზე უფლება მოპოვებული აქვს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "... 2005-თან" დადებული ხელშეკრულებით, რომლითაც მოსარჩელის ინდივიდუალურ საკუთრებად განისაზღვრა თბილისში, ... ქ. #17-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღნიშნული არასაცხოვრებელი ფართი. სადავო ფართზე მოსარჩელის კანონიერი უფლება ასევე დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერის მონაცემებით, რომლის მიხედვით, ამხანაგობა "... 2005" ვალდებულია, ახლად აშენებულ სახლში ნ. ს-შვილს გადასცეს 275.98კვ.მ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. ს-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, თბილისში, ... ქ. #17-ში მდებარე სახლის პირველ სართულზე არსებული 275.98კვ.მ გამოთხოვილ იქნა მოპასუხეების -ო. ლ-მისა და ნ. შ-იას უკანონო მფლობელობიდან და ნ. ს-შვილს გადაეცა თავისუფალ მდგომარეობაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. შ-იამ (წარმომადგენელი ლ. ბ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის განჩინებით ნ. შ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ს-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის დაბრუნება.

2010 წლის 12 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ნ. ს-შვილმა, რომელმაც საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება მოითხოვა. განმცხადებელმა აღნიშნული მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დაყოვნებით ადგება მნიშვნელოვანი ზიანი. მან განმარტა, რომ სადავო ფართი დატვირთულია იპოთეკით საქართველოს ბანკის სასარგებლოდ, მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ვერ ახერხებს ბანკში ყოველთვიური პროცენტის გადახდას, გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნება კი გამოიწვევს საქართველოს ბანკში მის მიერ სესხის გადაუხდელობის გამო ამ ფართის დაკარგვას. ასეთ ვითარებაში გადაწყვეტილება თავითავად აღუსრულებელი დარჩებოდა, ვინაიდან ბანკი გაყიდდა ... ქ. #17-ში მდებარე სადავო ფართს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მარტის განჩინებით ნ. ს-შვილის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, კერძოდ, დადგინდა მისი სარეზოლუციო ნაწილის შემდეგი პუნქტის აღსრულება: "უძრავი ნივთი, მდებარე ქ. თბილისი ... ქ. #17, პირველი სართული, ფართით 275.98კვ.მ, გამოთხოვილ იქნეს მოპასუხეების -ო. ლ-მის და ნ. შ-იას უკანონო მფლობელობიდან და მოსარჩელე ნ. ს-შვილს გადაეცეს გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში".

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დგინდებოდა, რომ განმცხადებლის მიერ წარდგენილი 2007 წლის 7 დეკემბრის #504752 ხელშეკრულების შესაბამისად ნ. ს-შვილს სს "საქართველოს ბანკიდან" აღებული აქვს კრედიტი 135 000 აშშ დოლარის ოდენობით, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკითაა დატვირთული თბილისში, ... ქ. #17-ში მდებარე უძრავი ქონება, ხოლო 2007 წლის 7 დეკემბრის ხელშეკრულებაში 2009 წლის 16 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებით რესტრუქტურისაციის შედეგად კრედიტის ოდენობა გაიზარდა და განისაზღვრა 141 520 აშშ დოლარით. ამდენად, დგინდებოდა, რომ ნ. ს-შვილის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლზე და განმარტა, რომ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევას კანონი ცალკე არ ითვალისწინებს, თუმცა ცხადია, რომ დაუყოვნებლივ აღსრულებას კანონი უშვებს გადაწყვეტილებით დაცული უფლების დაუშვებლად შელახვის საფრთხის არსებობისას.

იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დგინდებოდა ნ. ს-შვილის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნება მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს აყენებდა კრედიტორს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიზანშეწონილი იყო, გადაწყვეტილება მიქცეულიყო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის ანალოგიით.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. შ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის საკითხის სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილვასა და გადაწყვეტას, რამდენადაც მიიჩნევს, რომ აღნიშნული პირველი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნებოდა. გარდა ამისა, იგი სადავოდ ხდის იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას სასამართლომ არ მოითხოვა მოსარჩელისაგან გადაწყვეტილების აღსრულების შეზღუდვის უზრუნველყოფა სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ განჩინების მიღების მომენტი-სათვის შეუძლებელი იყო იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შესაძლებელია მოპასუხეს მიადგეს და არ იქნა გამორკვეული, მეორე მხარე შეძლებდა თუ არა ზიანის ანაზღაურებას გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების პირობებში, სასამართლომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა მაინც დაუშვა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივნისის განჩინებით ნ. შ-იას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის განჩინებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებს შესწავლის, ნ. შ-იას კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მარტის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას, რომ სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის საკითხის განხილვის კომპეტენცია. ასეთ აკრძალვას არ შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. აღნიშნული კოდექსის 372-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც სააპელაციო სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, გამოიყენოს პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესები, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267<sup>1</sup> და 268-ე მუხლებით და განიხილოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის საკითხი საქმეზე, რომელიც მის წარმოებაში იმყოფება.

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივნისის განჩინებით ნ. შ-იას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის განჩინებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნულის შედეგად, კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ს-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, თბილისში, ... ქ. #17-ში მდებარე სახლის პირველ სართულზე არსებული 275.98კვ.მ გამოთხოვილ იქნა ნ. შ-იას უკანონო მფლობელობიდან და ნ. ს-შვილს გადაეცა თავისუფალ მდგომარეობაში.

ამდენად, მოცემულ საქმეზე წარმოება დასრულებულია, ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მისი აღსრულება შესაძლებელია. საქმის დამთავრების გზით დამდგარ აღნიშნულ სამართლებრივ შედეგთან კი შესაბამისობაშია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მარტის გასაჩივრებული განჩინება, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილების აღსასრულებლად გადაცემას ისახავს მიზნად. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად, კერძო საჩივრით სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საბოლოოდ და არსებითად, რის გამოც აღარ არსებობს კერძო საჩივრით დავის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის დასრულებასთან ერთად ასევე უნდა გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის განჩინებით დადგენილი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მარტის განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-420-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

ნ. შ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მარტის განჩინება;

გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის განჩინებით დადგენილი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მარტის განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერება;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განჩინების აღსრულების განახლება**

**განჩინება**

#ას-674-632-2010

3 აგვისტო, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ვ. როინიშვილი

სარჩელის დავის საგანი: გამოსახლება

კერძო საჩივრის დავის საგანი: გადაწყვეტილების აღსრულების გადადება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2000 წლის 6 სექტემბერს ქ. თბილისის ისანი სამგორის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა გ. მ-ანმა მოპასუხე ბ. თ-იას მიმართ მისი კუთვნილი სარდაფიდან გამოსახლების მოთხოვნით.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. მ-ანის სარჩელი დაკმაყოფილდა, დადგინდა მოსარჩელის კუთვნილი სარდაფიდან ბ. თ-იას გამოსახლება მასთან ერთად მყოფ პირებთან ერთად. სასამართლომ მიიჩნია, რომ სარდაფი, რომლის გათავისუფლებასაც ითხოვდა მოსარჩელე, მის საკუთრებას წარმოადგენდა. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არ არსებობდა შეთანხმება სადავო ფართის დათმობის შესახებ.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ბ. თ-იამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების შეჩერება მოითხოვა. აპელანტი მიუთითებდა, რომ მოსარჩელე გ. მ-ანს სახლზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, რომელშიც სადავო სარდაფი მდებარეობდა, ჰქონდა დავა მოქალაქე ლ. თ-შვილთან, შესაბამისად, აპელანტი მიიჩნევდა, რომ შეუძლებელი იყო საქმის გადაწყვეტა, ვინაიდან გაურკვეველი იყო სადავო ფართის შესაკუთრე.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 12 თებერვლის განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება, რომლის მიხედვით, მოპასუხე ბ. თ-იას უფლება მიეცა, ეცხოვრა სადავო ფართში ერთი წლით - 2002 წლის 12 თებერვლამდე, რის შემდეგაც ვალდებულებას კისრულობდა, აღნიშნული ფართი გამოეთავისუფლებინა ნებაყოფლობით.

2002 წლის 21 მაისს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას განცხადებით მიმართეს ბ. და ზ. თ-იებმა და ითხოვეს სააღსრულებო ფურცლის შეჩერება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 28 მაისის განჩინებით ბ. და ზ. თ-იების განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 12 თებერვლის განჩინების აღსრულება გადაიდო მხარეთა შორის თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული დავის (სარდაფის სარემონტო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე) გადაწყვეტამდე.

2010 წლის 1 მარტს გიორგი მანონის მოთხოვნით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გასცა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 12 თებერვლის განჩინებაზე.

2010 წლის 14 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ბ. თ-იამ და ითხოვა გაცემული სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის აღსრულების გადადება. განმცხადებელმა მიუთითა, რომ 2010 წლის 8 მარტს ჩაჰბარდა 2004 წლის 27 თებერვლის განჩინება სარდაფის სარემონტო ხარჯების ანაზღაურებაზე მისი სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ და აღნიშნულ განჩინებაზე აპირებდა კერძო საჩივრის შეტანას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 მაისის განჩინებით ბ. თ-იას განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების გადადების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა, რომ განცხადების თანახმად, ბ. თ-იას განჩინება გ. მ-ანის მიმართ სარდაფის სარემონტო ხარჯების ანაზღაურების შესახებ ჩაჰბარდა 2010 წლის 8 მარტს, განსახილველი განცხადება კი სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი იყო 2010 წლის 14 მაისს, რა დროისთვისაც ბ. თ-იას განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გასაჩივრებული. შესაბამისად, აღსრულების გადადების შესახებ შუამდგომლობა უსაფუძვლო იყო.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ბ. თ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, განცხადების დაწერისას დაუშვა მექანიკური შეცდომა, კერძოდ, 2010 წლის 8 მაისის ნაცვლად მიუთითა 2010 წლის 8 მარტი, რაც საფუძვლად დაედო მისი განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. მას ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 თებერვლის განჩინება განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებული ჰქონდა და საქმე სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში იმყოფებოდა, რის დასადასტურებლადაც კერძო საჩივარს თან ურთავდა შესაბამის მტკიცებულებებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 მაისის განჩინება და ბ. თ-იას განცხადება ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, არსებობს კანონიერ ძალაში შესული თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 28 მაისის განჩინება, რომლითაც ბ. და ზ. თ-იების მოთხოვნის საფუძველზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 12 თებერვლის განჩინების აღსრულება გადაიდო მხარეთა შორის თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული დავის (სარდაფის სარემონტო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე) გადაწყვეტამდე. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 12 თებერვლის განჩინების აღსრულების განახლების პირობაა მხარეთა შორის სარდაფის სარემონტო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე დავის გადაწყვეტა.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სარწმუნოდ არ გამოარკვია, მხარეთა შორის დასრულებული იყო თუ არა დავა სარდაფის სარემონტო ხარჯების ანაზღაურების შესახებ და არსებობდა თუ არა ამ საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება. ბ. თ-ია განცხადებაში აღნიშნავდა, რომ იგი აპირებდა კერძო საჩივრის შეტანას ამ საქმეზე გამოტანილ განჩინებაზე. სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია, რომ კერძო საჩივარი იქნებოდა დაუშვებელი, რომ ამ საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის საკითხი არ გამოურკვევია.

სააპელაციო სასამართლომ ხელახლა უნდა შეამოწმოს, დაცულია თუ არა კანონიერ ძალაში შესული თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 12 თებერვლის განჩინებით დადგენილი, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 12



თებერვლის განჩინების აღსრულების განახლების პირობა - არსებობს თუ არა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება მხარეთა შორის სარდაფის რემონტის ხარჯების ანაზღაურების შესახებ დავაზე და ისე გადაწყვიტოს ბ. თ-იას განცხადების საკითხი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 მაისის განჩინება და ბ. თ-იას განცხადება ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**4. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში**

**სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის თავიდან გადაწყვეტა**

#ას-1219-1479-09

9 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ რეგისტრაცია

**აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 16 მაისს გ. ჭ-იამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების დ. მ-ოვისა და გ. ს-ძის მიმართ და მოითხოვა 2006 წლის 17 მარტს გ. ს-ძესა და დ. მ-ოვს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, გ. ს-ძესა და გ. ჭ-იას შორის იმავე უძრავ ქონებაზე დაფარული გარიგების დადებულად ჩათვლა და, შესაბამისად, როგორც თანამდევი შედეგი, გ. ჭ-იას საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ჭ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 მაისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო დ. მ-ოვის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას ... #00 კვარტალში, ნაკვეთი #211-ს, ფართობით -0,38 ჰა და მასზე რიცხულ საცხოვრებელ სახლს.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მხარეების განმარტებებითა და ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 წლის 17 მარტს გ. ს-ძესა და დ. მ-ოვის სახელით მის წარმომადგენელ ზ. ჯ-შვილს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა გამყიდველ გ. ს-ძის უძრავი ქონება, კერძოდ, გარდაბნის რაიონში, წყნეთის სატყეო უბანში მდებარე 0,38 ჰა მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული საცხოვრებელი სახლი. ნასყიდობის საგანი გაიყიდა 440 000 აშშ დოლარად. ხელშეკრულების თანახმად, მყიდველი ვალდებული იყო, ნასყიდობის ფასი გამყიდველისათვის სრულად გადაეხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე, ხოლო გამყიდველი ვალდებული იყო, მიეღო ნასყიდობის ფასი და ნასყიდობის საგანი მყიდველისთვის გადაეცა 2006 წლის 17 მარტს.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ დ. მ-ოვი 2006 წლის 17 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ...-ში მდებარე 0,38 ჰა მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ;

გ. ჭ-ია არ წარმოადგენდა სადავო გარიგების, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების სუბიექტს.

სასამართლომ არ გაიზიარა გ. ჭ-იას მტკიცება იმის თაობაზე, რომ იგი სადავო ქონების მყიდველს წარმოადგენდა და აღნიშნა შემდეგი: ნასყიდობის ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი, 2008 წლის 3 იანვრის წერილში მითითებული ფაქტი, რომ დ. მ-ოვმა გამოთქვა სურვილი უძრავი ქონების დაბრუნების თაობაზე, არ ადასტურებდა სარჩელში მითითებულ გარემოებას სადავო გარიგების მოქვენებითობის შესახებ.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ 2002 წლიდან სადავო უძრავი ქონების სარემონტო სამუშაოების ორგანიზებაში გ. ჭ-იას მონაწილეობა, რაც დაადასტურეს საქმეზე დაკითხულმა მოწმეებმა, ვერ ამტკიცებდა იმ გარემოებას, რომ 2006 წელს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების სუბიექტს წარმოადგენდა გ. ჭ-ია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო დაედასტურებინა ის გარემოება, რომ იგი სადავო გარიგების სუბიექტი იყო, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა, რომ გ. ჭ-ია იყო სადავო უძრავი ქონების რეალური მყიდველი.

სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულებაში მითითებული სუბიექტების -გ. ს-მისა და დ. მ-ოვის ნება მიმართული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების წარმოშობისაკენ, შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ დაცული იყო ნების გამოხატვის სამართლებრივი ფორმა და არ არსებობდა ის გარემოებები, რაც სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის შესაბამისად, გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი იქნებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ჭ-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განჩინებით გ. ჭ-იას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის თაობაზე და მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას საქმის ფაქტობრივი გარემოებები ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოუკვლევია, ანუ გადაწყვეტილება ფაქტობრივად დაუსაბუთებელი იყო, რითაც დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის მოთხოვნა. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სრულად და ობიექტურად არ იყო გამოკვლეული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 18 მაისის განაჩენი, მოსარჩელე გ. ჭ-იასა და მოპასუხე გ. ს-მის ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები, ასევე, დ. მ-ოვის მიერ გ. ჭ-იასთვის 2003 წლის 3 იანვარს გაგზავნილი ელექტრონული წერილი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ ისე უარყო ზემოაღნიშნული მტკიცებულებები, რომ საერთოდ არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია მათი შინაარსი და არ დაუსაბუთებია, თუ რა დაუდო საფუძველად მათ უარყოფას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმის ხელახლა განხილველ სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით სათანადოდ უნდა გამოეკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით და მხოლოდ მას შემდეგ უნდა ემსჯელა, არსებობდა თუ არა სადავო გარიგების ბათილობისა და სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ გ. ჭ-იას ცნობის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა როგორც გ. ჭ-იამ, ასევე, დ. მ-ოვმა.

კასატორმა გ. ჭ-იამ საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების ნაწილში და მოითხოვა საკასაციო სასამართლოს სააპელაციო სასამართლოსათვის მიეცა მითითება თავად განეხილა სააპელაციო საჩივარი, თავად გამოეკვლია 2009 წლის 6 ნოემბრის განჩინებით გათვალისწინებული ფაქტები და თავად მიეღო საქმეზე ახალი გადაწყვეტილება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში უკანონოა, ვინაიდან სასამართლომ ერთი მხრივ მართებულად გაიზიარა აპელანტის მოსაზრება და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასრულყოფილად გამოიკვლია საქმე და სათანადო სამართლებრივი შეფასებები არ მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თუმცა მეორე მხრივ არ ისარგებლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილით მინიჭებული უფ-

ლებამოსილებით და მიუხედავად სააპელაციო საჩივარში დაყენებული მოთხოვნისა, საერთოდ არ იმსჯელა მის მიერ ახალი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობაზე, ანუ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილში არ შეიცავს დასაბუთებას, რითაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. ამასთან, კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუმართლებელია პროცესის ეფექტურობის, ეკონომიურობის პრინციპებიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს სამოქალაქო დავების დროულ, გონივრულ ვადაში განხილვასა და გადაწყვეტას.

რაც შეეხება კასატორ დ. მ-ოვს, თავისი საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ განჩინების გამოტანისას არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი, ვინაიდან საქალაქო სასამართლომ გამოიკვლია როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის ახსნა-განმარტებები და მოსარჩელის მიერ სადავო საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებიც და სამართლებრივად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობდა გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი;

კასატორის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველით გაუქმების საფუძველი არ არსებობდა. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მეორე ნაწილი და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. ამასთან, სასამართლომ საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილების ფაქტობრივი დაუსაბუთებლობის დადასტურების მიზნით, არასწორად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ გ. ჭ-იას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დ. მ-ოვის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს. ამ მუხლის მე-2 ნაწილი იმავდროულად არ ადგენს საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების აუცილებლობას და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე, როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება. სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ გულისხმობს, რომ სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება შეუზღუდავია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებასთან მიმართებით. ამასთან, საკასაციო სასამართლოს თვლის, რომ მართლმსაჯულების დროულად განხორციელების, სასამართლო დავების ოპერატიულად გადაწყვეტის, ასევე, საქმის გახილვის უსაფუძვლო გაჭიანურების მიზნით, სააპელაციო პალატამ შეძლებისდაგვარად თავი უნდა შეიკავოს ხელახლა განსახილველად საქმის რაიონულ სასამართლოში დაბრუნებისაგან და არსებითად თავად განიხილოს იგი, თუკი არ არსებობს საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების კანონით გათვალისწინებული აუცილებლობა. სააპელაციო სასამართლომ, რომელიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან მნიშვნელოვნად დაირღვა საპროცესო ნორმები, რაც ართულებს საქმის განხილვას სააპელაციო სასამართლოში.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების საფუძველად მიუთითა, რომ სრულად და ობიექტურად არ იყო გამოკვლეული საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 18 მაისის განაჩენი, მოსარჩელე გ. ჭ-იასა და მოპასუხე გ. ს-მის ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები, ასევე, დ. მ-ოვის მიერ გ. ჭ-იასთვის 2003 წლის 3 იანვარს გაგზავნილი ელექტრონული წერილი. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმის ხელახლა განმხილველ სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით სათანადოდ უნდა გამოეკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით და მხოლოდ მას შემდეგ უნდა ემსჯელა, არსებობდა თუ არა სადავო გარიგების ბათილობისა და სადავო უძრავ ქონების მესაკუთრედ გ. ჭ-იას ცნობის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოებები, რომლებზეც სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად უთითებს, არ განეკუთვნება ისეთ გარემოებებს, რომლის გამოც გამართლებული იქნებოდა მოცემულ შემთხვევაში საქმის უკან გადაგზავნა. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს კონკრეტულ მითითებას სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული საკითხის თავად შემოწმების შეუძლებლობაზე, რამაც რაიონულ სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობა განაპირობა. სააპელაციო სასამართლოს სავსებით შეეძლო, თავად შეემოწმებინა და გამოეკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნების აუცილებლობა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის თავად გადაწყვეტის შეუძლებლობა.

რაც შეეხება კასატორ დ. მ-ოვის მოთხოვნას საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, საკასაციო სასამართლო მოკლებულია აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა საკასაციო სასამართლოს მიერ პროცესუალურად შეუძლებელია, ვინაიდან საქმეზე ჯერ არ არსებობს არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო საკასაციო სასამართლო მის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს წყვეტს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შემდგომ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

- გ. ჭ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
- დ. მ-ოვის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
- გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის ფარგლები**

#### **განჩინება**

#ას-96-91-2010

31 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულებისა და სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. ც-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. თ-ელისა და მესამე პირების ნოტარიუს დ. წ-იასა და ნოტარიუს თ. ჯ-ულის მიმართ 1997 წლის 29 აგვისტოს ი. ხ-ძესა და ვ. შ-ოვას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების, ასევე, 2004 წლის 26 აგვისტოს გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძველებით: 1997 წლის 29 აგვისტოს ი. ხ-ძესა და ვ. შ-ოვას შორის დაიდო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ქ.თბილისში, ... ქ.#58/10-ში მდებარე სახლის 24/465-ზე. 1997 წლის 29 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებას ნოტარიუსმა დ.წ-იამ მხარეთა ნების წერილობითი დადასტურების გარეშე დაამატა მინაწერი დამხმარე 74 კვ.მ-ის ნასყიდობის შესახებ. 2004 წლის 26 აგვისტოს ნოტარიუსმა თ. ჯ-ულმა გასცა აწ გარდაცვლილი ვ. შ-ოვას სამემკვიდრეო მოწმობა ლ. თ-ელის სახელზე, რასაც საფუძველად დაედო ზემოხსენებული ყალბი დოკუმენტი. აღნიშნულ დამხმარე ფართში შედის მოსარჩელის კუთვნილი 6 კვ.მ, რომელიც უკანონოდ აღმოჩნდა ლ. თ-ელის საკუთრებაში. ზემოხსენებული

ფაქტობრივი გარემოებები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელის მოთხოვნები უსაფუძვლოა; ლ. ც-ძეს არანაირი იურიდიული ინტერესი არ გააჩნია სადავო გარიგებისა და სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობასთან მიმართებით; ამასთან, ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის 2008 წლის 11 მარტის დადგენილებით წინასწარი გამოძიება, სისხლის-სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, შეწყდა და სადავო გარიგების სიყალბის საკითხი არ დადგენილა, შესაბამისად, აღნიშნული გარემოების დადასტურების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით ლ. ც-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 1997 წლის 29 აგვისტოს გამყიდველ ი. ხ-ძესა და მყიდველ ვ. შ-ოვას შორის დადებული ნოტარიუს დ. წ-იას მიერ დამოწმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება იმ ნაწილში, რომლითაც გასხვისებულ იქნა თ. ც-ძის კუთვნილი არასაცხოვრებელი, დამხმარე 6 კვ.მ, ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს თ. ჯ-ულის მიერ 2004 წლის 26 აგვისტოს მამკვიდრებელ ვ. შ-ოვას მემკვიდრის - ლ. თ-ელის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა იმ ნაწილში, რომლითაც 2002 წლის 13 ივნისს გარდაცვლილ ვ. შ-ოვას სამკვიდრო მასის შემადგენელ ნაწილად მიჩნეულ იქნა თ. ც-ძის კუთვნილი არასაცხოვრებელი, დამხმარე 6 კვ.მ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. თ-ელმა, ხოლო მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში - ლ. ც-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ლ. თ-ელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხე ლ. თ-ელს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 200 ლარის გადახდა და ლ. თ-ელს ლ. ც-ძის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის გადახდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1992 წლის 2 ნოემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულების თანახმად, ი. ხ-ძეს პრივატიზაციის გზით საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. #58/10-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა, რომელიც მოიცავდა საცხოვრებელ 24 კვ.მ-სა და დამხმარე 74 კვ.მ-ს. ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში ი. ხ-ძის სახელზე დარეგისტრირდა საცხოვრებელი სახლის 24/465, ხოლო დამხმარე ფართი არ იქნა მითითებული. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 17 სექტემბრის განჩინებით სამოქალაქო საქმეზე - თ. ც-ძის სარჩელის გამო მოპასუხე ი. ხ-ძის მიმართ 1992 წლის 2 ნოემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ; მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება იმგვარად, რომ ი. ხ-ძის 1992 წლის 2 ნოემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულებიდან ამოირიცხა დამხმარე 6 კვ.მ და ნაცვლად 74 კვ.მ-ისა, მის სახელზე პრივატიზებულ იქნა დამხმარე 68 კვ.მ, ხოლო ამოირიცხული 6 კვ.მ დარჩა ც-ძეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 17 სექტემბრის #497 განჩინების საფუძველზე დამხმარე 6 კვ.მ საჯარო რეესტრში აღირიცხა თ. ც-ძის სახელზე. 1997 წლის 29 აგვისტოს ი. ხ-ძესა და ვ. შ-ოვას შორის დაიდო ნოტარიუს დ. წ-იას მიერ დამოწმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომლითაც ი. ხ-ძემ ვ. შ-ოვას მიჰყიდა ქ. თბილისში, ... ქ. #58/10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კუთვნილი 24/465. მოგვიანებით ნოტარიუს დ. წ-იას მიერ ხელშეკრულების პირველ გვერდზე გაკეთდა მინაწერი „ი. ხ-ძის მიერ გაიყიდა 24 კვ.მ საცხოვრებელი და 74 კვ.მ არასაცხოვრებელი დამხმარე ფართი. მყიდველი შ-ოვა ვ.“. მანვე გააგზავნა წერილი ქ. თბილისის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფროსის სახელზე თხოვნით, შესწორებულიყო ტექნიკური აღრიცხვის მონაცემები იმასთან დაკავშირებით, რომ ხ-ძესა და შ-ოვას შორის ნამდვილად მოხდა საცხოვრებელი 24 კვ.მ და არასაცხოვრებელი 74 კვ.მ-ის ყიდვა-გაყიდვა. 2002 წლის 13 ივნისს ვ. შ-ოვა გარდაიცვალა. 2004 წლის 26 აგვისტოს ნოტარიუსმა თ. ჯ-ულმა სამკვიდრო მოწმობა გასცა ვ. შ-ოვას სამკვიდრო ქონებაზე პირველი რიგის მემკვიდრის, შვილის - ლ. თ-ელის სასარგებლოდ. სამკვიდრო მასაში შემავალ უძრავ ქონებად საჯარო რეესტრის ამონაწერისა და 1997 წლის 29 აგვისტოს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე მიჩნეულ იქნა ქ. თბილისში, ... ქ. #58/10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 24/465 დამხმარე 74 კვ.მ-ით და 11 კვ.მ სარდაფით. სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე ლ. თ-ელი აღირიცხა აღნიშნული ფართის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში. 2005 წლის 5 სექტემბრის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ქ. თბილისში, ... ქ. #58/10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის თ. ც-ძის სახელზე რიცხული ნაწილი - საცხოვრებელი 41 კვ.მ, დამხმარე 11 კვ.მ და 6 კვ.მ-ით საჯარო რეესტრში აღირიცხა ლ. ც-ძის საკუთრებად. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოცემული სადავო

ურთიერთობის მოსაწესრიგებლად სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1964 წლის რედაქციის გამოყენებასთან დაკავშირებით. სასამართლომ მიუთითა მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 1504-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ, აღნიშნულ გარიგებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები სასამართლოს მიერ მართებულად იქნა მოწესრიგებული ხელშეკრულების დადების დროისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1964 წლის რედაქციის შესაბამისი ნორმებით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი სარჩელით ლ. ც-მე მოითხოვს 1997 წლის 29 აგვისტოს გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობას.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1964 წლის რედაქციის 237-ე მუხლის თანახმად, გამყიდველი უფლებამოსილია, მყიდველს გადასცეს მხოლოდ ის ქონება, რომლის გასხვისების უფლებაც მას გააჩნია. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ ვ. შ-ოვამ დამხმარე 74 კვ.მ-ზე საკუთრების უფლება 1997 წლის 29 აგვისტოს ი. ხ-მესთან გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა, ამდენად, ხელშეკრულების დადების დროს დამხმარე 74 კვ.მ-დან 6 კვ.მ ივ.ხ-მეს არ ეკუთვნოდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 17 სექტემბრის განჩინების საფუძველზე წარმოადგენდა თ. ც-მის საკუთრებას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულების დადება შეუძლია საამისოდ უფლებამოსილ პირს -მესაკუთრეს, ამგვარი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია მესაკუთრის ნების გამოვლენა. იმის გათვალისწინებით, რომ თ. ც-მე არ წარმოადგენდა გარიგების მხარეს, იგი ამგვარ ნებას ვერ გამოავლენდა, შესაბამისად, დამხმარე 6 კვ.მ-ის გასხვისება მესაკუთრის ნების გარეშე მოხდა. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1964 წლის რედაქციის 48-ე მუხლის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო გარიგებით დაირღვა კანონით დადგენილი წესრიგი, კერძოდ, ამავე კოდექსის 237-ე მუხლის დანაწესი, რის გამოც, ზემოაღნიშნული მუხლის თანახმად, გარიგება ბათილია. სამოქალაქო კოდექსის 1964 წლის რედაქციის 58-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებულ გარიგებას დამხმარე 6 კვ.მ-ის გასხვისების ნაწილში არ შეიძლება მოჰყვეს ნასყიდობისათვის დამახასიათებელი შედეგი -მყიდველისათვის საკუთრების უფლების გადაცემა ქონებაზე. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად ცნო ბათილად 1997 წლის 29 აგვისტოს გამყიდველ ი. ხ-მესა და მყიდველ ვ. შ-ოვას შორის დადებული, ნოტარიუს დ.წ-იას მიერ დამოწმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება იმ ნაწილში, რომლითაც გასხვისებულ იქნა თ. ც-მის კუთვნილი, არასაცხოვრებელი დამხმარე 6 კვ.მ.

პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ლ. ც-მეს არ გააჩნია იურიდიული ინტერესი 6 კვ.მ-ის გარდა, დამხმარე დანარჩენი, 68 კვ.მ-ის გასხვისების ნაწილში ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ბათილად ცნობის მიმართ, ვინაიდან როგორც 1992 წლის 2 ნოემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულებით, ისე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 17 სექტემბრის მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინებით აღნიშნულ დამხმარე ფართზე საკუთრების უფლების მქონედ მიჩნეულია თავდაპირველი მესაკუთრე -ი. ხ-მე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, იურიდიული ინტერესის არსებობის დამადასტურებელ გარემოებად სასამართლომ არ ჩათვალა ლ. ც-მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოება, რომ ი. ხ-მეს კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში არასაცხოვრებელი 68 კვ.მ-ის რეგისტრაცია არ განუხორციელებია, შესაბამისად, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი და მეორე ნაწილის თანახმად, იგი წარმოადგენს ქ.თბილისში, ... ქ.#58/10-ის მრავალბინიანი სახლის მესაკუთრეთა, მათ შორის, მის საერთო საკუთრებას, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ფართის მრავალბინიანი სახლის მესაკუთრეთა, მათ შორის, ლ.ც-მის თანასაკუთრებაში ყოფნის ფაქტი დადასტურებული არ არის. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლით, 1335-ე მუხლის მეორე ნაწილით და დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოებები 1997 წლის 29 აგვისტოს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მამკვიდრებელ ვ. შ-ოვასა და ი. ხ-მეს შორის დამხმარე 74 კვ.მ-ზე საკუთრების უფლების შეძენის შესახებ, ასევე, იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ფართი-დან 6 კვ.მ ხელშეკრულების დადების დროს ივ.ხ-მეს არ ეკუთვნოდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 17 სექტემბრის განჩინების საფუძველზე წარმოადგენდა თ. ც-მის საკუთრებას, შესაბამისად, აღნიშნული დამხმარე 6 კვ.მ ვ. შ-ოვას სამკვიდრო მასის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, რადგან 2004 წლის 16 აგვისტოს ნოტარიუს თ.ჯ-ულის მიერ ვ. შ-ოვას მემკვიდრე ლ. თ-ელის სასარგებლოდ გაცემული სამკვიდრო მოწმობით სამკვიდრო მასაში შემავალ უძრავ ქონებად მიჩნეულ იქნა ქ.თბილისში, ... ქ.#58/10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 24/465 -დამხმარე 74 კვ.მ-ით და 11 კვ.მ სარდაფით, აღნიშნული სამკვიდრო მოწმობა სადავო არასაცხოვრებელი, დამხმარე 6 კვ.მ-ის ნაწილში ცნობილ უნდა იქნეს ბათილად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ლ.თ-ელის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ამ უკანასკნელმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 237-ე, 48-ე, 58-ე, 59-ე მუხლები, რომელიც გამოიყენა, რადგან 1997 წლის 29 აგვისტოსათვის, ამავე კოდექსის 239-ე მუხლის შესაბამისად, თ. ც-მე არ იყო რეგისტრირებული სადავო 6 კვ.მ-ის მე-საკუთრედ სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ადმინისტრაციულ კომიტეტში, ანუ განჩინება არ იყო რეგისტრირებული ადმინისტრაციულ ორგანოში და აღნიშნული განჩინების შესახებ ვ.შ-ოვამ არაფერი იცოდა. პალატამ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1335-ე მუხლის მეორე ნაწილი და ჩათვალა, რომ ვ.შ-ოვას სამკვიდრო მასაში შევიდა თ.ც-მის კუთვნილი ქონება. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ლ.თ-ელის სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის მომენტში თ.ც-მე საჯარო რეესტრში სადავო 6 კვ.მ-ის შესაკუთრედ რეგისტრირებული არ ყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ლ. ც-მემაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განჩინებით ლ.ც-მის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. თ-ელის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევა არ მომხდარა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო ამოწმებს რა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, თვლის, რომ კასატორის მიერ მითითებული კანონის დარღვევა არ მომხდარა, კერძოდ:

ლ. თ-ელის საკასაციო საჩივრის არგუმენტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ვ. შ-ოვამ სადავო ქონების შემენის დროს არ იცოდა სადავო 6 კვ.მ-ზე თ. ც-მის საკუთრების უფლების თაობაზე, ხოლო თავად კასატორისათვის, როგორც მემკვიდრისათვის, უცნობი იყო ამგვარი უფლების თაობაზე, ვინაიდან თ. ც-მისათვის 1996 წლის 17 სექტემბრის სასამართლო განჩინებით მინიჭებული საკუთრების უფლება 6 კვ.მ-ზე დარეგისტრირდა 2006 წელს, ანუ მას შემდეგ, რაც ლ. თ-ელმა მემკვიდრეობით მიიღო ქონება, მათ შორის, 6 კვ.მ-იც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილით, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

მოცემულ შემთხვევაში ლ. თ-ელის სააპელაციო საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ლ. ც-მის სარჩელი არც ნასყიდობის ხელშეკრულების და არც სამკვიდრო მოწმობის 6 კვ.მ-ის ბათილობის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან მას არ გააჩნია იურიდიული ინტერესი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ზემოხსენებული ნორმის თანახმად, იმსჯელა მხოლოდ აპელანტის მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ვერ იმსჯელებდა კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ ფაქტებზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე და 407-ე მუხლების თანახმად, მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, ვინაიდან ეს გარემოებები სააპელაციო საჩივრით მხარეს სადავო არ მიუჩნევია და, შესაბამისად, მათ სამართლებრივ დასაბუთებაზე არ უმსჯელია, კერძოდ, კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულია ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც მიანიშნებენ მისი, როგორც შემენის კეთილსინდისიერებაზე, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი არ ყოფილა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერი და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი კასატორს არ დაუსაბუთებია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

## და ა ა დ გ ი ნ ა :

ლ. თ-ელის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსი

#### განჩინება

#ას-1157-1419-09

22 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 4 დეკემბერს შპს "ა-მა" თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა, შპს "ი. ტ. ლოს-ს" საზოგადოებიდან გარიცხვისა და სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციის მოთხოვნით.

მოსარჩელემ განმარტა, რომ შპს "ა-ი" 1996 წლის 18 იანვარს დაფუძნდა. მოგვიანებით, საზოგადოების საწესდებო კაპიტალში წილები შემდეგნაირად გადანაწილდა: "ი. ტ. ს. ინქი" გახდა საწესდებო კაპიტალის 85%-ის მფლობელი, ხოლო შპს "მ. ტ. კ-ია" - 15%-ის. 2007 წლის 28 ნოემბერს შპს "ა-ის" პარტნიორთა კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება "ი. ტ. ლოს-ს" საზოგადოების პარტიორებიდან გარიცხვის შესახებ, საზოგადოებას, კრების გადაწყვეტილების რეალიზაციის მიზნით, სასამართლოსათვის მიმართვა დაევალა.

მოსარჩელის მტკიცებით, შპს "ა-ის" წესდების მე-7 მუხლის თანახმად, პარტნიორებს ეკრძალებათ საზოგადოების საზიანო ქმედებების განხორციელება. მოპასუხე კი კომპანიის საწინააღმდეგო საქმიანობას ეწევა, კერძოდ, მან მმართველობის სრული უზურპაცია მოახდინა, ქართულ მხარეს თავს მოახვია წესდების კაბალური პირობები, მისი ერთპიროვნული მართვის შედეგად საზოგადოება ფინანსურ ზარალს განიცდიდა, გარდა ამისა, იგი არაერთ დავას აწარმოებდა საზოგადოების მიმართ, რითაც არამართო ქონებრივ ზიანი მიაყენა მას, არამედ მისი დემორალიზაციაც მოახდინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით შპს "ა-ის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. შპს "ა-ის" კაპიტალის 85%-ს "ი. ტ. ინქი" ფლობდა, ხოლო 15%-ს - შპს "მ. ტ. კ-ია";
2. შპს "ა-ის" პარტნიორთა 2007 წლის 28 ნოემბრის კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება "ი. ტ. ინქის" საზოგადოებიდან გარიცხვისა და მისი წილის დარჩენილ პარტნიორზე განაწილების შესახებ. პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის მოტივაცია იყო შემდეგი: შპს "მ. ტ. კ-ის" საზოგადოების მართვისაგან ჩამოშორება, წარუმატებელი სამეურნეო საქმიანობა, შპს "ა-ის" მიმართ დავის ხელოვნურად წამოწყება, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა საზოგადოების ხელმძღვანელების წინააღმდეგ;

3. შპს "ი. ტ. ინქის" მიერ აღძრულ სარჩელოზე მოპასუხეები შპს "მ. ტ. კ-ია" და შპს "ა-ი" იყვნენ;

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარ სამმართველოში სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე შპს "მ. ტ. კ-ისა" და შპს "ა-ის" ხელმძღვანელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება მიმდინარეობდა;

5. შპს "ა-ის" გენერალური დირექტორის ინფორმაციით, საწარმოს აკუმულირებული ზარალის ოდენობამ 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 7 437 659 ლარი შეადგინა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს "ა-მა" ვერ წარადგინა ზიანის მიყენების ფაქტის, ან ამ ზიანის მოპასუხის ქმედებით დადგომის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები. რაც შეეხება



სარჩელში მითითებულ დანარჩენ გარემოებებს (საწარმოს მართვის უზურპაცია, წილის უპირატესი შესყიდვის უფლების ჩამორთმევა და ა.შ.), აღნიშნული საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის კანონიერ საფუძველს არ წარმოადგენდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს "ა-ის" წარმომადგენელმა ა. თ-არმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა და მისი გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით შპს "ა-ის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ დასაბუთებას, აგრეთვე დამატებით აღნიშნა, რომ "მეწარმეთა შესახებ" კანონი პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის მხოლოდ ერთ საფუძველს ითვალისწინებს, რომელიც ამ კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტითაა დადგენილი, მოცემულ შემთხვევაში კი მოპასუხე საზოგადოებიდან ამ საფუძველით არ გაურიცხავთ.

აღნიშნული განჩინება შპს "ა-ის" წარმომადგენელმა ა. თ-არმა საკასაციო წესით გაასაჩივრა.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, არ ითვალისწინა ის გარემოება, რომ მოპასუხის ქმედებით საზოგადოებას სერიოზული ზიანი ადგებოდა და მასთან ერთობლივი საქმიანობის გაგრძელება შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, სასამართლომ არასწორად განმარტა "მეწარმეთა შესახებ" კანონის ნორმები. მართალია, აღნიშნული კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს პარტნიორის გარიცხვას საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების გამო, მაგრამ არც ამ საკითხის წესდებით მოწესრიგებას კრძალავს. მოცემულ შემთხვევაში კი შპს "ა-ის" წესდება პარტნიორებს საზოგადოების საწინააღმდეგო რაიმე ქმედების განხორციელებას უკრძალავს. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არც ის გარემოება გაითვალისწინა, რომ "ი. ტ. ინქი" მათ კონკურენტ კომპანია შპს "მ-ში" საკონტროლო პაკეტს ფლობდა და მისი მთელი ძალისხმევა აღნიშნული საზოგადოების განვითარებისაკენ იყო მიმართული, რაც შპს "ა-ის" ინტერესებს ეწინააღმდეგება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 18 დეკემბრის განჩინებით შპს "ა-ის" საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

აღნიშნული ნორმა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სასამართლოს შეუძლია მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნების გაზიარების შესახებ ზოგადი მითითებით შემოიფარგლოს. ნორმის ამგვარი განმარტება წინააღმდეგობაში მოვიდოდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებთან, ისევე, როგორც სამოქალაქო სასამართლოს, როგორც პირის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალების, მიზნებთან. 390-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. „მოკლე დასაბუთება“ არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვით, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში თავისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთოს თავის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე, როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე გადაწყვეტი-

ლებამი ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ზემოთ მითითებული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. გადაწყვეტილების მოტივაცია შემოფარგლულია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების პუნქტებზე ბლანკეტური მითითებით ისე, რომ მასში ასახული არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული სამართლებრივი შეფასებები და კანონები, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისას აპელანტი აპელირებდა შპს „ა-ის“ წესდების მე-7 მუხლზე, რომელიც, აპელანტის მოსაზრებით, არ არის შეფასებული პრველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. აპელანტი ასევე უთითებდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ „დარღვევების 5 დამოუკიდებელ მიმართულებაზე“. არც ერთ მითითებულ საკითხზე სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია.

გასაჩივრებულ განჩინებაში საუბარია მხოლოდ და მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47.3-ე მუხლზე. სასამართლოს მითითებით, აპელანტი პარტნიორის გარიცხვას აფუძნებდა მითითებულ ნორმას. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი დასაბუთება არ წარმოადგენს მხარის ვალდებულებას და სასამართლო ვალდებულია შეაფასოს რამდენად უფლებამოსილი იყო საზოგადოება გაერიცხა პარტნიორი. სასამართლომ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში იმის თაობაზე, არსებობდა თუ არა პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის სამართლებრივი საფუძვლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე, მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

შპს „ა-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1-ელი ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

### **5. გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები**

#### **განჩინება**

#ას-18-17-2010

19 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობა, ანდერძის ბათილობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ა. მ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე მ. ს-მის მიმართ ქ.თბილისში, ... ქ.#4-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის 1/2-ის მესაკუთრედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2007 წლის 10 იანვარს გარდაიცვალა ა. ლ-ია, რომელიც იყო მოსარჩელის დედის ძმა. მას საკუთრებაში ჰქონდა ქ.თბილისში, ... ქ.#4-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა. ა. ლ-იას გარდაცვალების შემდეგ მ. ს-მემ მიმართა სანოტარო ბიუროს სამკვიდროს მისაღებად და განაცხადა, რომ ა. ლ-იას შვილი და პირველი რიგის მემკვიდრეა. მან მიიღო სამკვიდრო მოწმობა და ზემოთ აღნიშნული საცხოვრებელი სახლი აღრიცხა თავის სახელზე. ა. ლ-იას შვილი არასოდეს ჰყოლია და მის ქონებას პატრონობდა მოსარჩელე, რომელსაც იგი მემკვიდრედ თვლიდა, რის გამოც მოპა-

სუხისა და მამკვიდრებლის ნათესაური კავშირის ნამდვილობა ეჭვს ზადებდა. ა. მ-შვილმა განცხადებით მიმართა შსს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სამმართველოს და მოითხოვა აღნიშნული საკითხის გამოძიება. მოკვლევის მიმდინარეობის პერიოდში სახლში წიგნების დათვალიერების დროს აღმოაჩინა წიგნში ჩადებული, 2001 წლის 2 თებერვლით დათარიღებული, ა. ლ-იას მიერ შესრულებული ხელნაწერი ანდერძი, რომლის თანახმად, სადავო ბინა უნდა დარჩენოდა ა. მ-შვილს. აღნიშნული ანდერძი წარდგენილ იქნა პოლიციის განყოფილებაში, რომელიც იხილავდა მის განცხადებას და ჩატარდა კალიგრაფიული ექსპერტიზა, რომლითაც დადგინდა, რომ ანდერძი შესრულებულია ა. ლ-იას მიერ. ა. მ-შვილი წარმოადგენს თავისი ბიძის -ა. ლ-იას ანდერძით მემკვიდრეს. სადავო სამკვიდროდან მ. ს-ძეს, როგორც მამკვიდრებლის შვილს, ეკუთვნის მხოლოდ სავალდებულო წილი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს ა. ლ-იას ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი დასაბუთებით: მ. ს-ძე არის ა. ლ-იას ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც მამამ გარდაცვალებამდე 3 წლით ადრე აღიარა შვილად, თუმცა სისტემატური ურთიერთობა ჰქონდა მამასთან ბოლო რვა წლის მანძილზე. მშობლები: დედა -ე. ბ-უკი და მამა -ა. ლ-ია რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ, ამიტომ იგი ატარებდა დედის გვარს (ს-ძე მეუღლის გვარია) და იზრდებოდა უმამოდ. ა. ლ-იას მიერ შვილთან ურთიერთობის აღდგენა, შემდეგ კი შვილად აღიარება მიუღებელი აღმოჩნდა ა. მ-შვილისათვის, ვინაიდან მოპასუხის შვილად აღიარება იყო მამამისის ნების გამოვლენა თავის ქონებაზე შვილის მემკვიდრედ ცნობის შესახებ. მამის გარდაცვალებისთანავე მოსარჩელე შეიჭრა სადავო ბინაში, საიდანაც პოლიციის ძალით მოუხდა მისი გამოსახლება. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ნათლად ჩანს, რომ აწ გარდაცვლილი ა. ლ-იას მიერ შესრულებული დოკუმენტები და ა. მ-შვილის მიერ ნაპოვნი ანდერძი განსხვავებული კალიგრაფიითაა შესრულებული. რეალურად ა. ლ-იას ანდერძი არ შეუდგენია. სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ა. ლ-იას მიერ მოპასუხის შვილად აღიარების ფაქტით დგინდება მის მიერ ოფიციალურად ნების გამოვლენა შვილის მემკვიდრედ ცნობის თაობაზე, მიუხედავად ადრინდელი თარიღით შედგენილი ანდერძის არსებობის შესაძლებლობისა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა -ა. მ-შვილი ცნობილ იქნა ქ. თბილისში, ... ქ. #4-ში მდებარე, მ. ს-ძის სახელზე რიცხული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი #01/13/08/11/001/01/504) 1/2-ის მესაკუთრედ; მ. ს-ძის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მ. ს-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო ა. მ-შვილის სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტები: მამკვიდრებელი ა. ლ-ია გარდაიცვალა 2007 წლის 10 იანვარს. ქ. თბილისში, ... ქ. #4-ში მდებარე სადავო უძრავი ქონება მოპასუხე მ. ს-ძის სახელზე ირიცხება 2007 წლის 27 ივლისის #2-49 სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე. მ. ს-ძე წარმოადგენს ა. ლ-იას შვილს. სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ გარემოებას, რომ 2001 წლის 7 თებერვალს ა. ლ-იას მიერ შედგენილ იქნა ანდერძი, რომლის თანახმადაც მამკვიდრებელმა გამოთქვა სურვილი, სიკვდილის შემდეგ თავის საკუთრებაში არსებული ბინა გადასცემოდა თავის დისშვილს -ა. მ-შვილს. აღნიშნული გარემოების დასადგენად სასამართლო დაეყრდნო საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მიერ 2007 წლის 18 ოქტომბერს ჩატარებულ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტ მ. ჩ-იას მიერ 2008 წლის 6 დეკემბერს გაცემულ დასკვნებს, რომელთა მიხედვით, ხელმოწერა შინაურულ ანდერძზე ა. ლ-იას სახელით შესრულებულია არა ა. ვ-ის ძე ლ-იას, არამედ -სხვა პირის მიერ ხელმოწერის მიმსგავსებით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა სადავოდ გახადა რა საქმეში წარმოდგენილი საექსპერტო ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის დასკვნები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად უნდა დანიშნულიყო განმეორებითი კომისიური ექსპერტიზა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში შემდეგი შეკითხვით: 2001 წლის 7 თებერვლის შინაურულ ანდერძსა და 2004 წლის 30 აპრილს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის #2 განყოფილების სახელზე დაწერილ განცხადებაზე შესრულებული ხელნაწერები, ასევე, 2004 წლის 30 აპრილის მამობის დადგენის აქტის ჩანაწერზე, 1993 წლის 21 აგვისტოს პრივატიზაციის ხელშეკრულებასა და 1998 წლის 24 მარტს დიდუბის რაიონის სოციალური დახმარების განყოფილების სახელზე დაწერილ განცხადებაზე ა. ლ-იას სახელით არსებული ხელმოწერები შესრულებუ-

ლია თუ არა ერთისა და იმავე პირის მიერ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქ-სპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2009 წლის 29 ივნისის ექსპერტის დასკვნის მიხედვით, ხელნაწერი ქ.თბილისის #2 განყოფილების სახელზე 2004 წლის 30 აპრილით დათარიღებულ განცხადებაზე და ხელმოწერები (ასოებითი ჩანაწერის სახით) ა.ლ-იას სახელით ზემოთ მითითებულ განცხადებაზე, ასევე, დიდუბის რაიონის სოციალური დახმარების განყოფილების სა-ხელზე 1998 წლის 24 მარტით დათარიღებულ განცხადებაზე მამობის დადგენის აქტის 2004 წლის 30 აპრილით დათარიღებულ დნ #0033744 ჩანაწერსა და 1993 წლის 21 აგვისტოს პრივატიზაციის ხელშეკრულებაზე შესრულებულია ერთისა და იმავე პირის მიერ, ხოლო ხელნაწერი და ხელმოწე-რა ა.ლ-იას სახელით 2001 წლის 7 თებერვლის ანდერძზე შესრულებულია სხვა პირის მიერ. სა-აპელაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული საქსპერტო გამოკვლევებიდან გამომდინარე, იმ დას-კვნისათვის, რომ 2001 წლის 7 თებერვლის ანდერძი შესრულებული არ არის ა. ლ-იას მიერ, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს ხელმოწერის შესადარებელ ნიმუშებს. პალატამ ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ შესადარებელი ნიმუშების ა.ლ-იასადმი კუთვნილება მოსარჩელე ა. მ-შვილს საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე სადავოდ არ გაუხდია. უფრო მეტიც, სასარჩელო გან-ცხადებასთან ერთად სარჩელის საფუძვლის -ანდერძის არსებობის დასადასტურებლად მხარემ წა-რადგინა საქართველოს შსს 2007 წლის 17 ოქტომბრის დასკვნა, რომლითაც დგინდებოდა 2001 წლის 7 თებერვლის ანდერძზე ლ-იას ხელმოწერა. აღნიშნული დასკვნით, სადავო ანდერძთან შე-სადარებელ ნიმუშებს წარმოადგენდა 2004 წლის 30 აპრილის განცხადება და მამობის დადგენის აქტის ჩანაწერი. რაც შეეხება 1993 წლის 21 აგვისტოს პრივატიზაციის ხელშეკრულებასა და დი-დუბის რაიონის სოციალური დახმარების განყოფილების სახელზე 1998 წლის 24 მარტს დაწერილ განცხადებას, პალატამ მიუთითა, რომ მხარეებს ამ დოკუმენტებზე ა. ლ-იას ხელმოწერის კუთ-ვნილება სადავოდ არ გაუხდიათ. გარდა ამისა, პრივატიზაციის ხელშეკრულება დადასტურებულია სანოტარო წესით, რაც დამატებით ქმნის უტყუარ რწმენას, რომ მასზე არსებული ხელმოწერა შეს-რულებულია ა.ლ-იას მიერ. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დადასტურებულია ხელმოწერისა და ხელწერის შესადარებელი, ზემოთ ჩამოთვლილი ნიმუშების ა. ლ-იასადმი კუთვნილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 172-ე მუხლის მიხედვით, პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი, საქარ-თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2009 წლის 29 ივნისის ექსპერტიზის დასკვნა სათანადოდ დასაბუთებულია და სარწმუნოდ ადას-ტურებს იმ ფაქტს, რომ 2001 წლის 7 თებერვლის ანდერძზე ხელწერა და ხელმოწერა ა. ლ-იას არ ეკუთვნის. სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსპერტის დასკვნის შეფასებისას მნიშვნელოვანია, ყუ-რადღება მიექცეს გამოსაკვლევად მიწოდებულ მასალას, მის კვლევით ნაწილს, რადგან სწორედ კვლევითი ნაწილის შედეგი აისახება საბოლოო დასკვნაში. განსახილველ შემთხვევაში პალატამ და-ადგინა, რომ ექსპერტებმა გამოკვლევისას გაითვალისწინეს ხელწერისა და ხელმოწერის ნიმუშებში საერთო და კერძო ნიშანთა თავისებულებანი, კერძო ნიშანთა შორის გამოავლინეს 10 განმასხვავე-ბელი მყარი, მნიშვნელოვანი და ინდივიდუალური ნიშანი. გამოსაკვლევია ანდერძი შეადარეს კვლევისათვის მიწოდებულ ყველა მასალას. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ წარმოდგენილი დასკვნა კომისიურია, შედგენილია 15-15 და 7 წლის სტაჟის მქონე სამი ექ-სპერტ-კრიმინალისტიკის მიერ, რაც დასკვნის სისწორეს კიდევ უფრო ამყარებს. ამდენად, პალატამ დაადგინა, რომ 2001 წლის 7 თებერვლის ანდერძი ა. ლ-იას მიერ შესრულებული არ არის. პა-ლატამ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ანდერძზე მამ-კვიდრებლის ხელმოწერა დგინდება საქმეში არსებული საქართველოს შსს საქსპერტო-კრიმინალის-ტიკური მთავარი სამმართველოს მიერ 2007 წლის 18 ოქტომბრისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 27 ოქტომბრის ექსპერტი-ზის დასკვნებით, რადგან პალატამ მითითებული და კავშირ „მახრეს“ მიერ გაცემული საქსპერტო დასკვნების ურთიერთგამომცრიცხავი შინაარსის გამო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დანიშნა განმეორებითი ექსპერტიზა, რითაც დასახელე-ბულმა დასკვნებმა პროცესუალურად დაკარგეს იურიდიული ძალა საქმისათვის მნიშვნელობის მქო-ნე გარემოების დადგენისათვის. შესაბამისად, სასამართლომ ისინი ანდერძზე მოანდერძის მიერ ხელმოწერის შესრულება-შეუსრულებლობის თაობაზე მტკიცებულებად არ შეაფასა. სამოქალაქო კო-დექსის 1403-ე მუხლის პირველი ნაწილის, 1344-ე, 1345-ე მუხლების თანახმად, პალატამ ჩათ-ვალა, რომ გარანტირებულია პირის უფლება, საკუთარი სურვილითა და შეხედულებით განკარგოს ქონება და საამისოდ გამოავლინოს ნება, ანდერძი სწორედ ამგვარი თავისუფალი ნების გამომვლენი განკარგულებაა, იგი ცალმხრივი გარიგებაა და მისი სამართლებრივი შედეგების დადგომა უკავშირ-დება მოანდერძის გარდაცვალებას, ამიტომ, პალატის მოსაზრებით, ანდერძით მემკვიდრეობისას უმთავრესია მოანდერძის ნების გამოვლენის ნამდვილობა. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2001 წლის 7 თებერვლის ანდერძი მამკვიდრებლის მიერ შედგენილი არ ყოფილა, შესაბამი-სად, ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების წარმოშობის იურიდიული ელემენტი -მოანდერძის

ნების გამოვლენა მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე პალატამ ჩათვალა, რომ ა. ლ-ის სახელით შესრულებული 2001 წლის 7 თებერვლის ანდერძი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. შესაბამისად, მოსარჩელისათვის, როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრისათვის, ქონების მიკუთვნების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ა. მ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილი და დანიშნა კომისიური ექსპერტიზა, რადგან საქმეში უკვე არსებობდა ორი კვალიფიციური საექსპერტო დასკვნა და ექსპერტის ახსნა-განმარტებები აღნიშნულ დასკვნასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნო მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2009 წლის 29 ივნისის ექსპერტიზის დასკვნას და საერთოდ უგულებელყო საქმეში არსებული კომპეტენტური დასკვნები, მათ შორის, ამავე საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული სრულიად საწინააღმდეგო შინაარსის დასკვნა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა კასატორის შუამდგომლობა ექსპერტების სასამართლოში მოწვევასთან დაკავშირებით, რომელთა ახსნა-განმარტებების მოსმენა აუცილებელი იყო, ვინაიდან არსებობდა ექსპერტების დასკვნებთან დაკავშირებული გაურკვეველობა. 2009 წლის 29 ოქტომბერს სასამართლომ საქმე განიხილა ნაჩქარევად, მთელი რიგი პროცესუალური დარღვევებით. აღნიშნულ სხდომაზე სრულიად მოულოდნელად შეიცვალა სხდომის თავმჯდომარე, რომელმაც საქმე განიხილა და გადაწყვეტილება გამოიტანა რამდენიმე წუთში. კასატორის წარმომადგენელმა შეიტანა შენიშვნა ოქმში დაფიქსირებულ დარღვევებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ სხდომის ოქმს თავმჯდომარის სახით ხელს აწერდა მოსამართლე ნ. გ-ძე, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებას -ლ. კ-ძე. ასეთი საპროცესო დარღვევების შედეგად, სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა უკანონო გადაწყვეტილება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევა არ მომხდარა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორად დადგინდა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებისას კანონის მოთხოვნები არ დარღვეულა, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "თ" ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

მითითებული ნორმა ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უპირობოდ უნდა გაუქმდეს. ერთ-ერთ ასეთ საფუძველს წარმოადგენს საქმეში სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმის არარსებობა. ამდენად, გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობაა არა სასამართლო სხდომის ოქმში დაშვებული რაიმე სახის უზუსტობა, არამედ, როგორც აღინიშნა, საქმის მასალებში მისი არარსებობის ფაქტი.

განსახილველ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის სხდომის ოქმით დადასტურებულია, რომ საქმეს განიხილავდნენ მოსამართლეები ნ. გ-ძე, ლ. კ-ძე და ი. ა-შვილი. სხდომას თავმჯდომარეობდა მოსამართლე ნ. გ-ძე. სხდომის ოქმის სისწორე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 289-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, დადასტურებულია სხდომის თავმჯდომარის -ნ. გ-ძის ხელმოწერით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს, ვინაიდან სხდომის ოქმით დადასტურებულია საქმის განმხილველ და გადაწყვეტილების გამომტან მოსამართლეთა ვინაობა. სხდომის თავმჯდომარის ვინაობასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა გავლენას არ ახდენს გადაწყვეტილების სისწორეზე.

ასევე დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი და სადავო ანდერძზე ა.

ლ-იას ხელმოწერის ნამდვილების დასადგენად განმეორებითი კომისიური ექსპერტიზა არასწორად დანიშნა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ამავე კოდექსის 173-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, აგრეთვე, თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა და მისი ჩატარება დაავალოს სხვა ექსპერტს ან ექსპერტებს, თუ არსებობს ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობები.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანი იმ ფაქტორები გარემოების დასადგენად, რომელიც მხოლოდ სპეციალური ცოდნის გამოყენებით შეიძლება დადგინდეს, სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნოს ექსპერტიზა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც სადავო გარემოების დასადგენად რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის ექსპერტიზის დასკვნა უკვე არსებობს, მაგრამ სასამართლო მათ დაუსაბუთებლობად მიიჩნევს, მას უფლება აქვს, დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა რა მოცემულ საქმეზე ჩატარებული ერთმანეთის გამომრიცხავი შინაარსის ექსპერტიზების დასკვნები (საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მიერ 2007 წლის 18 ოქტომბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტ მ. ჩ-აიას მიერ 2008 წლის 6 დეკემბერს და კავშირ „მახრეს“ მიერ გაცემული დასკვნები), კანონიერად დანიშნა განმეორებითი ექსპერტიზა.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით. დასახელებული კანონის დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენს მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს და სასამართლო მისი ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის შედეგად ჩამოყალიბებული შინაგანი რწმენით წყვეტს სადავო გარემოების აღნიშნული მტკიცებულების საფუძველზე დადგენის მართლობიერებას, რაც აისახება მოტივირებულ გადაწყვეტილებაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასაბუთებას, რომ მოცემული დავის განხილვისას საქმეში 2001 წლის 7 თებერვლის ანდერძზე ა. ლ-იას ხელმოწერის ნამდვილობის დასადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულებების -ექსპერტიზის დაკვნების შეფასების შედეგად სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად უპირატესობა მიანიჭა და გაიზიარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2009 წლის 29 ივნისის განმეორებითი ექსპერტიზის დასკვნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეამოწმა რა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ა. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი

### განჩინება

#ას-810-1097-09

15 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ფართის გადაცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ზ. მ-მემ 1998 წელს აღძრა სარჩელი მოპასუხეების -ინდივიდუალურ ბინათმშენებლობა ამხანაგობა „ა-ი 6-ისა“ და შპს „ბ-ის“ წინააღმდეგ. აღნიშნული სარჩელის მოთხოვნა იყო თბილისში, ... ქ. #6 მისამართზე მდებარე კორპუსის მე-3 სადარბაზოს მე-5 სართულზე მდებარე ბინის (მანსარდან ერთად) მესაკუთრედ ცნობა. მოცემული დავა იხილებოდა ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოში, შემდგომ მისი განხილვა გაგრძელდა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში, მაგრამ ამჯერად მოპასუხეს წარმოადგენდა მხოლოდ ინდივიდუალურ ბინათმშენებლობა -ამხანაგობა „ა-ი 6“. ზ.მ-მის სარჩელის საფუძველზე წარმოებული დავა გახდა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოების მსჯელობის საგანი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 2 ნოემბრის განჩინებით მოცემული საქმის განხილვაში ამხანაგობა „ა-ი 6-ის“ ლიკვიდაციის გამო მის უფლებამონაცვლებად ჩაებნენ ლ. და თ. ნ-შვილები. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 25 იანვრის განჩინებით გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 17 აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს შესაბამის პალატას. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 8 ივლისის სხდომაზე მოსარჩელე (აპელანტ) ზ.მ-მის შუამდგომლობის საფუძველზე საქმეში მოპასუხედ კვლავ იქნა ჩართული შპს „ბ-ი“, ხოლო 2002 წლის 26 სექტემბრის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლის -ნ.გ-მის შუამდგომლობის საფუძველზე საქმეში მოპასუხეებად ჩართულ იქნენ შემდეგი პირები: მ.კ-მე, ი.რ-შვილი, ზ.დ-მე, ზ.ა-მე, მ.ქ-ავა, ზ.ხ-მე, ალ.ბ-ური, მ.მ-ია, ნ.ა-იანი, დ.წ-შვილი და ზ.კ-აია. სააპელაციო სასამართლოს 2002 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით გაუქმებულ იქნა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 თებერვლის სხდომაზე მოსარჩელე ზ.მ-მემ დააზუსტა მოპასუხეთა წრე. ამასთან, განაცხადა, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო მხოლოდ თ. ნ-შვილის წინააღმდეგ და, შესაბამისად, საქმეში მოპასუხის სტატუსით მონაწილე ყველა სხვა პირისადმი მოთხოვნებზე უარი განაცხადა. სასამართლომ ადგილზე თათბირით მიღებული განჩინების საფუძველზე შეწყვიტა საქმის წარმოება მოპასუხეების - შპს „ბ-ის“, ლ. ნ-შვილის, მ.კ-მის, ი.რ-შვილის, ზ.დ-მის, ზ.ა-მის, მ.ქ-ავას, ზ.ხ-მის, ალ.ბ-ურის, მ.მ-იას, ნ.ა-იანის, დ.წ-შვილისა და ზ.კ-აიას წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნათა ნაწილში. აღნიშნული განჩინება, რომლის გამოცხადებასაც ესწრებოდნენ მხარეები, არ გასაჩივრებულა.

2007 წლის 2 მარტს მოსარჩელე ზ.მ-მემ სასამართლოს მიმართა დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით, რომელშიც მოპასუხედ მითითებულ იქნა მხოლოდ თ. ნ-შვილი.

2007 წლის 13 მარტის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ იშუამდგომლა მოპასუხის სახით საქმეში ლ. ნ-შვილის ჩართვის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელმა აღიარებითის ნაცვლად მიიღო მიკუთვნებითი ხასიათი და ამასთან, ... ქ.#6 მისამართზე მდებარე სადავო მანსარდიანი ფართის ნაცვლად მოთხოვნილ იქნა საბურთალოს რაიონში მდებარე მშენებარე 240 კვ.მ-ით დაკმაყოფილება, შეიცვალა დავის საგანი, ლ. ნ-შვილის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტა სასამართლომ არ მიიჩნია დამაბრკოლებელ გარემოებად და ის ჩართულ იქნა მოპასუხედ ე.წ დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნის განხილვაში.

თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1992 წლის 7 ოქტომბრის #16ბ12.380 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ა-ი 6“, ნ-შვილის, მ-მისა და ს-მის შემადგენლობით. თავმჯდომარედ დამტკიცდა თ. ნ-შვილი.

მოსარჩელის განმარტებით, ფირმა „ბ-ი 2000-ის“ ხელმძღვანელობამ ზ. მ-ძეს მიმართა შეთავაზებით, რომ შესაბამისი თანხის გადახდის შემთხვევაში მისცემდნენ დაშენებული ფართიდან ერთ ბინას მანსარდით. თანხის უქონლობის გამო ზ.მ-ძემ ფირმა „ბ-ი 2000-ის“ ხელმძღვანელობას შესთავაზა სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფა. გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, „ბ-ი 2000-ის“ მიერ ზ.მ-ძისაგან მიღებულ იქნა 12000 აშშ დოლარის ღირებულების სამშენებლო მასალა. 1992 წლის 22 სექტემბერს „ბ-ი 2000-ის“ მიერ გაიცა ცნობა აღნიშნული მასალების მიღების თაობაზე. შემდგომში კვლავ დაიდო ხელშეკრულება იმავე მხარეთა შორის და განისაზღვრა, რომ, თუ „ბ-ი 2000“ დაშენებულ ფართზე ჩაატარებდა სარემონტო სამუშაოებს, მაშინ ზ.მ-ძე მის კუთვნილ ბინას ფირმას გადასცემდა.

1993 წელს „ბ-ი 2000-ის“ მიერ შეწყვეტილ იქნა სამუშაოები. ამ დროისათვის ზ.მ-ძის მიერ ფირმისათვის გადაცემული სამშენებლო მასალა გახარჯული იყო. მიუხედავად ზ.მ-ძის არაერთი გაფრთხილებისა, ფირმის ხელმძღვანელობა მშენებლობას არ აწარმოებდა. აღნიშნულმა განაპირობა ის გარემოება, რომ 1997 წელს თბილისის საბურთალოს რაიონული სასამართლოში აღიარა სარჩელი მოსარჩელეს ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის ... ქ.#166-ში, #6 კორპუსში მცხოვრებ მობინადრეებთან ერთად, მოსარჩელის მტკიცებით, ზ.მ-ძეც წარმოადგენდა.

მოსარჩელის განმარტებით, 1997 წელს ის სამსახურებრივი საჭიროების გამო გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მოსარჩელე ამერიკიდან ტელეფონით უკავშირდებოდა თ.ნ-შვილს, რომელიც არწმუნებდა მოსარჩელეს, რომ მშენებლობა მიმდინარეობდა ყველა პირობის დაცვით. 1998 წელს მოსარჩელე დაბრუნდა საქართველოში. ამ დროისათვის მშენებლობა თითქმის დამთავრებული იყო. თ.ნ-შვილთან შეხვედრისას მოსარჩელეს განუმარტა, რომ ის არ იყო და არც არასოდეს ყოფილა ამხანაგობის წევრი და, შესაბამისად, ვერც ბინას მიიღებდა. აღნიშნულის გამო მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში. მოსარჩელის მტკიცებით, ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მიმართა ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობას, ქ.თბილისის მთავარ არქიტექტორს და ქ.თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს, რომ მათ არ გაეცათ განკარგულება სადავო ფართის გასხვისებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით ზ. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 5 ივლისის განჩინებით მოცემულ დავასთან დაკავშირებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, თბილისში, ... ქ. # 6 მისამართზე მდებარე საცხოვრებელ სახლზე ბინამთმშენებლობის ამხანაგობა „ა-ი 6-ის“ მიერ წარმოებულ მიშენება-დაშენებას მოეხსნა ყადაღა და ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ა-ი 6-ს“ მოეხსნა დაშენებული ბინების გასხვისების აკრძალვა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ზ. მ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის განჩინებით ზ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და მათ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ჰქმნის პროცესუალურ და მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისათვის.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ზ. მ-ძემ. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა დებულება „ინდივიდუალურ მენაშენების ამხანაგობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ“ და არასწორად მიუთითა, რომ საინიციატივო ჯგუფის წევრობა არ ნიშნავს ამხანაგობის წევრობას, ასევე, არასწორად მიუთითა, რომ ზ. მ-ძემ დაკარგა წევრის უფლებამოსილება შენატანის განუხორციელებლობის გამო, რადგანაც შესატანი განახორციელა სამშენებლო ფირმა „ბ-ი 2000-ში“. სასამართლოს მოპასუხემ წარუდგინა გადამოწმებული დოკუმენტაციის ქსეროასლები ისე, რომ არ ჩათვალა საჭიროდ, სსსკ-ის 137-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წარედგინა საბუთების დედანი, მიუხედავად იმისა, რომ სახლის მობინადრეები წერილობით ამტკიცებენ მოპასუხის მიერ საბუთების გაყალბებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის საგანს (მოთხოვნას) წარმოადგენს საბურთალოს რაიონში აშენებული 240 კვ.მ თეთრი კარკასით დაკმაყოფილება.

ამ შემთხვევაში მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ საფუძვლებს, რომელსაც კასატორი უკავშირებს მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას. უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალურ-სამართლებ-



რივი მოთხოვნის შემოწმების წინაპირობას წარმოადგენს მისი საფუძველის განსაზღვრა, შესაბამისად, ამ უკანასკნელის შემოწმების მნიშვნელობა უკავშირდება, უპირველეს ყოვლისა, იმის დადგენას, თუ მოთხოვნის საფუძველად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები რამდენად ამართლებს იურიდიულად და რა მტკიცებულებებით დასტურდება მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. ამისათვის, ყურადღება გავამახვილოთ საკასაციო საჩივარზე და განვსაზღვროთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები და შინაარსი (სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილი).

საკასაციო საჩივრის ანალიზის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მისი შინაარსი მოიცავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების ორ მიმართულებას. პირველი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული შეფასების მართებულობა, რაც, კასატორის მოსაზრებით, გამოიხატება იმაში, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია ის, რომ საინიციატივო ჯგუფის წევრობა არ ნიშნავს ბინათმენაშენეთა ამხანაგობის წევრობას. აქედან გამომდინარე, კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა "ქ. თბილისის ინდივიდუალური მენაშენებისა და ინდივიდუალური მენაშენების ამხანაგობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ" დებულება. ასევე, კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ის გარემოება, რომ მის მიერ სამშენებლო კომპანია "ბ-ი-2000-თვის" გადაცემული სამშენებლო მასალა მიუთითებს შენატანის განხორციელებაზე. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების მეორე მიმართულება ითვალისწინებს მითითებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, რაც, კასატორის მოსაზრებით, გამოიხატა სააპელაციო სასამართლოს მიერ დედნების ნაცვლად დოკუმენტების ქსეროასლების მიღებაში, შესაბამისად, სსსკ-ის 135-ე მუხლის დარღვევაში და მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილების შედეგად სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევაში, კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სსსკ-ის 106-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტი, რის გამოც მხედველობაში არ იქნა მიღებული კანონიერ ძალაში შესული საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1997 წლის გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ მივიჩნევთ, რომ კასატორი ზ. მ-მ იყო ბინათმშენებლობის ამხანაგობის წევრი და მან განახორციელა შენატანი შპს "ბ-ი-2000-ში", მიუხედავად ამისა, მისი მოთხოვნა არ შეიძლება დაკმაყოფილდეს, რადგან ზემომითითებული გარემოებებიდან არ გამომდინარეობს სასამართლოში განსახილველი მოთხოვნა -საბურთალოს რაიონში აშენებული 240 კვ.მ, ე.წ. თეთრი კარკასით დაკმაყოფილება.

დაზუსტებულ სარჩელიდან გამომდინარეობს, რომ ზემომითითებული ფართი წარმოადგენს არა ბინათმშენებლობის ამხანაგობის მიერ დაშენებულ ფართს, არამედ იმავე რაიონში, ე.წ. თეთრი კარკასში არსებულ სხვა ფართს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო სამართლის კოდექსით (1964 წლის რედაქციის), რადგან სადავო ურთიერთობა წარმოშობილია გაუქმებული ნორმატიული აქტის საფუძველზე, კერძოდ, სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 153-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების ძალით ერთი პირი (მოვალე) ვალდებულია, შესრულოს მეორე პირის (კრედიტორის) სასარგებლოდ რაიმე მოქმედება (გადასცეს ქონება, შეასრულოს სამუშაო, გადაუხადოს ფული და სხვა) ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედებისაგან, ხოლო კრედიტორს უფლება აქვს, მოსთხოვოს მოვალეს მისი მოვალეობის შესრულება. განსახილველი ნორმის დანაწესი, მსგავსად დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლისა, განამტკიცებს მოთხოვნის ინსტიტუტის მნიშვნელობას, რომელიც უფლებამოსილს ხდის კრედიტორს, ვალდებულების ძალით მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება. აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, არ შეიძლება მოვალეს დაეკისროს ვალდებულება, რომელიც მას არ აკისრია კანონით ან ხელშეკრულებით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი ურთიერთობის სპეციფიკურობა გამოიხატება იმაში, რომ მისი წარმოშობა არ უკავშირდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვასთან, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური თუ საერთო საკუთრების ფორმების განსაზღვრასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, არამედ, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე რამდენიმე სართულის დაშენების თაობაზე ამხანაგობის შექმნასა და მათი წევრების უფლება-ვალდებულებებს. ამდენად, აღნიშნული ურთიერთობა წარმოადგენს საერთო საქმიანობის ხელშეკრულებას და მასზე ვრცელდება საერთო საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები.

ამასთან მიმართებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორი ვერ უთითებს ისეთ მტკიცებულებებზე, რომლითაც დადგინდებოდა მოპასუხეთა ვალდებულება (საერთო საქმიანობის ურთიერთობიდან გამომდინარე) 240 კვ.მ-ით მოსარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, მით უმეტეს, იმავე რაიონში სხვა ფართით დაკმაყოფილების შესახებ. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს ოქმში მითითებულ, ზ. მ-მის ახსნა-განმარტებაზე, სადაც იგი აღნიშნავს, რომ 240 კვ.მ ბინის მიღების უფლება დასტურდება 1992 წლის 7 ოქტომბრის ხელშეკრუ-

ლებით. ასევე, კასატორი აღნიშნავს, რომ შპს "ბ-ი-2000-ში" 12000 აშშ დოლარის ღირებულების სამშენებლო მასალის გადაცემით დასტურდება მშენებლობაში შენატანის განხორციელების ფაქტი. ამასთან მიმართებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს ოქმში აღნიშნული ხელშეკრულების მხარეებად მითითებულია ზ. მ-მე და შპს "ბ-ი-2000", ხოლო ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მხარეს განსახილველ საქმეში. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე (კონკრეტულ შემთხვევაში სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციის) 153-ე მუხლის თანახმად), კრედიტორის მოთხოვნის უფლება რელატიური (ფარდობითი) უფლებაა, რაც გულისხმობს იმას, რომ კრედიტორს მისი გამოყენება შეუძლია მხოლოდ მოვალის მიმართ. ამდენად, 1992 წლის 7 ოქტომბრის ხელშეკრულებით შპს "ბ-ი-2000-ის" მიერ ზ. მ-მის სასარგებლოდ ნაკისრი ვალდებულების შესრულება არ შეიძლება მოეთხოვოს ლ. და თ. ნ-შვილებს. ამავე საფუძველით არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შპს "ბ-ი-2000-ში" 12000 აშშ დოლარის ღირებულების სამშენებლო მასალის გადაცემით დასტურდება მშენებლობაში შენატანის განხორციელების ფაქტი. იმ შემთხვევაშიც, თუ მივიჩნევთ, რომ შპს "ბ-ი-2000-სა" და ზ. მ-მის შეთანხმების საფუძველზე ამ უკანასკნელს შპს "ბ-ი-2000-სათვის" გადაცემული ჰქონდა სამშენებლო მასალა სათანადო ფართით უზრუნველყოფის სანაცვლოდ, აღნიშნული არ წარმოშობს მოპასუხეებისათვის იმავე რაიონში, ე.წ. თეთრი კარკასში არსებული სხვა ფართის მოთხოვნის უფლებას. ამდენად, არ არსებობს მოპასუხეებისათვის საბურთალოს რაიონში აშენებული ე.წ. თეთრი კარკასის 240 კვ.მ დაკმაყოფილების დაკისრების სამართლებრივი და ფაქტობრივი წინაპირობები. რაც შეეხება კასატორის მიერ პროცესუალურ დარღვევებზე მითითებას, უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე მხედველობაში არ მიიღო საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1997 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება შპს "ბ-ი-2000-ს" მიერ მშენებლობის წარმოების ფაქტი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები დადგენილია იმავე მხარეებს შორის, რომლებიც მონაწილეობენ სხვა საქმეში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტი). კონკრეტულ შემთხვევაში, კასატორის მიერ მითითებულ გადაწყვეტილებაში ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს შპს "ბ-ი-2000-ი", რომელიც არ წარმოადგენს მხარეს განსახილველ საქმეში. რაც შეეხება მშენებლობის გაგრძელების თაობაზე მოზინადრეთა თანხმობების დედნების ნაცვლად ქსეროასლების წარდგენას და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლისა და 136-ე მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევას, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული პროცესუალური დარღვევების არსებობის შემთხვევაში, მათ იურიდიული შედეგი მოჰყვება მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. ამრიგად, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება ანდა გაქარწყლება, რომელიც ეხება მშენებლობის გაგრძელების თაობაზე მოზინადრეთა თანხმობების არსებობა-არარსებობას, არ განსაზღვრავს პროცესში მონაწილე მხარეების ისეთ ურთიერთობას, რომლის საფუძველზე ზ. მ-მეს ვალდებულების ძალით გააჩნია უფლება, ლ. და თ. ნ-შვილებს მოსთხოვოს იმავე რაიონში, 240 კვ.მ თეთრი კარკასში არსებული სხვა ფართი. ამრიგად, კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც, კონკრეტული სადავო ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუთითებს მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველიანობაზე. ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

ზ. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 აპრილის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი

### განჩინება

#ას-1167-1429-09

21 მაისი, 2010 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ბინიდან გამოსახლება, თანხის დაკისრება (ძირითად სარჩელში), თანხის დაკისრება (შეგებებულ სარჩელში)

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით ვ. თ-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა -ქ.თბილისი, ... ქუჩა #2-ში მდებარე უძრავი ნივთი გამოთხოვილ იქნა მოპასუხეების - თ. მ-ძის, ო. მ-ძის, ზ. მ-ძის, ნ. მ-ძის, შ. ყ-იას, მ. მ-ძის, ო. ვ-შვილის, ლ. ვ-შვილის, ი. ვ-შვილის, ე. ვ-შვილის, მ. ვ-შვილის უკანონო მფლობელობიდან და გამონთავისუფლებული დაუბრუნდა ვ. თ-ოვს. მოპასუხეებს: თ. მ-ძეს, ო. მ-ძეს, ზ. მ-ძეს, ნ. მ-ძეს, შ. ყ-იას, მ. მ-ძეს, ვ. თ-ოვის სასარგებლოდ სოლიდარულად გადასახდელად დაეკისრათ ყოველთვიურად 300 ლარი 2004 წლის 1 სექტემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. მოპასუხეებს: ო. ვ-შვილს, ლ. ვ-შვილს, ი. ვ-შვილს, ე. ვ-შვილს, მ. ვ-შვილს ვ. თ-ოვის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ყოველთვიურად 200 ლარის გადახდა 2004 წლის 1 სექტემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. თ. მ-ძის, ო. მ-ძის, ო. ვ-შვილის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა -ვ. თ-ოვს თ. მ-ძის, ო. მ-ძის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 79 631 ლარი; ვ. თ-ოვს ო. ვ-შვილის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 79 167 ლარი და 50 თეთრი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრებით გაასაჩივრეს ვ. თ-ოვმა, თ. მ-ძემ, ზ. მ-ძემ, ნ. მ-ძემ, შ. ყ-იამ, მ. მ-ძემ, ო. ვ-შვილმა, ლ. ვ-შვილმა, ი. ვ-შვილმა, ე. ვ-შვილმა, მ. ვ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულ მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მხარეები არიან ბიძაშვილები, ქ.თბილისში, ... ქ.#2-ში მდებარე სადავო სახლთმფლობელობა საკუთრების უფლებით ირიცხებოდა მათი პაპის -ვ. თ-ოვის სახელზე, რომელიც გარდაიცვალა 1926 წელს. მას დარჩა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე (შვილები) -ნ.ი (მოპასუხე თ. მ-ძის მამა), ი. (მოპასუხე ო. ვ-შვილის მამა), მ. და (მოსარჩელე ვ. თ-ოვის მამა) და. მამის გარდაცვალების დროისთვის ყველა მემკვიდრე ცხოვრობდა მითითებულ სახლში, თუმცა 1935 წელს მთლიან სახლზე სამემკვიდრეო მოწმობა მიიღო მოსარჩელე ვ. თ-ოვის მამამ -დ. თ-ოვმა, რის საფუძველზეც სახლი აღირიცხა მის სახელზე. ამ გარემოების მიუხედავად, მოპასუხეთა მშობლები და მათი ოჯახის წევრები განაგრძობდნენ სადავო სახლში ცხოვრებას. თითოეულ მათგანს ურთიერთშეთანხმებით რეალურად ჰქონდა გამოყოფილი თავისი ფართობი, ხოლო მოგვიანებით გაიყვეს ეზოც. ნ. თ-ოვი გარდაიცვალა 1981 წელს, ი. თ-ოვი -1983 წელს, ხოლო დ. თ-ოვი კი - 1984 წელს. მათი გარდაცვალების შემდეგ სადავო სახლში მათ მიერ დაკავებულ წილში ცხოვრება გააგრძელეს მათმა შვილებმა ოჯახის წევრებთან ერთად.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მოპასუხე ო. ვ-შვილისა და მისი ოჯახის წევრების მიერ ქ.თბილისში, ... ქ.#2-ში მდებარე სახლში მათ მიერ დაკავებულ ფართში ჩატარდა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, რაც დღევანდელი საბაზრო ღირებულებით (დარიცხვების გათვალისწინებით) შეადგენს 79 167 ლარსა და 50 თეთრს. ამავე მისამართზე მდებარე სახლში თ. მ-ძისა და მისი ოჯახის წევ-

რების მიერ მათ მიერვე დაკავებულ ფართზე ჩატარებული ანალოგიური სამუშაოების ღირებულებამ, დარიცხვების გათვალისწინებით, შეადგინა 79 631 ლარი.

საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ 2003 წლის 18 დეკემბრიდან ქ.თბილისში, ... ქ.#2-ში მდებარე მთელი სახლთმფლობელობა საკუთრების უფლებით ირიცხებოდა ვ. თ-ოვის სახელზე. ამ უფლების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტებად მითითებული იყო 2002 წლის 27 აგვისტოს სამემკვიდრეო მოწმობა, ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2003 წლის 30 მაისის #61 დადგენილება, ქ.თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ 2003 წლის 28 ივლისს გაცემული საინვენტარიზაციო გეგმა. უძრავი ნივთი უფლებრივად არ იყო დატვირთული.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2004 წლის იანვარში ვ. თ-ოვმა მოპასუხეებს წარუდგინა პრეტენზიები და როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით მოსთხოვა მის საკუთრებაში არსებული ბინით სარგებლობისათვის ქირის სახით გარკვეული საფასურის გადახდა ან მათ მიერ დაკავებული ფართების განთავისუფლება. მოპასუხეებმა როგორც ქირის გადახდაზე, ისე ფართის გამონთავისუფლებაზე უარი განაცხადეს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა გადაწყვეტილების ამ ნაწილთან დაკავშირებით მეორე აპელანტების მიერ საჩივარში წამოყენებული ერთადერთი პრეტენზია იმის შესახებ, რომ ისინი წარმოადგენენ მათ მიერ დაკავებული ფართების კეთილსინდისიერ და მართლზომიერ მფლობელებს, რის გამოც მათგან ამ ნივთების გამოთხოვა უნდა მოქცეულიყო სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტებულ სამართლებრივ რეჟიმში. პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხეები ვერ ჩაითვლებოდნენ ამ ნივთის კეთილსინდისიერ და მართლზომიერ მფლობელებად, რადგან ისინი სადავო ფართებს ფლობენ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და ეს გარემოება მათთვის ცნობილი იყო განსახილველი დავის დაწყებისთანავე. აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულებები მოპასუხეებს სასამართლოში არ წამოუდგენიათ.

პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში მოიპოვებოდა სანოტარო წესით დადასტურებული რწმუნებულება, რომლითაც ვ. თ-ოვმა ნ. ო-შვილს მიანიჭა მთელი რიგი უფლებამოსილებები, მათ შორის, წარმომადგენლობა ყველა ინსტანციის სასამართლოში. ამ მიზნით რწმუნებულს უფლება მიეცა, მარწმუნებლის სახელით განეხორციელებინა ყველა ის უფლებამოსილება, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული ჰქონდა მხარეს.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ თავისი იურიდიული ბუნებით ეს რწმუნებულება წარმოადგენდა დავალების ხელშეკრულებას.

პალატამ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში ვ. თ-ოვის სრულუფლებიანი წარმომადგენლის - ნ. ო-შვილის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის მიცემული ზეპირი თუ წერილობითი ახსნა-განმარტებები უდავოდ წარმოადგენდა მხარის ახსნა-განმარტებას.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ვ. თ-ოვმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თ-ოვის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორთა მიერ საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სახის მტკიცებულებებით არ არის დასაბუთებული შეგებებულ სარჩელში მათ მიერ მითითებული გარემოებები იმის შესახებ, რომ თითქოსდა მისი საკუთრების სახლთმფლობელობაზე მათ ჩაატარეს ის სამშენებლო-სარემონტო, სარეკონსტრუქციო სამუშაოები, გასწიეს ხარჯები და სხვა, რაც ასახულია შეგებებულ სარჩელში.

კასატორის აზრით, მათ სასამართლოში არ წარუდგენიათ აღნიშნულის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება, ხოლო ზეპირსიტყვიერი განმარტება უარყოფილია მისი ახსნა-განმარტებით, რაც, მათივე განმარტებით, თანაბარი იურიდიული ძალის მქონეა; მათი ზეპირსიტყვიერი განმარტება აღნიშნულ საკითხზე ასევე გაბათილებულია 2004 წლის 3 ნოემბრის განცხადებასთან ერთად თ-ოვის წარმომადგენლის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით.

უფრო მეტიც, შეგებებულ სარჩელში მითითებული გარემოებების საწინააღმდეგოდ მისი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი მოსაზრებები და მტკიცებულებები, როგორცაა ე.წ. შემომსახვრელი კვალის მშენებლობის ნებართვა, წყალ-კანალის აბონენტის ვინაობა, ტელეფონის დადგმა, წყლის გამაცხელებლის მოწყობა, გაზის მრიცხველის დაყენება, ე.წ. „ავგს“, „ბოილერის“ მონტაჟი და სხვა, სასამართლომ ჩათვალა მხოლოდ რამდენიმე სამუშაოზე შედავებად მაშინ, როცა წარდგენილი იყო მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომელთა მოპოვებაც დოკუმენტების შენახვის ხანდაზმულობის გათვალისწინებით გახდა შესაძლებელი, თუმცა არც მათი წარდგენა ევალებოდა, ვინაიდან თავისივე ხარჯებით სამშენებლო სამუშაოების ჩატარების ნამდვილობაზე მტკიცებულებები შეგებებული საჩივრის ავტორებს, საპროცესო კოდექსის ზემოთ მითითებული ნორმების შესაბამისად, თვითონვე უნდა წარედგინათ, სააპელაციო სასამართლომ კი მტკიცების ტვირთი ამ ნაწილშიც მას დააკისრა, რაც ეწინააღმდეგებოდა საპროცესო კოდექსის აღნიშნულ ნორმებს. კასატორის აზრით, პირდაპირ ან არაპირდაპირი მნიშვნელობით არსად არის მითითებული, დადასტურებული და აღიარებული, რომ თითქოსდა მის სახლთმფლობელობაზე, ანუ უძრავ ქონებაზე შეგებებულ

სარჩელის ავტორთა მიერ არის ნაწარმოები რაიმე სახის სამშენებლო სამუშაოები. პირიქით, სახლთმფლობელობის შემომსაზღვრელი კედლის მშენებლობის ნებართვა, რომელიც გაცემულია ქ.თბილისის ყოფილი ლენინის რაიონის კომუნალური განყოფილების მიერ, თ-ოვის სახელზეა აღრიცხული.

კასატორის აზრით მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლომ აღიარების მნიშვნელობა მიანიჭა მისი წარმომადგენლის განცხადებაში ასახულ მოსაზრებებს და მტკიცებულებებს, რომლებიც სრულიად სხვა შინაარსის მატარებელი იყო.

კასატორის აზრით, სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე განცხადებული თანხმობა წარმოადგენს სადავო გაუმჯობესებების მოწინააღმდეგე მხარეთა ხარჯებით განხორციელების ფაქტის აღიარებას, არასწორია და სცილდება ყოველგვარ იურიდიულ აზროვნებას.

აღიარება უშუალოდ მხარის (და არა წარმომადგენლის) თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული და ის გარიგების ერთ-ერთ ფორმასაც წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში კი საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე, არც ზეპირი და არც წერილობითი ფორმით არც მას და არც წარმომადგენელს, შეგებებულ სარჩელში მითითებული სადავო გარემოებები არ უღიარებია.

აღნიშნულის მიუხედავად, სრულიად გაუგებარია, თუ როგორ უნდა მიეჩნია სასამართლოს ფაქტის აღიარებად ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე მიცემული თანხმობა, ან/და გადაწყვეტილებაში მითითებულ განცხადებაში და დამატებით განმარტებებში ასახული მოსაზრებები, როცა სხდომას ესწრებოდა წარმომადგენელი და თანხმობაც მანვე განაცხადა, ხოლო განცხადება და დამატებითი განმარტებები ხელმოწერილია მისი წარმომადგენლის მიერ; იურიდიული ძალა კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე, 132-ე მუხლების მიხედვით, გააჩნია მხოლოდ მხარის აღიარებას და ფაქტის აღიარება წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით არ ხდება.

სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა რა მისი სააპელაციო საჩივარი, ჩათვალა, რომ მის სახლთმფლობელობაში სამშენებლო-სარემონტო, სარეკონსტრუქციო სამუშაოები ნაწარმოებია შეგებებული სარჩელის ავტორთა მიერ და იხელმძღვანელა ექსპერტის დასკვნით.

კასატორის განმარტებით, ასეთი დასკვნის საფუძველი სასამართლოს არ ჰქონდა, ვინაიდან, 2007 წლის 9 ნოემბრის #3284/15 ექსპერტის დასკვნის მიხედვით, თუ ვის მიერ არის განხორციელებული ვ. თ-ოვის საკუთრების სახელზე მშენებლობა-მიშენება ანდა ჩატარებული რემონტი, არ ჩანს. პირიქით, ექსპერტი თვითონვე მიუთითებს, რომ მისთვის უცნობია, თუ როდის -რომელ წელს და ვის მიერ ჩატარდა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

უფრო მეტიც, თუ ვინ განახორციელა მშენებლობა, მიშენება-დაშენებები და გაუმჯობესებები, ასეთი შეკითხვა ექსპერტისთვის საერთოდ არ დაუსვამთ, ვინაიდან საკითხის სამართლებრივი ხასიათის გამო, მათი გამოკვლევა სცილდება ექსპერტის უფლებამოსილებათა წრეს. ასეთი საკითხების დადგენა შეიძლება მტკიცებულებების შეგროვებით, მოკვლევით, გამოძიებით, საბუთების შეფასებით, სასამართლო სამართალწარმოების წესით და არა სპეციალისტის დასკვნით. შესაბამისად, სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება და მას არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ თვითონვე დაადასტურა, რომ მისი მოწინააღმდეგე მხარეები არ არიან მათ მიერ დაკავებული ფართების კეთილსინდისიერი და მართლზომიერი მფლობელები, მაგრამ, იმავდროულად, მან მოიწონა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით გადასახდელად დაკისრებული ანაზღაურების მართლზომიერება. ეს მაშინ, როცა სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მხოლოდ კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია, უფლებამოსილ პირს მოსთხოვოს იმ გაუმჯობესებისა და ხარჯების ანაზღაურება, რაც მან გაიღო ნივთზე კეთილსინდისიერი მფლობელობის დროს, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განჩინება ეწინააღმდეგება მის მიერვე დადგენილ აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებასა და სამოქალაქო კოდექსის მითითებულ ნორმასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. თ-ოვმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინების გაუქმება ვ. თ-ოვის სააპელაციო საჩივრის არ დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა, განიხილა საკასაციო საჩივარი და მიიჩნია, რომ ვ. თ-ოვის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. მხარეები არიან ბიძაშვილები. ქ.თბილისში, ... ქ.#2-ში მდებარე სადავო სახლთმფლობელობა საკუთრების უფლებით ირიცხებოდა მათი პაპის -ვ. თ-ოვის სახელზე, რომელიც გარდაიც-

ვალა 1926 წელს. მას დარჩა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე (შვილები) – ნ. ი. (მოპასუხე თ. მ-მის მამა), ი. (მოპასუხე ო. ვ-შვილის მამა), მ. და (მოსარჩელე ვ. თ-ოვის მამა) და. მამის გარდაცვალების დროისთვის ყველა მემკვიდრე ცხოვრობდა მითითებულ სახლში, თუმცა 1935 წელს მთლიან სახლზე სამემკვიდრეო მოწმობა მიიღო მოსარჩელე ვ. თ-ოვის მამამ – დ. თ-ოვმა, რის საფუძველზეც სახლი აღირიცხა მის სახელზე. ამ გარემოების მიუხედავად, მოპასუხეთა შობ-ლები და მათი ოჯახის წევრები განაგრძობდნენ სადავო სახლში ცხოვრებას, თითოეულ მათგანს ურთიერთშეთანხმებით რეალურად ჰქონდა გამოყოფილი თავისი ფართობი, ხოლო მოგვიანებით გაიყვეს ეზოც. ნ. თ-ოვი გარდაიცვალა 1981 წელს, ი. თ-ოვი 1983 წელს, ხოლო დ. თ-ოვი 1984 წელს. მათი გარდაცვალების შემდეგ, სადავო სახლში მათ მიერ დაკავებულ წილში ცხოვრე-ბა გააგრძელეს მათმა შვილებმა ოჯახის წევრებთან ერთად;

2. მოპასუხე ო. ვ-შვილისა და მისი ოჯახის წევრების მიერ ქ. თბილისში ... ქ. #2-ში მდებარე სახლში მათ მიერ დაკავებულ ფართში ჩატარდა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, რაც დღევანდელი საბაზრო ღირებულებით (დარიცხვების გათვალისწინებით) შეადგენს 79 167 ლარს და 50 თეთრს. ამავე მისამართზე მდებარე სახლში თ. მ-მისა და მისი ოჯახის წევრების მიერ მათ მიერვე დაკავებულ ფართზე ჩატარებული ანალოგიური სამუშაოების ღირებულებამ დარიცხვების გათვალისწინებით შეადგინა 79 631 ლარი;

3. 2003 წლის 18 დეკემბრიდან ქ. თბილისში, ... ქ. #2-ში მდებარე მთელი სახლთმფლობელობა საკუთრების უფლებით ირიცხებოდა ვ. თ-ოვის სახელზე. ამ უფლების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტებად მითითებული იყო 2002 წლის 27 აგვისტოს სამემკვიდრეო მოწმობა, ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2003 წლის 30 მაისის #61 დადგენილება, ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ 2003 წლის 28 ივლისს გაცემული საინვენტარიზაციო გეგმა. უძრავი ნივთი უფლებრივად არ იყო დატვირთული;

4. 2004 წლის იანვარში ვ. თ-ოვმა მოპასუხეებს წარუდგინა პრეტენზიები და როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით მოსთხოვა მის საკუთრებაში არსებული ბინით სარგებლობისათვის ქირის სახით გარკვეული საფასურის გადახდა ან მათ მიერ დაკავებულ ფართების განთავისუფლება. მოპასუხეებმა როგორც ქირის გადახდაზე, ისე ფართის გამონთავისუფლებაზე უარი განაცხადეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგენს მხარის მითითებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, რომლებმაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა განაპირობეს. კასატორმა ვ. თ-ოვმა ისარგებლა საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლით გარანტირებული შედავების უფლებით და მე-2 პუნქტში მითითებული სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაშვები საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა.

საკასაციო პალატამ შეამოწმა რა შედავების სამართლებრივი საფუძვლები და სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მიიჩნევს, რომ კასატორის მოსაზრება გაზიარებულ უნდა იქნეს.

საკასაციო პალატა ეთანხმება ვ. თ-ოვის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

ორივე ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. თ-ოვმა აღიარა შეგებებულ სარჩელში მითითებული გარემოებები და ამ საფუძველზე შეგებებულ სარჩელში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები დადგენილად მიიჩნია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლის 131-ე მუხლის მიხედვით ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძველად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებულად ცნობისათვის მხარემ ისინი საქმის წარმოებისას უნდა აღიაროს ან ამგვარი აღიარება მისი ქმედებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მართალია, აღიარებისათვის რაიმე განსაკუთრებული საპროცესო ფორმა დადგენილი არ არის, მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, მხარის ზეპირი ან წერილობითი განმარტებებიდან უნდა ირკვეოდეს, რომ მას ნათელი წარმოადგენა აქვს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე და ეთანხმება მათ. ორაზროვანი ან ბუნდოვანი ახსნა-განმარტებები, საიდანაც მხარის ნება ნათლად არ იკვეთება, არ შეიძლება აღიარებად ჩაითვალოს.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ კი მიიჩნია, რომ ვ. თ-ოვმა, განაცხადა რა თანხმობა შეგებულ სარჩელში ჩამოთვლილი სამუშაოების შესაფასებლად ექსპერტიზის დანიშვნაზე, აღიარა ამ სამუშაოების შეგებებული სარჩელის ავტორების მიერ წარმოების ფაქტი.

აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებაზე: 2004 წლის 24 ნოემბრის სასამართლო სხდომის ოქმში მოსარჩელის შემდეგი პოზიციაა დაფიქსირებული: "მოსარჩელე მხარე ეთანხმება შუამდგომლობას ექსპერტიზის ჩატარებაზე, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, როგორ დაასაბუთებს მხარე, რომ ეს მათი აშენებულია".

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამგვარი ფორმით განცხადებული თანხმობა ვერ ჩაითვლება სამუშაოების მოპასუხეთა მიერ წარმოების აღიარებად.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან სარემონტო სამუშაოები ჩატარებულია სახლთმფლობელობის გაყოფის შემდეგ, ვ. თ-ოვი რემონტს ვერ ჩატარებდა.

იმ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ ეს სამუშაოები ეზოს გაყოფის შემდეგ განხორციელდა, საქმეში არ მოიპოვება. უფრო მეტიც, საქმეზე ჩატარებულ ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ შეგებულ სარჩელში მითითებული სარემონტო სამუშაოების ღირებულება განსაზღვრულია 2007 წლის მდგომარეობით, ვინაიდან მათი ჩატარების დრო უცნობია.

გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია და სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა, რომ ვ. თ-ოვმა მხოლოდ რამდენიმე სახის სამუშაოების წარმოება გახადა სადავოდ. აღნიშნულს საფუძვლად დაედო მხარის 2004 წლის 7 დეკემბრის განცხადებაში მოყვანილი შემდეგი მტკიცება: "... არ დაუშვებთ, რომ გაუმჯობესებაში და უსაფუძვლო გამდიდრებაში ჩაითვალოს სახლთმფლობელობაში დამონტაჟებული ტელეფონი, წყლის გამაცხელებელი, გაზის მრიცხველი "აგვ", ბოილერი და სხვა, რომლებიც პირადად მათ სარგებლობაში იყო და რომლების მოხსნაც შეიძლება მათ მიერ".

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამგვარი განმარტება იმას კი არ ამტკიცებს, რომ მხარე სადავოდ მხოლოდ ამ გაუმჯობესებებს ხდის, არამედ პირიქით, იგი აღიარებს მოპასუხეების მიერ ზემოთ ჩამოთვლილი გაუმჯობესების განხორციელებას, თუმცა მიიჩნევს, რომ მათი ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება არ ეკისრება, რადგანაც აღნიშნული მოძრავი ნივთების განცალკევება საცხოვრებელი სახლისაგან ადვილად შესაძლებელია. რაც შეეხება დანარჩენ სამუშაოებს, ვ. თ-ოვი მათ მოპასუხეთა მიერ განხორციელებას სადავოდ ხდის და გარკვეული მტკიცებულებებიც წარადგინა (ქ. თბილისის ყოფილი ლენინის რაიონის კომუნალური განყოფილების მიერ კედლის აშენების თაობაზე დ. თ-ოვის სახელზე გაცემული ნებართვა, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის წყალკანალის სამსახურის გაცემული ცნობა, აგრეთვე, ადმინისტრაციული წარმოება, რომლის საფუძველზეც სადავო მიშენებები ვ. თ-ოვის სახელზეა დაკანონებული), რომლებიც სასამართლოს საერთოდ არ შეუფასებია.

საპროცესო კანონმდებლობით დამკვიდრებული მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია, ცალკეული მტკიცებულებები არასარწმუნოდ მიიჩნიოს და არ გაიზიაროს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა აისახოს სასამართლო რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით კი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. გასაჩივრებული განჩინებით კი არ ირკვევა, სააპელაციო სასამართლომ რატომ არ გაიზიარა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე<sup>1</sup>" ქვეპუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, დამატებით გამოიკ-

ვლიოს სარემონტო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები და დავა აღნიშნულის შესაბამისად გადაწყვიტოს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

ვ. თ-ოვის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი**

**განჩინება**

#ას-1191-1452-09 3 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),**  
**რ. ნადირიანი (მომხსენებელი),**  
**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** საზიარო უფლების გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ე. შ-ძის მოთხოვნა მოპასუხე მ. ზ-შვილის მიმართ საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდა - გაუქმდა საზიარო უფლება ქ.თბილისში ... ქუჩის #22-ში მდებარე, ე. შ-ძის და მ. ზ-შვილის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე, ამ უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციის გზით; ამონაგები თანხის 2/3 გადაეცა ე. შ-ძეს, ხოლო 1/3 -მ. ზ-შვილს; მოპასუხე მ. ზ-შვილს მოსარჩელე -ე. შ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 1500 ლარი, მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ; მოპასუხე მ. ზ-შვილს მოსარჩელე ე. შ-ძის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა მოსარჩელის მიერ ექსპერტიზის ჩასატარებლად და აუდიტორული დასკვნის შესადგენად გაწეული ხარჯის გადახდა 218 ლარის ოდენობით.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისში, ... ქ.#22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/3 აღრიცხული იყო მოსარჩელის ე. შ-ძის სახელზე, ხოლო 1/3-ის მესაკუთრე იყო მოპასუხე მ. ზ-შვილი. აღნიშნული გარემოება მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ;

თბილისში, ... ქ.#22-ში მდებარე მხარეთა საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთიდან შესაბამისი რეალური წილების გამოყოფა ტექნიკური თვალსაზრისით შეუძლებელი იყო, რაც დადასტურდა მოსარჩელის მიერ წარდგენილი ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2008 წლის 23 ივნისს შედგენილი საექსპერტო დასკვნით, რომლის მიხედვით ... ქ.#22-ში მდებარე საეზოვე ნაკვეთზე, არსებული განაშენიანების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ეზოს გაყოფა მხარეებზე ტექნიკური თვალსაზრისით შეუძლებელი იყო. ამავე დასკვნის მიხედვით, ე. შ-ძის იდეალური 2/3-ის შესაბამისად სადავო სახლიდან რეალურად ფართის გამოყოფა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სათანადო გადაკეთებების შედეგად. ასევე დადგინდა, რომ #3 სათავსის ნაწილის გავლის გარეშე მხარეები მათზე გამოყოფილ ფართობებში ვერ მოხვდებოდნენ და სათავსის ეს ნაწილი შესაბამისად დარჩა მხარეთა საერთო სარგებლობაში.

სამოქალაქო კოდექსის 963-ე და 964-ე მუხლების შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ნითის გაყიდვით საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნა, რომ თბილისში, ... ქუჩის #22-ში მდებარე საზიარო საგნის ნატურით გაყოფა ტექნიკურად შეუძლებელი იყო.



სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მონაწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი. ვინაიდან დადგინდა, რომ სადავო საცხოვრებელი სახლის 2/3 ეკუთვნოდა ე. შ-ძეს, ხოლო 1/3 -მ. ზ-შვილს, პირველი ინსტანციის სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა საზიარო საგნის აუქციონზე გაყიდვის შედეგად მიღებული თანხის 2/3 მოსარჩელისათვის, ხოლო 1/3 მოპასუხისთვის გადაცემის შესახებ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ზ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 აგვისტოს განჩინებით მ. ზ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებების მიმართულის მიერ გაკეთებული დასკვნები და სამართლებრივი შეფასებები და დამატებით აღნიშნა, რომ აპელანტმა დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული იმპერატიული ნორმა, ვინაიდან საექსპერტო დასკვნა საქალაქო სასამართლოში წარადგინა მხოლოდ 2009 წლის 8 იანვარს მთავარ სხდომაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტს სრული შესაძლებლობა ჰქონდა 2008 წლის 25 ნოემბრის მოსამზადებელ სასამართლო სხდომაზე დაეყენებინა შუამდგომლობა იმის თაობაზე, რომ იგი ვერ ასწრებდა საექსპერტო დასკვნის წარდგენას, რომლითაც თავის მხრივ გააქარწყლებდა მოსარჩელის მიერ მტკიცებულების სახით წარდგენილ საექსპერტო დასკვნას. ასეთივე შესაძლებლობა მას ჰქონდა 2008 წლის 10 დეკემბერს, როდესაც ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო საქმის მომზადება მთავარი სხდომისათვის. სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა ვერ შეძლო პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნების გაბათილება, რის გამოც სააპელაციო საჩივარი, როგორც უსაფუძვლო, არ დაკმაყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ზ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ საქმე განიხილა ზერელად რეალური და არსებითი გარემოებების არასწორი შეფასებით, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების უხეში დარღვევით. კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, დარღვეულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე და 288-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტი, ვინაიდან გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში მითითებულია იმ მოსამართლის გვარი და სახელი, რომელსაც სასამართლო განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ მ. ზ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნული. ამავე კოდექსის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს სასამართლოს შემადგენლობა. ცხადია, რომ გადაწყვეტილებას ხელს უნდა აწერდეს ის მოსამართლეები, რომლებიც აღნიშნულია ამ გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში. თუ გადაწყვეტილებას ხელს აწერს არა ის მოსამართლე, რომელიც აღნიშნულია გადაწყვეტილებაში, არამედ, სხვა მოსამართლე, მაშინ გადაწყვეტილება ითვლება კანონის დარღვევით მიღებულად და უნდა გაუქმდეს ასეთი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ გადაწყვეტილება ითვლება კანონის დარღვევით მიღებულად იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმის განხილვაში მონაწილეობდა სხვა მოსამართლე, ხოლო გადაწყვეტილებაში მითითებულია და ამ გადაწყვეტილებს ხელს აწერს სხვა მოსამართლე.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოში მოცემული საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებდა მოსამართლე ნ. ნ-ძე, ხოლო განჩინებას ხელს აწერს მოსამართლე ხ. ა-ძე.

აღნიშნული გარემოება წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს, ვინაიდან განჩინებას ხელს აწერს მოსამართლე, რომელსაც საქმის განხილვაში არ მიუღია მონაწილეობა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

## და ა დ გ ი ნ ა :

მ. ზ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;  
სასამართლო ხარჯები განისაზღვროს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი

#### განჩინება

#ას-1180-1441-09

17 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 25 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა სს „საქართველოს საზღვაო ბანკმა“ ა. და თ. ა-ძეების მიმართ და მოითხოვა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ სს „საქართველოს საზღვაო ბანკმა“ ხელშეკრულების საფუძველზე ა. ა-ძეს ასესხა 50 000 აშშ დოლარი, ვალდებულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ქ.ბათუმში, ... ქ.#72/40-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა. ა. ა-ძემ ხელშეკრულება დაარღვია, რის გამოც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. ა-ძეს დაეკისრა ბანკის სასარგებლოდ 62851 აშშ დოლარის გადახდა. ა.ა-ძემ ნებაყოფლობით არ აღასრულა გადაწყვეტილება, რის გამოც დაიწყო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება და ამ მიზნით აღსრულება მიქცეულ იქნა იპოთეკით დატვირთულ ბინაზე. აუქციონის ორჯერ ჩატარების შემდეგ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება ნატურით გადაეცა ბანკს, რაც შემდეგში საჯარო რეესტრში გახდა მათ საკუთრებად რეგისტრაციის განხორციელების საფუძველი.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ ა. ა-ძემ სარჩელი აღძრა და მოითხოვა აღსრულების შედეგების ბათილად ცნობა. სასამართლომ სარჩელი მიიჩნია საფუძვლიანად და სარჩელი დააკმაყოფილა, გადაწყვეტილება სააღსრულებო ბიუროს არ გაუსაჩივრებია, რის შედეგად იგი შევიდა კანონიერ ძალაში და გაიცა შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი.

მოსარჩელემ განმარტა, რომ სს „საქართველოს საზღვაო ბანკი“ საქმის განხილვაში არ მონაწილეობდა, შესაბამისად, მან ვერ შესძლო საქმის განხილვის დროს თავისი ინტერესების დაცვა, რის გამოც განცხადებით მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. სასამართლომ დააკმაყოფილა განცხადება და 2005 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება გააუქმა. 2005 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის შემდეგ უძრავი ქონება აღირიცხა ა. ა-ძის საკუთრებად, რის შემდეგაც მან 2006 წლის 22 დეკემბერს აჩუქა თავის შვილს -დ. ა-ძეს. მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, დ. ა-ძე და ა. ა-ძე არიან ოჯახის წევრები და მათ იცოდნენ, რომ ბინა იპოთეკით იყო დატვირთული, მაგრამ მოსალოდნელი შედეგის, ანუ კვლავ უძრავი ქონების ბანკის საკუთრებაში აღრიცხვის თავიდან აცილების მიზნით დადეს მოჩვენებითი გარიგება და ქონება გაასხვისეს დ. ა-ძეზე, სინამდვილეში დ. ა-ძეს სახლი არ შეუძენია და გარიგება მოჩვენებითია. მოსარჩელემ მოითხოვა 2006 წლის 22 დეკემბერს ა. ა-ძესა და დ. ა-ძეს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

მოპასუხეთა წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და მიიჩნია, რომ მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. მან განმარტა, რომ ა. ა-ძე 2006 წლის 22 დეკემბრისათვის წარმოადგენდა ქ.ბათუმში, ... ქ.#72/40-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეს და მას შეეძლო მისი განკარგვა მესაკუთრის შეხედულებით. მან გამოხატა ნამდვილი ნება და უძრავი ქონება გააჩუქა დ. ა-ძის სახელზე, რომელმაც შემდეგ მოიპოვა საკუთრების უფლება და ამ ქონებას განკარგავს საკუთარი შეხედულებით. მოპასუხის წარმომადგენელმა მიიჩნია, რომ ამ ქონების გაჩუქების თაო-

ბაზე დადებული გარიგება ნამდვილია და იგი არ წარმოადგენს მოჩვენებითს. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია ის მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა გარიგების მოჩვენებითობას, რის გამოც მიიჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდა მთლიანად -ა. და თ. ა-ძეს შორის 2006 წლის 22 დეკემბერს ქ. ბათუმში, ... ქ.#72/42-ში მდებარე უძრავი ქონების ჩუქების თაობაზე დადებული ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი.

2008 წლის 13 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს საჩივრით მიმართა მოპასუხე ა. ა-ძემ და მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განახლება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 ოქტომბრის საოქმო განჩინებით ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ა-ძის საჩივარი და განაახლა საქმის წარმოება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი ა. ა-ძესა და დ. ა-ძეს შორის 2006 წლის 22 დეკემბერს ქ.ბათუმში, ... ქ.#72/42-ში მდებარე უძრავი ქონების ჩუქების თაობაზე გარიგება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. და თ. ა-ძეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა თ. და ა. ა-ძეების სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგინილად ცნო, რომ ა. ა-ძე და დ. ა-ძე მამა-შვილი არიან, მათ შორის ჩუქების ხელშეკრულება გაფორმდა 2006 წლის 22 დეკემბერს. გარიგების დადებას წინ უსწრებდა ის გარემოება, რომ ა. ა-ძის მიერ მიღებული კრედიტის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა უძრავი ქონება, რომელიც ა.ა-ძემ აჩუქა შვილს - დ. ა-ძეს. ვალდებულების შეუსრულებლობის გამო კი იძულებით აღსრულებაც იმ ქონების იქნა მიქცეული, რაც ა. ა-ძემ გაასხვისა დ. ა-ძის სახელზე. სასამართლომ მიუთითა, რომ დასახელებული უძრავი ქონება თავის დროზე იპოთეკით იმიტომ დაიტვირთა, რომ მოსარჩელეს დაეცვა თავისი უფლება და ა. ა-ძის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკმაყოფილებინა თავისი მოთხოვნა. მას შემდეგ, რაც აღსრულებულ იქნა გადაწყვეტილება და უძრავი ქონების მესაკუთრე გახდა ბანკი, ა. ა-ძის განცხადებით ბანკის საკუთრებაში უძრავი ქონების აღრიცხვის საფუძველი ისე იქნა გაუქმებული და ისე აღირიცხა ა. ა-ძის საკუთრებად, რომ ამის შესახებ ინფორმაცია სს „საქართველოს საზღვაო ბანკს“ არ მიუღია, როცა გაიგო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, სასარჩელო წესით წამოიწყო თავისი უფლების დაცვა.

სააპელაციო პალატამ დადგინილად ცნო, რომ ა. ა-ძემ უძრავი ქონება მაშინ გაასხვისა, როცა ბათილად იქნა ცნობილი იმ აღსრულების შედეგები, რომლითაც იპოთეკით დატვირთული ქონება გადაეცა სს „საქართველოს საზღვაო ბანკს“ და ბანკი გახდა მისი მესაკუთრე. აღსრულების ბათილად ცნობის შემდეგ უძრავი ქონება კვლავ აღირიცხა ავანდილ ა-ძის საკუთრებად და იგი აღარ იყო დატვირთული ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებით, რითაც ა. ა-ძემ ისარგებლა და შესძლო უძრავი ქონების მის შვილისათვის ჩუქება.

სააპელაციო პალატამ ასევე დადგინილად ცნო, რომ ა. ა-ძე და დ. ა-ძე არიან მამა-შვილი და გასხვისებული ქონება დღესაც მათი ოჯახის სარგებლობაშია ამასთან, ა. ა-ძეს მოსარჩელისათვის (ბანკისთვის) არ გადაუხდია ის თანხა, რომლის უზრუნველსაყოფად იყო გათვალისწინებული უძრავი ქონება.

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ მოჩვენებითი გარიგების დროს მხარეთა შეთანხმება მოკლებულია ნამდვილობას და იგი კანონსაწინააღმდეგო მიზნების მისაღწევად ან დასაფარავად გამოიყენება. იმ მიზნით, რომ კრედიტორების დაკმაყოფილებას გაეცეს, მოვალე ქონებას ვითომ ჩუქების გზით ასხვისებს, სინამდვილეში არავითარი ჩუქება არ არსებობს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სადავო გარიგების მონაწილე სუბიექტების ნების გამოვლენის მოჩვენებით ხასიათზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ა. ა-ძე და დ. ა-ძე არიან ოჯახის წევრები -მამა-შვილი. ორივემ კარგად იცოდა, რომ უძრავი ქონება დატვირთული იყო იპოთეკით და აუქციონის შედეგად გადაეცა ბანკს. სახლი გაჩუქებამდე და გაჩუქების შემდეგაც არის მათ მფლობელობაში.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია და მიუთითა, რომ მოჩვენებითი გარიგების დასადასტურებლად ისეთი მტკიცებულების წარმოდგენა არ არის საჭირო, რომელიც მოჩვენებითი გარიგების დასადასტურებლად პირდაპირი მტკიცებულება იქნებოდა. მოჩვენებითი გარიგება შეფასებითი კატეგორიისა და იგი უნდა დგინდებოდეს საქმის მთლიანი მასალების ანალიზითა და შინაგანი რწმენით. ისეთი სიტუაციაში, როცა ქონება დატვირთულია იპო-

თეკით და შემდეგში იგი რეალიზებული იქნება ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ქონების სხვადასხვა მეთოდებით უკან დაბრუნებისა და შემდეგ ოჯახის წევრზე გასხვისება უნდა გაგებულ იქნეს როგორც მცდელობა ვალდებულების შესრულების ან მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილებისა. დასახელებულ შემთხვევაში კი, თუ ა.ა-მ არ გაასხვისებდა იმ ქონებას, რომელიც იპოთეკით იყო დატვირთული და შემდეგ გასხვისებული იყო ვალდებულების შესრულებისა და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ამ უძრავ ქონებას, მოსარჩელე კვლავ მიაქცევდა გადაწყვეტილების აღსასრულებლად, რაც გამოიწვევდა იმას, რომ სს „საქართველოს საზღვაო ბანკი“ შეძლებდა მოთხოვნის დაკმაყოფილებას ამ ქონებით.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. და ა. ა-მეებმა და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

კასატორებმა მიუთითეს, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა უსაფუძვლო იყო იმ ნაწილში, რომელშიც მიიჩნეოდა, რომ ა. ა-მე და თ. ა-მე მამა-შვილი არიან და ამის გამო ჩუქება უნდა გაუქმებულიყო, რადგანაც გარიგების მოჩვენებისათვის ზემოხსენებული გარემოება არ წარმოადგენს არავითარ სამართლებრივ თუ ფაქტობრივ საფუძველს.

კასატორების მოსაზრებით, ჩუქების ხელშეკრულების გაფორმება მიმართული იყო იურიდიული შედეგის დადგომისაკენ, კერძოდ, ვინაიდან თ. ა-მეს არ გააჩნდა ქალაქში უძრავი ქონება. მან გადაწყვიტა, შვილისთვის ეჩუქებინა უძრავი ქონება, რათა მას თავის ოჯახთან, მეუღლესა და შვილებთან ერთად ეცხოვრა აღნიშნულ სახლში.

კასატორებმა მიუთითეს, რომ სააპელაციო სასამართლომ ასევე უყურადღებოდ და შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულება მხარეთა შორის გაფორმებულ იქნა დაახლოებით წელიწადნახევრის შემდეგ, იმ დროიდან, როდესაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება აღმასრულებლის 2004 წლის 12-01 ოქმის ნაწილობრივ გაუქმებისა და ქ.ბათუმში, ... ქ.#72/40-ში მდებარე #22 ბინის ყადაღისაგან განთავისუფლების შესახებ შევიდა კანონიერ ძალაში, ანუ იმ დღიდან წელიწადნახევრის გასვლის შემდეგ, საიდანაც შესაძლებელი იყო კასატორს ა. ა-მის ქონებაზე დაედო ნებისმიერი გარიგება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას.

განსახილველ საქმეში კასატორებს წარმოადგენენ თ. და ა. ა-მეები (მოპასუხეები), რ. შ-მე ა. ა-მის წარმომადგენელია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე განიხილა საქმე 2009 წლის 13 ოქტომბერს, რომ არ მოიწვია საქმის განხილვაზე თ. ა-მე (საქმეში წარმოდგენილი რწმუნებულების თანახმად, რ. შ-მე არ იყო თ. ა-მის წარმომადგენელი), არც 2009 წლის 13 ოქტომბერის სხდომის ოქმში უთითებს სააპელაციო სასამართლო თ. ა-მის გამოუცხადებლობის მიზეზებზე. აღნიშნულ სხდომის ოქმში მითითებულია მხოლოდ ა. ა-მის წარმომადგენლის გამოუცხადებლობაზე. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ 2009 წლის 29 სექტემბრის სასამართლო სხდომას ესწრებოდა ა. ა-მის წარმომადგენელი რ. შ-მე, ხოლო არ ესწრებოდა თ. შ-მე, რომლისთვისაც კანონით დადგენილ წესით ცნობილი იყო სასამართლო სხდომის თარიღი, დრო და ადგილი. აღნიშნული სხდომა გადაიდო 2009 წლის 13 ოქტომბრისათვის, რისთვისაც გაფრთხილებულ იქნა ა. ა-მის წარმომადგენელი რ. შ-მე ხელწერილით, რაც დარჩა საქმეში. სააპელაციო სასამართლომ 2009 წლის 8 ოქტომბერს ფაქსით მიიღო რ. შ-მის განცხადება და ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2009 წლის 13 ოქტომბერს დანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ სასამართლო შეტყობინება და ამ საქმეში მონაწილეობისათვის რწმუნებულებები. აღნიშნული განცხადებით რ. შ-მე სთხოვდა სააპელაციო სასამართლოს, გამოეგზავნა მისთვის უწყება სააპელაციო სასამართლოში 2009 წლის 13 ოქტომბერს დანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ იმისათვის, რომ მას ჰქონოდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში ამავე დღეს დანიშნული პროცესის გადადების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ უწყების გამოგზავნა ვერ მოესწრებოდა ამ დროისთვის, იგი ითხოვდა, რომ

სააპელაციო სასამართლოს სხვა დროისათვის გადაედო საქმის განხილვა. გასათვალისწინებელია, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოუგზავნა რ. შ-ძეს 2009 წლის 13 ოქტომბერს დანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ შეტყობინება, რომელიც მას ჩაჰბარდა 2009 წლის 14 ოქტომბერს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ 2009 წლის 13 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა რ. შ-ძის ზემოაღნიშნული განცხადება, სასამართლომ არ გაითვალისწინა განცხადებაში მოყვანილი გარემოებები, მის მიერ ამ განცხადების დაკმაყოფილების მიზნით გაგზავნილი სასამართლო შეტყობინების რ. შ-ძისათვის დაგვიანებით ჩაბარების ფაქტი (2009 წლის 14 ოქტომბერს) და, შესაბამისად, მისი გამოუცხადებლობის მიზეზები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს შესაბამის პალატას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

თ. და ა. ა-ძეების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი**

#### **განჩინება**

#ას-560-528-2010 20 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

შ. პ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-ძის მიმართ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ #1-957 სანოტარო აქტის ბათილად ცნობის, სესხის ძირითადი თანხის - 5500 აშშ დოლარის, მიუღებელი სარგებლის -1500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და მხარის მიერ გაწეული ხარჯების -651 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო: 2008 წლის 10 სექტემბერს შ. პ-ძესა და მ. მ-ძეს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება 5 თვის ვადით, უპროცენტოდ. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ქ. ზესტაფონში, ... ქ#10-ში მდებარე მ. მ-ძის კუთვნილი უძრავი ნივთი -საცხოვრებელი სახლი. მ. მ-ძემ ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა და ნასესხები თანხა დროულად არ დააბრუნა. მხარეთა შეთანხმებით, მოპასუხე შ. პ-ძეს უნდა მიეყიდა მისი კუთვნილი იპოთეკით დატვირთული ქონება, რომლის ღირებულებაც განისაზღვრა 10000 აშშ დოლარით, მოსარჩელეს კი დამატებით უნდა გადაეხადა 4500 აშშ დოლარი. 2009 წლის 27 აპრილს ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად მხარეებმა მოშალეს იპოთეკის ხელშეკრულება სანოტარო აქტის რეგისტრაციის #1-957, რის შემდეგაც მ. მ-ძე მიიძალა და მას სესხი არ დაუბრუნებია. 2009 წლის 10 თებერვლიდან მ. მ-ძისათვის სესხად გადაცემული თანხის დაუბრუნებლობის გამო შ. პ-ძემ ვერ მიიღო შემოსავალი, რის გამოც ზიანის ოდენობამ შეადგინა 1500 აშშ დოლარი, ხოლო მხარის მიერ საქმის წარმოებისა და საჯარო რეესტრის მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 651 ლარი.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა -მოპასუხე მ. მ-ძეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 7000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, ასევე, მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯის -974 ლარის ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მ. მ-ძემ შეიტანა საჩივარი.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის განჩინებით მ. მ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალაში დარჩა, რაც მ. მ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მაისის განჩინებით მ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მ. მ-ძე თავის მისამართად უთითებს ზესტაფონს, ... ქ.#46-ს. საქმეში წარმოდგენილი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ სანოტარო აქტით, მ. მ-ძის მისამართად ასევე მითითებულია ზესტაფონში, ... ქ.#46-ზე. კურიერ ს. რ-ძის მიერ შედგენილ აქტში აღნიშნულია, რომ იგი გამოცხადდა ... ქ.#46-ში, სადაც არავინ დახვდა, ხოლო ტელეფონით ესაუბრა მ. მ-ძის მშობლებს, რომლებმაც განუცხადეს, რომ მ. მ-ძე მათთან დიდი ხანია აღარ ცხოვრობს, საცხოვრებლად გადასულია ქ. თბილისში და მისამართი მათთვის უცნობია. აღნიშნული აქტი შედგენილია 2009 წლის 22 მაისს და ხელითაა მიწერილი, რომ 2009 წლის 1 ივნისს კურიერი კვლავ გამოცხადდა მ. მ-ძის მისამართზე -... ქ.#46-ში, სადაც მ. მ-ძე არ დახვედრია. ადრესატის დედა ნ. მ-ძემ აღნიშნა, რომ არ იცის შვილის ამჟამინდელი მისამართი, თავად კი უარი განაცხადა გზავნილის ჩაბარებაზე იმ მოტივით, რომ ვერ გადასცემდა შვილს ამ გზავნილს. კურიერ ს. რ-ძის აქტით ირკვევა, რომ 2009 წლის 10 ივნისს იგი კვლავ გამოცხადდა ... ქ.#46-ში მ. მ-ძისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების ჩასაბარებლად, მაგრამ სახლში არავინ დახვდა.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. მ-ძე მისამართად უთითებს ზესტაფონს, ... ქ.#46-ს, ხოლო მ. მ-ძეს შესაგებელში მისამართად მითითებულია ქ.თბილისში, ... ქ.#10-ზე. აღნიშნულ მისამართზე სასამართლოს მიერ გაგზავნილ შეტყობინებაზე მითითებულია, რომ ადრესატს ამ მისამართზე ნაქირავები ჰქონდა ბინა, რომელიც დამქირავებლებმა მესაკუთრის გაუფრთხილებლად დატოვა. მ. მ-ძე სააპელაციო საჩივარში მისამართად უთითებს ქ.თბილისს, ... ქ.#59-ს, მითითებული მისამართიდან დაბრუნებულ გზავნილზე აღნიშნულია, რომ ... ქუჩაზე ასეთი ნომერი არ არსებობს. საქმეში ასევე არსებობს მტკიცებულება, სადაც მ. მ-ძის მშობლები აცხადებენ, რომ მათი შვილი საცხოვრებლად გადასულია ქ. თბილისში, თუმცა არ აზუსტებენ მისამართს. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, პალატამ დაადგინა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მ. მ-ძის თბილისის ზუსტი მისამართი.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის მ. მ-ძის კუთვნილი გზავნილი ჩაბარების დავალებას სასურველი შედეგი ვერ მოჰყვებოდა, რადგან ქ.თბილისში მისი ზუსტი მისამართი საქმის მასალებით არ დგინდება. ამდენად, ვინაიდან მ. მ-ძის ოჯახის წევრებმა არ ჩაიბარეს მისთვის გაგზავნილი სასამართლო გზავნილი, ხოლო ქ.თბილისში მისი მისამართი უცნობი იყო სასამართლოსთვის, სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო შეტყობინება ყველაზე მისაღები საშუალებაა მოპასუხისათვის სარჩელის და თანდართული მასალების ჩასაბარებლად.

პალატამ დაადგინა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსთვის ცნობილ მისამართზე სამჯერ გაიგზავნა სარჩელი და თანდართული მასალები მოპასუხისათვის გადასაცემად, მაგრამ ადრესატს არ ჩაჰბარდა, რადგან მ. მ-ძე თვითონ კურიერს არასდროს ხვდებოდა სახლში, ხოლო მისი მშობლები უარს აცხადებდნენ დოკუმენტების ჩაბარებაზე და თბილისში მის მისამართს არ აზუსტებდნენ. ამდენად, სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით, 73-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტით, 75-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ მ. მ-ძის მისამართი იყო ქ.ზესტაფონი, ... ქ.#46, სადაც სამჯერ გაეგზავნა სასამართლოს დოკუმენტი, მაგრამ არ მოხერხდა მისთვის ჩაბარება -მშობლები ჩაბარებაზე უარს აცხადებდნენ, ხოლო ქ.თბილისში მოპასუხის მისამართს არ აზუსტებდნენ. აღნიშნული დატურდება იმითაც, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გაგზავნილი სასამართლო უწყება ქ.თბილისში, ... ქ.#59-ში დაბრუნდა კურიერის წარწერით, რომ „... ქუჩას 59 ნომერი არ აქვს“. ამდენად, სასამართლომ სავსებით კანონიერად მიმართა საჯარო შეტყობინების ინსტიტუტს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილის თანახმად, განჩინება გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა 2009 წლის 15 ივნისის, რომლითაც ცნობილი გახდა მოპასუხისათვის მთავარი სხდომის დღისა და დროის თაობაზე, სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მხარისთვის ჩაბარების თაობაზე, შესაბამისად, 7 დღის შემდეგ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვალა, მოპასუხისათვის ამავე ვადაში გახდა ცნობილი მთავარი სხდომის თაობაზე. შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სასამართლოს მხრიდან კანონის სრული დაცვით. პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მითითება, რომ გაზეთი „რეზონანსი“ ზესტაფონში არ არის გავრცელებული, ხოლო რაი-

ონული მნიშვნელობის გაზეთში საჯარო შეტყობინების გამოქვეყნება არ შეიძლება. პალატის მითითებით, სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მისღებისას არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, რის გამოც, ამავე კოდექსის 241-ე მუხლის „ბ“ პუნქტისა და 215-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმებას არ ექვემდებარება. რაც შეეხება საჩივარს, პალატამ განმარტა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა 2009 წლის 9 ივლისს, გამოქვეყნდა გაზეთ „რეზონანსში“ საჯარო შეტყობინების წესით და კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 24 ივლისს, ანუ გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს. საჩივარი კი მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილია 2009 წლის 4 აგვისტოს, ანუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების 10-დღიანი ვადის დარღვევით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მ. მ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ ისე მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომ მოპასუხის მისამართი არ დაუდგინა, სადაც ჩაბარდებოდა მ. მ-მეს სარჩელი და შესძლებდა შესაგებლის წარმოდგენას, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით კასატორი ჩაწერილია ქ. ზესტაფონში, ... ქუჩაზე, თუმცა სარჩელის შეტანის დროისათვის იმყოფებოდა ქ.თბილისში, ... ქ#10-ში. მ. მ-მემ მოგვიანებით შეიგვალა მისამართი, თუმცა, რადგანაც მოპასუხისათვის უცნობი იყო სასამართლოში დავის არსებობის თაობაზე, იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას, სასამართლოსათვის ეცნობებინა მისამართის შეცვლის შესახებ. პალატა არასწორად უთითებს, რომ ქ. თბილისში, ... #59-ში გაგზავნილი სააპელაციო სასამართლოს შეტყობინების მხარისათვის ჩაუბარებლობა ადასტურებს 2009 წლის ივლისში არსებულ ვითარებას, რომ მ. მ-მემ არასწორი მისამართი აცნობა სასამართლოს. პირველი ინსტანციის სასამართლო უთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლზე, მაშინ, როდესაც მხარეს სარჩელი არ ჩაჰბარებია, ხოლო საჯარო შეტყობინება გამოქვეყნდა სასამართლო სხდომის დანიშვნის თაობაზე, სადაც სხდომის თარიღად მითითებულია 8 ივლისზე, გადაწყვეტილება კი მიღებულია 9 ივლისს ისე, რომ სხდომა არც 8 და არც 9 ივლისს არ ჩატარებულა, ამასთან, საქმეში არ არის სასამართლო სხდომის ოქმი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის სამართლებრივი საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასრულად შეაფასა პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების კანონიერება, რა დროსაც მხედველობაში არ მიიღო შემდეგი გარემოება:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლო სხდომების და მხარეთა მონაწილეობით მიმდინარე საპროცესო მოქმედებების (ადგილზე დათვალიერება და სხვა) შესრულებისას სასამართლო სხდომის ოქმის შედგენის აუცილებლობას, მის წესსა და პირობებს. სასამართლო სხდომის ოქმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპროცესო დოკუმენტია, რომელიც სრულად ასახავს საქმის წარმოების მიმდინარეობას, მხარეთა, მოწმეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა განმარტებებსა და რიგ საპროცესო მოქმედებებს. ამდენად, სასამართლო სხდომის ოქმი არის მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, თუ რა საპროცესო მოქმედება შეასრულა სასამართლომ და რა შედეგები მოჰყვა ამ მოქმედებებს. სასამართლო სხდომის ოქმის არსებითი მტკიცებულებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ოქმის საქმეში არ არსებობა გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, 394-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი).

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებში არ მოიპოვება 2009 წლის 9 ივლისის სასამართლოს სხდომის ოქმი, რომელშიც აისახებოდა ამავე თარიღით გამოტანილი გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები. კანონით მკაცრად რეგლამენტირებულ დაუსწრებელი გა-

დაწვევტილების გამოტანის წინაპირობათა შემოწმების გარეშე ამ გადაწვევტილების კანონიერებაზე მსჯელობა კი სრულიად დაუსაბუთებელია.

ამავდროულად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ სადავო დაუსწრებელი გადაწვევტილების კანონიერების შეფასებისას სათანადოდ არ გამოჩვენდა, ეცნობა თუ არა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებელ მხარეს საქმის განხილვის დრო და ადგილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით. დასახელებული კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი.

მითითებული ნორმა გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, მხარეს მიაწოდოს სწორი და ამომწურავი ინფორმაცია საქმის განხილვის თარიღისა და ადგილის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში მ. მ-მეს სასამართლო უწყება რამდენჯერმე უშედეგოდ გაეგზავნა სასამართლოსათვის ცნობილ მისამართებზე და საბოლოოდ სასამართლო პუბლიკაციის მეშვეობით მხარეს ეცნობა, რომ მთავარი სხდომა ჩატარდებოდა 2009 წლის 8 ივლისს. პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწვევტილების გამოტანის თარიღად მითითებულია 2009 წლის 9 ივლისი. მხარე კი 2009 წლის 9 ივლისის სხდომის თაობაზე არ გაფრთხილებულა.

საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ ყურადღება უნდა გამახვილოს ზემოხსენებულ გარემოებებზე და მხოლოდ მათი შეფასების შემდეგ მიიღოს გადაწვევტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მ. მ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მაისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **6. საარბიტრაჟო გადაწვევტილების გასაჩივრება**

### **საარბიტრაჟო გადაწვევტილების აღსრულების შეჩერება**

#### **განჩინება**

#ას-284-269-2010

12 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ინდივიდუალურმა მეწარმე "მ. მ-მემ" განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს სარჩელის წინასწარ უზრუნველყოფის მიზნით საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწვევტილების აღსრულების შეჩერების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2009 წლის 20 აგვისტოს შპს "დავების განმხილველი ცენტრის" გადაწვევტილებით განმცხადებელს სს "ბანკ -" სასარგებლოდ დაეკისრა 47 921 აშშ დოლარის გადახდა. აღნიშნული გადაწვევტილება მიღებულია "კერძო არბიტრაჟის შესახებ" კანონისა და თავად საარბიტრაჟო სასამართლოს დებულების მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც მხარე გეგმავს მის გასაჩივრებას სასამართლოში. 2010 წლის 14 იანვარს მ.მ-მეს ჩაჰბარდა აჭარის სააღსრულებო ბიუროს წინადადება, ნებაყოფლობით აღსრულებინა არბიტრაჟის გადაწვევტილება, თუმცა 2010 წლის 24 იანვარს მომხდარი უბედური შემთხვევის გამო მხარემ გადაწვევტილების გასაჩივრება ვერ მოახერხა. სამომავლო სარჩელით განმცხადებელი მოითხოვს აღსასრულებელი გადაწვევტილების გაუქმებას. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მისი აღსრულება შეუძლებელი იქნება, რადგან საარბიტრაჟო გადაწვევტილების აღსრულების დროს იპოთეკის საგანი შეიძლება აუქციონზე შეიძინოს მესამე პირმა, რომლისგანაც ქონების გამოთხოვა ვეღარ მოხდება.



ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის განჩინებით ინდივიდუალურ მეწარმე "მ. მ-მის" განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ინდივიდუალურმა მეწარმე "მ. მ-მემ" გაასაჩივრა საჩივრით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა იმ გარემოებას, რომ განმცხადებელმა ვერ დაასაბუთა სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობა და შემოიფარგლა ზოგადი მითითებით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების უკანონობაზე. სასამართლოს არ უმსჯელია განმცხადებლის არგუმენტზე, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაში იპოთეკის საგანი გაიყიდება აუქციონზე და სამომავლო სარჩელის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებისას აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება ვეღარ აღსრულდება და გასხვისებული ქონება კეთილსინდისიერი შემქმნისაგან ვეღარ გამოითხოვება, შესაბამისად, სამომავლო დავას აზრი ეკარგება, ვინაიდან იპოთეკის საგნის შენარჩუნება შეუძლებელი გახდება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მარტის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 997<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქმესთან ერთად განსახილველად გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება, რომ განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ განმცხადებელმა დაასაბუთოს თავისი პრეტენზიები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიმართ. სასამართლოს მოსაზრებით, მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი, სასამართლოს ჩამოუყალიბდეს დასაბუთებული ვარაუდი სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობასთან დაკავშირებით. განსახილველ შემთხვევაში პალატამ ჩათვალა, რომ საჩივრის ავტორს არც განცხადებაში და არც საჩივარში არ მიუთითებია, თუ რა პრეტენზიები გააჩნდა მას არბიტრაჟის გადაწყვეტილების მიმართ და რატომ დაირღვა არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას კანონი ან დებულება. შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, მას არ ჩამოუყალიბდა სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობის დასაბუთებული ვარაუდი, რის გამოც საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ მეწარმე "მ. მ-მის" საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7<sup>1</sup> თავით გათვალისწინებულია არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეების განხილვის თავისებურებები, რომლებიც შეიცავს სპეციალურ ნორმებს ამ დავებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>24</sup> მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, გასაჩივრების შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არ შეჩერდება. სასამართლოს უფლება აქვს, მხარის შუამდგომლობით შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ვადით არა უმეტეს 30 დღის განცხადების წარმოებაში მიღებიდან, თუ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უზრუნველყოფა.

ამდენად, მითითებული ნორმა ადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საჩივრის უზრუნველყოფას სასამართლოში საჩივრის კანონით დადგენილი წესით შეტანის შემდეგ, ხოლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის წინასწარ უზრუნველყოფის შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებზე არ ითვალისწინებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ მეწარმე "მ. მ-მის" მოთხოვნა ზემოთ დასახელებული ნორმით გათვალისწინებულ პირობას არ აკმაყოფილებს და, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ინდივიდუალურ მეწარმე "მ. მ-მის" საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლისა და 18 მარტის განჩინებები დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების  
ბათილად ცნობა**

**განჩინება**

#ას-15-14-2010

15 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 17 მარტს შპს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტ "ლ-ის" დირექტორმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა და ქუთაისი მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2007 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილებით შ. მ-შვილი აღდგენილ იქნა შპს "ლ-ის" წევრად როგორც ერთ-ერთი დამფუძნებელი. აღნიშნული გადაწყვეტილება იყო უკანონო, რადგანაც საზოგადოება, როგორც მხარე, პროცესზე მოწვეული საერთოდ არ ყოფილა. გარდა ამისა, მხარეთა შორის არ არსებობდა შეთანხმება საქმის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ. მოსარჩელის მტკიცებით, შ. მ-შვილი არასოდეს ყოფილა საზოგადოების დამფუძნებელი წევრი, იგი ერთ-ერთ თანამდებობას იკავებდა მხოლოდ, რომელიც შემდგომში გაუქმდა, ასევე, მოთხოვნა ხანდაზმული იყო, რადგანაც საზოგადოების ხელახალი რეგისტრაცია 1996 წელს მოხდა, გადაწყვეტილება კი 2007 წელსაა მიღებული.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით შპს პედაგოგიურ ინსტიტუტ "ლ-ის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს პედაგოგიურ ინსტიტუტ "ლ-ის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ქუთაისი მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2007 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი, ასევე გაუქმდა ამ გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2007 წლის 25 იანვარს შ. მ-შვილსა და შპს "ლ-ის" თავმჯდომარე ჟ. ჯ-მეს შორის შედგა შეთანხმება მათ შორის არსებული დავის ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ;

2. შ. მ-შვილმა არბიტრაჟს პრეტენზიით მიმართა, ხოლო ჟ. ჯ-მემ წერილობით, რომლითაც პრეტენზიის ნამდვილობა დაადასტურა;

3. საქმის განხილვისას მეორე მხარემ პრეტენზია ცნო;

4. ქუთაისი მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2007 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით შ. მ-შვილი აღდგენილ იქნა შპს "ლ-ის" წევრად, როგორც ერთ-ერთი დამფუძნებელი. გადაწყვეტილების საფუძველზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან შპს "ლ-ის" წარმომადგენელმა საქმის განხილვისას პრეტენზია სცნო, მხარეთა შორის დავა არ არსებობდა, შესაბამისად, საარბიტრაჟო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი აღნიშნული საკითხი განეხილა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შ. მ-შვილმა საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

კასატორის მტკიცებით, გადაწყვეტილება იყო უკანონო, რადგანაც სასამართლომ არასწორად განმარტა "კერძო არბიტრაჟის შესახებ" კანონის ნორმები. ის, რომ მხარემ საქმის განხილვისას პრეტენზია ცნო, არ მიუთითებდა დავის არარსებობაზე. გარდა ამისა, კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას ეწინააღმდეგება. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, კერძო არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს მხოლოდ სამოქალაქო დავები. "სამოქალაქო დავები" გულისხმობს ქონებრივ და არა პირად არაქონებრივ დავებს. მოცემულ შემთხვევაში კი დავა ქონებრივი იყო. 1991 წელს შ. მ-შვილი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი იყო. იგი საზოგადოებიდან გარიცხული არ ყოფილა. 1996 წელს

საზოგადოების ხელახალი რეგისტრაციისას კი შ. მ-შვილი წევრად არ აღრიცხულა. ამასთან, მისი წილი არავის შეუსყიდია. ამ გარემოებების გათვალისწინებით, საარბიტრაჟო სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 თებერვლის შ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გააუქმა კერძო არბიტრაჟის 2007 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება იმ საფუძველით, რომ არბიტრაჟი უფლებამოსილი არ იყო, განეხილა მოცემულ საქმეზე საარბიტრაჟო სარჩელი, რადგან მხარეთა შორის დავა არ ყოფილა. აღნიშნულის თაობაზე სასამართლოს არგუმენტები ასეთია- თავიდანვე ნათელი იყო, რომ მხარეთა შორი დავა არ ყოფილა, შპს "ლ-ს" არც უცდია საარბიტრაჟო პრეტენზიისაგან თავის დაცვა, იგი თავიდანვე ეთანხმებოდა პრეტენდენტს და საქმის განხილვისას ცნო სარჩელი.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. უპირველეს ყოვლისა გაუგებარია, თუ რა იგულისხმება სასამართლოს მითითებაში, რომ თავიდანვე ნათელი იყო მხარეთა შორის დავის არსებობის ფაქტი. გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთების ნაწილში აღნიშნულის თაობაზე არაფერი არ არის მითითებული. სამართლებრივი დასაბუთება ყოველთვის გამომდინარეობს კონკრეტული ფაქტებიდან. ასეთი ფაქტების მითითების გარეშე კი შეუძლებელია შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

იგივე უნდა ითქვას, გადაწყვეტილების გაუქმების სხვა საფუძველებზეც. ის გარემოება, რომ შპს "ლ-ის" წარმომადგენელს არ უცდია საარბიტრაჟო პრეტენზიისაგან თავის დაცვა და ცნო სარჩელი, არ შეიძლება მივიჩნიოთ მხარეთა შორის დავის არსებობის გამომრიცხავ გარემოებად. შესაბამისად პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული საფუძველებით სადავო გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლებელია.

დავის პერიოდისათვის მოქმედი "კერძო არბიტრაჟის შესახებ" კანონის 43-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტი თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება თუ დარღვეულია არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვის და გადაწყვეტის მხარეთა შეთანხმებით ან ამ კანონით დადგენილი წესები. აპელანტი სწორედ ასეთი დარღვევების თაობაზე უთითებდა სააპელაციო საჩივარში, რაზეც სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია. აღნიშნულით დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ელი ქვეპუნქტის მოთხოვნები. გადაწყვეტილება იმდენად არასრულადაა დასაბუთებული, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი ხელახლა უნდა იქნეს განხილული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე და 394-ე მუხლების შესაბამისად.

საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს ჩატარდა თუ არა სხდომა არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვისას, ჩატარდა თუ არა იგი კანონის მოთხოვნათა დაცვით და მიწვეული იყო თუ არა მხარე კანონით დადგენილი წესით სასამართლო სხდომაზე. ამასთან, სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად შეესაბამება საარბიტრაჟო შეთანხმება კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

შ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;  
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 7. საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

### საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება

#### განჩინება

#ას-480-791-09

12 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობა, სამკვიდრო მოწმობისა და ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ქ. ბ-შვილ-ყ-ძემ და ზ. ც-აიამ სარჩელი აღძრეს სასამართლოში ა. კ-ძის, ჟ. ჩ-შვილისა და ე. ი-შვილის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის, მესამე პირის - შპს "მ-ის" მიმართ და მოითხოვეს მოპასუხეთა შორის მიწის ნაკვეთის გაყოფის თაობაზე დადებული ხელშეკრულების გაუქმება, 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის თაობაზე ქ.თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ 1979 წლის 27 დეკემბერს გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის, 1985 წლის 8 იანვარს გაცემული ანდერძისმიერი მემკვიდრეობის მოწმობისა და ქ. თბილისის მე-7 სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ 1996 წლის 30 იანვარს გაცემული ანდერძისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის ნაწილობრივ გაუქმება, ასევე, ქ. თბილისში, ... ქ.#15-ში მდებარე 500 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქ. ბ-შვილ-ყ-ძის, ხოლო 1000 კვ.მ-ზე ზ. ც-აიას საკუთრების უფლების ცნობა შემდეგი საფუძვლებით:

ქ. ბ-შვილ-ყ-ძის მამა - ნ. ნ-შვილი და ზ. ც-აიას მამა - ე. ც-აია მუშაობდნენ ... საბჭოთა მემოსტნეობის მეურნეობაში 1940-1950-იან წლებში. მემოსტნეობის მეურნეობამ ... ქ.#15-ში არსებული მიწა გაანაწილა ხუთ თანამშრომელზე, თანამოსარჩელეთა მამებსა და მოპასუხეებზე. თითოეულს მიეკუთვნა 1000-1000 კვ.მ, რაც დასტურდება შპს "მ-ის" მიერ გაცემული ცნობით, მაგრამ მიწის გაზომვის შედეგად ქ. ბ-შვილ-ყ-ძის კუთვნილი ნაკვეთი აღმოჩნდა სხვებზე ნაკლები. მიუხედავად იმისა, რომ მხარეები ცალ-ცალკე ფლობენ მიწის ნაკვეთს და გამოყოფილი აქვთ მავთულ-ბადით, თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში მოპასუხეთა სახელზე სადავო ფართი ზედმეტად აღირიცხა და ისინი ზღუდავენ მოსარჩელებს მიწით სარგებლობაში.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და შეგებებული სარჩელით მიმართეს სასამართლოს, რომლითაც მოითხოვეს ა. კ-ძის, ე. ი-შვილისა და ჟ. ჩ-შვილის საკუთრებად მათ სარგებლობაში არსებული 1000-1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის მიჩნევა, ასევე, მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან სადავო 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოთხოვა შემდეგი დასაბუთებით: შპს „მ-ის“ დირექტორის წერილი არ უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან გაუგებარია, რას ეფუძნება მემოსტნეობის მეურნეობის საკარმიდამო მიწის ზონარგაყრილი წიგნის ჩანაწერები. წერილით არ ირკვევა, თუ რომელ მიწის ნაკვეთზეა საუბარი და მასში „... ქ. #15“ ნახსენები არ არის. აღნიშნული წიგნი დაზიანებულია, მასზე ლუქის ბეჭედი ახელია და არ იკითხება. წიგნში მითითებულია, რომ ა. ჩ-შვილს, ტ. ჩ-შვილს, ე. ჩ-შვილს, ე. ც-აიასა და ნ. ნ-შვილს ცალ-ცალკე, თითოეულს აღირიცხა 0,1 ჰა საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. თუ ამ წიგნის ჩანაწერების თანახმად ეს ნაკვეთები მდებარეობს ... ქუჩაზე, რომელიც საკმაოდ გრძელი ქუჩაა და ეს, პირობითად აღნიშნული მიწის ნაკვეთები მდებარეობს #15-ში, მაშინ გასარკვევია, 4585 კვ.მ მიწის ნაკვეთი როგორ იქნა განაწილებული 5 პირზე 1000-1000 კვ.მ ოდენობით.

საქართველოს ცენტრალური არქივის მიერ 1972 წლის 25 თებერვალს გაცემული #6 საარქივო ამონაწერით დასტურდება, რომ 1914 წლის 23 მაისს #10548 ქ.თბილისის ნოტარიუსმა დაარეგისტრირა მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვის აქტი: ს. ო.-ს ძე ჩ-შვილმა ვინმე კ. მ.-ს ძე ლ-საგან ქ.თბილისში, კრწანისში, ... უბანში შეიძინა ნაგებობა თავისი მიწის ნაკვეთით, რომლის ფართიდანაც გამოეყო საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 4585 კვ.მ და საცხოვრებელი სახლი.

შეგებებულ სარჩელში ასევე აღნიშნულია, რომ ქ.თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროდან გაცემული, 1999 წლის 23 აპრილის საინვენტარიზაციო გეგმის მიხედვით, 1941 წლის 21 იანვარის მონაცემებით, დღემდე ქ.თბილისში, ... ქ.#15-ში მდებარე 4585 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 564 კვ.მ განაშენიანების ფართის 1\3 ირიცხება ჟ. ლ.-ს ასულ ჩ-შვილის, 1\3 -ტ. ალ.-ს ასულ ჩ-შვილის, ხოლო 1\3 -ა. კ-ძის სახელზე. ამგვარად, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მონაცემებით ქ.თბილისში, ... ქ.#15-ში მოსარჩელები

ზ.ც-აია და ქ.ბ-შვილ-ყ-ძე მოხსენიებული არ არიან და არც შეიძლება იყვნენ, რადგან მათ სახელზე ფართის დაკანონების დოკუმენტი არ მოიპოვება. მათ თვითნებურად აქვთ მიტაცებული აღნიშნული მიწის ნაკვეთები.

მოსარჩელის (შეგებებულ სარჩელში) მითითებით, 1999 წლის 13 თებერვლის ქ.თბილისის ნოტარიუსის მიერ გაცემულ ხელშეკრულებაში მიწის ნაკვეთის გაყოფის შესახებ აღნიშნულია, რომ ქ.თბილისში, ... ქ.#15-ში მდებარე 4585 კვ.მ მიწის ნაკვეთი თანაბარწილად გაიყო მხარეებს შორის, კერძოდ, ჟ. ჩ-შვილს გამოეყო 1528 კვ.მ, ან. ი.-ს ძე ჩ-შვილს -1528 კვ.მ, ხოლო ა. კ-ძეს -1528 კვ.მ. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ჟ.ჩ-შვილს ეკუთვნის ქ.თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ 1979 წლის 27 დეკემბერს გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის, ა.ჩ-შვილს -1996 წლის 30 იანვარს გაცემული ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის, ხოლო ა.კ-ძეს -თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ 1985 წლის 8 იანვარს გაცემული ანდერძისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის თანახმად.

ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი დაკმაყოფილდა -სადავო 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან ზ.ც-აიას საკუთრების უფლებით გადაეცა 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო ქ. ბ-შვილ-ყ-ძეს -500 კვ.მ, ასევე, აღნიშნულ ნაკვეთზე მდებარე ნაგებობიდან თითოეულ მოსარჩელეს სარგებლობის უფლებით გადაეცა 1/2, ხოლო შეგებებულ სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ა. კ-ძემ, ჟ. ჩ-შვილმა და ე. ი-შვილმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 1999 წლის 15 დეკემბრის განჩინებით საქმის წარმოება შეწყდა აპელანტების მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო.

ა. კ-ძემ, ჟ. ჩ-შვილმა და ე. ი-შვილმა განცხადებით მიმართეს ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 აგვისტოს განჩინებით განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ცნობილ იქნა დასაშვებად და დაინიშნა მისი ზეპირი განხილვა. ამავე სასამართლოს 2000 წლის 13 ნოემბრის განჩინებით შემოხსენებული განცხადება არ დაკმაყოფილდა.

2002 წლის 31 ივლისს ა. კ-ძემ, ჟ. ჩ-შვილმა და ე. ი-შვილმა კვლავ მიმართეს განცხადებით სასამართლოს, ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 25 სექტემბრის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის წარმოება განახლდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 მაისის განჩინებით აღნიშნული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით ზ.ც-აიასა და ქ.ბ-შვილ-ყ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა -ა. კ-ძის, ჟ. ჩ-შვილისა და ე. ი-შვილის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ.თბილისში, ... ქ.#15-ში მდებარე 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი გამოთხოვილ იქნა მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან და გადაეცათ შეგებებული სარჩელის ავტორებს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ზ.ც-აიამ და ქ.ბ-შვილ-ყ-ძემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლისა და 19 მარტის განჩინებებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქ.თბილისის, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 აგვისტოსა და 25 სექტემბრის განჩინებები, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 მაისის განჩინება და ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოთხოვნა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 აგვისტოს განჩინების გაუქმებასთან დაკავშირებით. აღნიშნული განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი ე. ი-შვილის, ჟ. ჩ-შვილის, ა. კ-ძის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ და დაინიშნა განცხადების ზეპირი განხილვა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2002 წლის 31 ივლისს ე. ი-შვილის, ჟ. ჩ-შვილმა და ა. კ-ძემ ქ.თბილისის, კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში წარადგინეს განცხადება

ამავე სასამართლოს 1999 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. აღნიშნული განცხადება სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ დასაშვებად იქნა ცნობილი.

პალატის მითითებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, განცხადების დასაშვებობის შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 423-ე-430-ე მუხლებით დადგენილი წესით. განსახილველ შემთხვევაში აპელანტმა ზემოხსენებული განჩინება გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ სასამართლომ არ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე და 426-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე, ანუ მხარემ სადავო განცხადების დასაშვებობა განსჯადობის წესისა და განცხადების შეტანის ვადის დაცვის თვალსაზრისით.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით და მიიჩნია, რომ აპელანტს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობის წესის დარღვევის დამადასტურებელ რაიმე არგუმენტზე არ მიუთითებია, განცხადება შეტანილია იმ სასამართლოში, რომელმაც გასაჩივრებული 1999 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება მიიღო.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აპელანტს ასევე არ დაუდასტურებია, რომ განმცხადებელმა დაარღვია განცხადების შეტანის ერთგვანი ვადა. ახლად აღმოჩენილად მხარე მიუთითებდა იმ გარემოებას, რომ ქ.თბილისის, კრწანისი-მთაწმინდის რაიონის საგამომიებო სამსახურის უფროსი გამომიებლის 2002 წლის 12 ივლისის დადგენილების შესაბამისად დოკუმენტები, რომლებსაც გადაწყვეტილება ეფუძნებოდა, ყალბია. პალატის მითითებით, განცხადება სასამართლოში შეტანილია აღნიშნული დადგენილების გამოტანიდან ერთი თვის ვადაში - 2002 წლის 31 ივლისს, ამ გარემოების საწინააღმდეგო მტკიცებულება კი აპელანტს არ წარმოუდგენია.

რაც შეეხება ქ. ბ-შვილ-ყ-ძის აპელირებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლზე, პალატამ ჩათვალა, რომ იგი არ უთითებს, ამ მუხლით გათვალისწინებული რომელი მოთხოვნა არ იქნა შემოწმებული სასამართლოს მიერ. ამდენად, უსაფუძვლობის გამო არ უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 აგვისტოს განჩინების გაუქმების თაობაზე.

საქმის მასალების საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ ქ.თბილისის, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 25 სექტემბრის განჩინებით გაუქმდა ამავე სასამართლოს 1999 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე წარმოება განახლდა. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი მიუთითებდა შპს „მ-ის“ 1990 წლის 27 სექტემბრის #265 ცნობის, ქ.თბილისის, კრწანისი-მთაწმინდის რაიონის საგადასახადო სამსახურის 1990 წლის 17 ოქტომბრის #5-1 და 1999 წლის 2 აპრილის #06\475 ცნობების სიყალბეზე. პალატამ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული 1999 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება ეფუძნებოდა სწორედ საგადასახადო სამსახურის ზემოაღნიშნულ ცნობებს.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მეორე ნაწილით (2002 წლის სექტემბრის რედაქცია) და საქმის მასალებით დადასტურებულად ჩათვალა, რომ კრწანისი-მთაწმინდის რაიონის საგამომიებო სამსახურის უფროსი გამომიებლის 2002 წლის 12 ივლისის აქტით დადგინდა ქ.თბილისის, კრწანისი-მთაწმინდის რაიონის საგადასახადო სამსახურის 1990 წლის 17 ოქტომბრის #5-1 და 1999 წლის 2 აპრილის #06\475 ცნობების სიყალბე, აღნიშნული დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში. აპელანტის მოსაზრების საწინააღმდეგოდ პალატამ მიიჩნია, რომ კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლო 2002 წლის 25 სექტემბრის განჩინების გამოტანისას არ იყო უფლებამოსილი, გადაესინჯა ხსენებულ დადგენილებაში უტყუარად დადგენილი ფაქტები დოკუმენტების სიყალბის თაობაზე.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განცხადების მიხედვით არსებობდა გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების წინაპირობები, რის გამოც 2002 წლის 25 სექტემბრის განჩინება კანონიერია.

რაც შეეხება საქმის განსჯადობით გადაგზავნის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 მაისის განჩინების გაუქმებას, პალატამ მიიჩნია, რომ მოთხოვნა ამ ნაწილშიც დაუსაბუთებელია, კერძოდ, აპელანტი აღნიშნული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა იყო ტექნიკური ჩანაწერებში, შესაბამისად, კერძოსამართლებრივ დოკუმენტებში ცვლილების შეტანა, რაც სასამართლომ არასწორად განმარტა.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დაადგინა, რომ მოსარჩელები მოითხოვდნენ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ცნობას, ქ.თბილისში, ... ქ.#15-ში არსებულ შენობა-ნაგებობაზე სარგებლობის უფლების აღიარებას, მოპასუხეთა შორის დადებული მიწის ნაკვეთის გაყოფის ხელშეკრულების გაუქმებას, კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობების ნაწილობრივ გაუქმებას, კერძოდ, მოსარჩელეთა კუთვნილი მიწის ფართის ნაწილში და, შესაბამისად, საჯარო რეესტრის დავალებულებას, რათა ცვლილება შესულიყო ... #15-ში მდებარე მიწის ნაკვეთის საკუთრების

ჩანაწერებში. პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა სახეები და იმ შემთხვევაშიც, თუ, აპელანტის მითითებისამებრ, ქ.თბილისის მერია საქმეში მხარედ ჩაებმებოდა, მოპასუხე საჯარო რეესტრის მსგავსად, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს, განსჯადობის კანონიერების განხილვისას კი საკითხი უნდა შეფასდეს არა მხოლოდ დავის მონაწილე სამართალსუბიექტების თვალსაზრისით, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რომელი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს დავის საგანი. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ფიზიკური პირების მიმართ საკუთრების უფლების აღიარება, საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტების, მემკვიდრეობის შესახებ სანოტარო აქტების გაუქმება,

ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ურთიერთობებიდან და კონკრეტული სამართალურთიერთობა ემყარება კერძო სამართლის კანონმდებლობას, რაც შეეხება საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმებას, იგი წარმოადგენს საკუთრების უფლების ცნობის შესახებ სარჩელის მოთხოვნების თანმდევ შედეგს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული დავა სრულიად შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით განსაზღვრულ სამოქალაქო სამართალწარმოების სფეროს, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

რაც შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებას, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზ. ც-აიას სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობასა და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს. პალატამ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით შეამოწმა რა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სათანადოდ გამოიკვლია, სრულად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივად სწორად შეაფასა ისინი.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის განჩინება, ისევე, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება, ქ.თბილისის, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 აგვისტოს განჩინება ამავე სასამართლოს 2002 წლის 25 სექტემბრის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 მაისის განჩინება ზ. ც-აიამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მათი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: გასაჩივრებულ განჩინებაში არ არის კონკრეტულად ასახული სამართლებრივი საფუძველები და მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს მოთხოვნის სამართლებრივ დასაბუთებას. განჩინება მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებული დარღვევებით, შესაბამისად, არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

აქვე მითითებულია, რომ სააპელაციო პალატამ 2001 წლის 19 აგვისტოს განჩინების კანონიერებაზე მსჯელობისას არ გაითვალისწინა, რომ აღნიშნული განჩინება არ შეიცავდა დასაბუთებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის შესაბამისად, დაცული იყო თუ არა განსჯადობის წესები, ამავე კოდექსის 426-ე მუხლის თანახმად, დაცული იყო თუ არა განცხადების შეტანის ვადა, თავად განცხადება მოიცავდა თუ არა 427-ე მუხლში ჩამოთვლილ არგუმენტებს.

სასამართლომ ყურადღება ასევე არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2002 წლის 25 სექტემბრის განჩინებაში მისი მიღების თარიღი გადასწორებულია, შესაბამისად, განჩინება ყალბია და მის შემდეგომი ყველა მოქმედება ბათილია. მიუხედავად ამ სიყალბისა, სასამართლოს 2002 წლის 25 სექტემბრით დათარიღებული განჩინება არ მოიცავს მსჯელობას, თუ კონკრეტულად რომელი დოკუმენტი ჩათვალა სასამართლომ ყალბად და რომელ ასეთ ყალბ დოკუმენტს ემყარებოდა 1999 წლის 7 სექტემბრის #2/1157 გადაწყვეტილება.

კასატორის აზრით, თუ კი ამ მტკიცებულებად მიიჩნევა ქ.თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის უფროსი გამომძიებლის -შ.ყ-იანის მიერ მიღებული 2002 წლის 12 ივლისის დადგენილება, საგულისხმოა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში საუბარია საგადასახადო წიგნის 37-ე ფურცლის მეორე გვერდზე და 49-ე ფურცლის პირველ გვერდზე აღნიშნული ქუჩის დასახელებისა და ნომრის გადაკეთებაზე, კერძოდ, "... ქ. #15-ში" ციფრი "15" ორივე ადგილის მექანიკურად გადაკეთებულია, 37-ე ფურცლის მეორე გვერდზე შესაძლებელია პირველადი ნომერი იყო „13“, ხოლო 48-ე ფურცლის პირველ გვერდზე პირველადი ნომერი იყო „17“.

საკასაციო საჩივარში მითითებულია, რომ აღნიშნული საკითხის გასარკვევად ახსნა-განმარტება ჩამოერთვა მთაწმინდა-კრწანისის საოლქო საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორ რ.ც-ძეს, რომელმაც განმარტა, რომ მან 1999 წლის 2 აპრილის #06/475 ცნობის გაცემისას კვლავ იხელმძღვანელა ზემოაღნიშნული საგადასახადო წიგნით, არ გაარკვია მითითებული საკითხი და მოიქცა დაუდევრად. შესაბამისად, საქმეში წარდგენილია მტკიცებულება, რომ ... ქუჩა #15 ადრე იყო #37 და

კიდევ სხვა ციფრიც. გადასწორებაც შესაძლებელია ამით იყო გამოწვეული და ამ გარემოებას გა-  
ყალბებასთან არაფერი აქვს საერთო. აღნიშნული სასამართლოს არ შეუსწავლია და შეუფასებია.

კასატორმა მოუთითა, რომ 2002 წლის 25 სექტემბრის სასამართლო განჩინების კანონიერების  
შემოწმებისას სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ 1999 წლის 7 სექტემბრის სასამარ-  
თლო გადაწყვეტილება ეფუძნება არა მარტო მითითებულ #06/457 ცნობას (ასეთი ცნობა გადაწ-  
ყვეტილებაში მოხსენიებულიც არ არის), არამედ საარქივო მასალებს. ამასთან, დოკუმენტის სი-  
ყალბის შემთხვევაში მოპასუხეს შეეძლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბა-  
მისად, დაეყენებინა ეს საკითხი სასამართლო სხდომაზე, თუმცა აღნიშნული არახელსაყრელი იყო  
მისთვის.

სააპელაციო პალატამ ყურადღება არ გაამახვილა იმაზე, რომ საქალაქო სასამართლოს ადმინის-  
ტრაციული კოლეგიის 2008 წლის 16 მაისის განჩინება მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექ-  
სის 393-ე მუხლის მესამე ნაწილის დარღვევით, დისპოზიციურობის ძირითადი პრინციპების, სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3  
მუხლის უგულებელყოფით.

კასატორის აზრით სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის შესაბამისად,  
საქმეში მოპასუხედ უნდა ჩაერთო ქ.თბილისის მერია. სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა,  
რომ მოსარჩელების ძირითადი მოთხოვნა იყო ტექნიურის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანა, ანუ  
კერძოსამართლებრივ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა, რაც არასწორად განიმარტა.

2008 წლის 17 სექტემბერს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების შემოწმებისას სასამარ-  
თლომ შეფასება არ მისცა მოსარჩელეთა წარდგენილ წერილობით მტკიცებულებებს.

მოცემული საქმის მესამე ტომის 228-ე გვერდზე არსებული პირველი ინსტანციის სასამართლოს  
2004 წლის 15 ივლისის #3/412 განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა. სასამართლომ დაარღვია  
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლი, როდესაც საქმის განხილვა განაგრძო მისი წარმო-  
ების განახლების გარეშე.

საკასაციო საჩივარში მითითებულია, რომ საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას უკანო-  
ნოდ არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მთელი რიგი შუამდგომლობები და სასამართლომ არ შეაფა-  
სა საქმეში წარმოდგენილი საარქივო ჩანაწერები. პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის  
17 სექტემბრის გადაწყვეტილების გამოტანისას არ უმსჯელია, რომ მოსარჩელეთა წინაპრები ნამ-  
დვილად კანონიერად სარგებლობდნენ ... ქ.#15-ში არსებული მიწის ნაკვეთიდან 1000 და 500  
კვ.მ-ით. მოპასუხეთა შეგებებული და დაზუსტებული შეგებებული სარჩელებით დასტურდება,  
რომ 1956-57 წლებში ე. ც-აიასა და ნ. ნ-შვილის მიერ აგებული ოროთახიანი შენობა 50 წლის  
განმავლობაში იმ ადგილას დგას, სადაც ის აშენდა. სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია  
იმაზე, რომ მოპასუხეს სადავო მიწის ნაკვეთზე თავისი უფლების დამდგენი მტკიცებულება არ  
წარმოუდგენია.

აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო დაეყრდნო რა გასაჩივრებულ რეესტრის ჩანაწერებს, არ  
იმსჯელა, რომ ტექნიურის ჩანაწერებში 80-იანი წლების დასაწყისამდე ყველგან მიეთითა მოპასუ-  
ხეთათვის 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ  
უგულებელყო მოპასუხეთა აღიარება, რომ მათ წინაპრებს გამოყოფილი ჰქონდათ 1000-1000 კვ.მ  
მიწის ნაკვეთები, რაც სამ პირზე 3000 კვ.მ-ს წარმოადგენს, შესაბამისად, სასამართლომ მოწინა-  
აღმდეგე მხარეს 4585 კვ.მ ყოველგვარი სამართლებრივი ან ფაქტობრივი დასაბუთების გარეშე მია-  
კუთვნა და არ გაითვალისწინა, რომ ამ ნაკვეთიდან 1000 და 500 კვ.მ მიწა ე. ც-აიასა და ნ. ნ-  
შვილს ჰქონდათ გამოყოფილი. სასამართლომ ჩათვალა, რომ სასარჩელო მოთხოვნის დასადასტუ-  
რებლად ზონარგაყრილი წიგნისა და არქივის ჩანაწერები საკმარისი არ არის, თუმცა არ დაასაბუ-  
თა, თუ სხვა რა სახის მტკიცებულება უნდა წარმოედგინა მხარეს.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 თებერვლის განჩინება, თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება, ქ.თბილისის,  
კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 აგვისტოს განჩინება, ამავე სასა-  
მართლოს 2002 წლის 25 სექტემბრის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინის-  
ტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 მაისის განჩინება ქ. ბ-შვილ-ყ-მემ გაასაჩივრა საკა-  
საციო წესით, მოითხოვა მათი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება  
შემდეგი მოტივებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოპასუხეთა წინაპარმა  
ს.ჩ-შვილმა 1914 წლის 23 მაისს ნამდვილად შეიძინა ქ.თბილისში, დღევანდელი ... ქ.#15-ში  
მდებარე სახლი მიმდებარე ბაღებით, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას ქო-  
ნება ჩამოერთვა, რისი დაბრუნების შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.  
სსრ მიწის კოდექსის 94-ე და 96-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია მოპა-  
სუხეთა მითითება, რომ მათ დარჩათ 4585 კვ.მ.

აქვე მითითებულია, რომ ქ.თბილისის, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002  
წლის 25 სექტემბრის განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმდა ამავე სასამარ-



თლოს 1999 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ მტკიცებულებები, რომელთაც აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება, ყალბია. მტკიცებულებათა სიყალბის დასადასტურებლად სასამართლომ მიუთითა არა კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე, არამედ თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საგამოძიებო სამსახურის 2002 წლის 12 ივლისის დადგენილებაზე, რომლითაც გაყალბებულად იქნა ცნობილი ... მებოსტენობის საბჭოთა მეურნეობის მიერ 1990 წლის 27 სექტემბრის #265 ცნობა, თბილისის ... რაიონის საგადასახადო სამსახურის 1990 წლის 27 სექტემბრის #4-1 და 1999 წლის 2 აპრილის #06/475 ცნობები. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ 1999 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება ეფუძნებოდა არა მარტო ზემოხსენებულ მტკიცებულებებს, არამედ თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის 1999 წლის 2 თებერვლის #10-10/11 ცნობას კასატორის მამის -ნ. ტ-ს ძე ნ-შვილის სახელზე ... ქ.#15-ში მდებარე 500 კვ.მ-ზე მიწის რენტისა და ქ.თბილისის კიროვის რაიონის საფინანსო განყოფილების მიერ 1966-74 წლების შენობის რენტის დარიცხვის შესახებ, ასევე, შპს "მ-ს" 1999 წლის 12 თებერვლის ცნობას ... ქუჩაზე ჩ-შვილებთან ერთად ნ-შვილის სახელზე 0,1 ჰა მიწის ნაკვეთის აღრიცხვის თაობაზე.

კასატორის განმარტებით სასამართლომ შეაფასა და მიიღო მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ წარადგინა, ხოლო ყურადღების მიღმა დატოვა კასატორის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. სააპელაციო პალატამ უგულვებლყო ის გარემოება, რომ რაიონული სასამართლოს 2002 წლის 25 სექტემბრის განჩინება გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ უხეში საპროცესო დარღვევით იქნა გამოტანილი, ასევე, საპროცესო ნორმების დარღვევებს შეიცავს სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 თებერვლის განჩინება, რაც წარმოადგენს აღნიშნული განჩინების გაუქმების საფუძველს და რამაც ხელი შეუწყო უკანონო გადაწყვეტილების გამოტანას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინებების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ც-იასა და ქ. ბ-შვილ-ყ-ძის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებები დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკუთრების უფლების წარმოშობისათვის საჭიროა შესაბამისი გარიგების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლის არსებობა.

სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომში ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამავე კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, უძრავ ნივთებზე უფლების წარმოშობისათვის სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი დადგენილი. საჯარო რეესტრში აღრიცხული მონაცემები კი საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე სარწმუნოდ მიიჩნევა. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1997 წლის 25 ნოემბრის ახალი რედაქციის ამოქმედებამდე და საჯარო რეესტრის სამსახურების ჩამოყალიბებამდე უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაცია ხორციელდებოდა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებში, რაც უზრუნველყოფდა უძრავ ნივთებზე ამჟამად არსებულის მსგავსი სპეციალური რეჟიმის გავრცელებას.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქ.თბილისში, ... ქ.#15-ში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც ამჟამად მემკვიდრეობით მიღებული აქვთ და ირიცხება ა. კ-ძის, ქ. ჩ-შვილისა და ე. ი-შვილის სახელზე, 1941 წლიდან ტექნიკურში აღრიცხული იყო ს. ჩ-შვილის სახელზე.

კასატორები ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროსა და საჯარო რეესტრის ჩანაწერების უზუსტობის დასაბუთებლად უთითებენ თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის 1999 წლის 2 თებერვლის #10-10/11 ცნობას კასატორის მამის -ნ. ტ-ს ძე ნ-შვილის სახელზე ... ქ.#15-ში მდებარე 500 კვ.მ-ზე მიწის რენტისა და ქ.თბილისის კიროვის რაიონის საფინანსო განყოფილების მიერ 1966-74 წლების შენობის რენტის დარიცხვის შესახებ, ასევე, „ზონარგაყრილი წიგნის“ მონაცემებსა და შპს "მ-ს" 1999 წლის 12 თებერვლის ცნობას ... ქუჩაზე ჩ-შვილებთან ერთად ნ-შვილის სახელზე 0,1 ჰა მიწის ნაკვეთის აღრიცხვის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონის ზემოხსენებული დანაწესებიდან გამომდინარე, კასატორთა მიერ დასახელებული დოკუმენტები უძრავ ნივთზე უფლების დამდგენ უკეთეს მტკიცებულებებად ვერ მიიჩნევა, ისინი ტექნიკურსა და საჯარო რეესტრის მონაცემთა უზუსტობას ვერ ამტკიცებს. მხოლოდ აღნიშნული გარემოებები არ შეიძლება გახდეს 1941 წლიდან ტექნიკურში არსებული ჩანაწერის კორექტირების და მის შესაბამისად განხორციელებული შემდგომი მოქმედებების ბათილობის საფუძველი. მოსარჩელეთა მიერ არ არის მითითებული გარემოებები და შესაბამისი

მტკიცებულებები, რომელთა მიხედვით შეიძლება დადგინდეს, რომ არსებობდა სამართლებრივი აქტი, რომლის შესაბამისად სადავო მიწა უნდა გამოსულიყო მოპასუხეთა მფლობელობიდან და გადასულიყო საბჭოთა მეურნეობის განკარგულებაში, ხოლო შემდგომში საბჭოთა მეურნეობას ჰქონდა აღნიშნული მიწის სხვაზე გადაცემის კანონიერი საფუძველი. მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილი გარემოებები უდავოდ ვერ ადასტურებს საბჭოთა მეურნეობის მიერ მოსარჩელეთათვის კონკრეტულად სადავო მიწების გადაცემის ფაქტსაც კი.

რაც შეეხება ნორმას, რომლის მიხედვით ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მიწების ფიზიკურ პირთა მფლობელობა 600 მეტრამდე იზღუდებოდა, ზოგადი წესი ყოველ კონკრეტული პირის მიმართ კონკრეტული აქტით უნდა აღსრულდეს, რაც საქმის მასალებით თანამოპასუხეთა მიმართ არ დასტურდება.

დაუსაბუთებელია კასატორ ზ. ც-აიას მოსაზრება, რომ ქ. თბილისის, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 აგვისტოს განჩინების კანონიერების შემოწმებისას სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე, 426-ე და 427-ე მუხლების მოთხოვნების დაცვის თაობაზე, კერძოდ, შეიტანეს თუ არა ა. კ-მემ, ჟ. ჩ-შვილმა და ე. ი-შვილმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქ. თბილისის, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება განსჯადობის წესების დაცვით კანონით დადგენილ ვადაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის შემდეგ მსჯელობას:

ზემოხსენებული განცხადებით მხარემ მოითხოვა ქ. თბილისის, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. მითითებული ნორმა ადგენს, რომ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ მხარემ უნდა შეიტანოს იმ სასამართლოში, რომელმაც ამ განცხადებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიიღო.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში ა. კ-მემ, ჟ. ჩ-შვილმა და ე. ი-შვილმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადებით სწორად მიმართეს ქ. თბილისის, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ განმცხადებლებს განსჯადობის წესები არ დაურღვევიათ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლი განსაზღვრავს იმ საპროცესო ვადებს, რომელთა განმავლობაშიც შესაძლებელია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა. აღნიშნული ნორმის 1-ლი, მე-2 და მე-4 ნაწილების მიხედვით, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა. გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეს შეუძლია, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაასაჩივროს მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის მანძილზე და ახლად აღმოჩენილი გარემოების შეტყობიდან ერთი თვის განმავლობაში.

ა. კ-მემ, ე. და ჟ. ჩ-შვილებმა საქმის წარმოების განახლების საფუძვლად მიიჩნიეს ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის უფროსი გამომძიებლის -შ. ყ-იანის მიერ მიღებული 2002 წლის 12 ივლისის დადგენილებით იმ მტკიცებულებების ბათილად ცნობა, რომელთაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეფუძნება. სავსებით დასაბუთებულია სააპელაციო პალატის მითითება, რომ ა. კ-მემ, ჟ. ჩ-შვილმა და ე. ი-შვილმა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება შეიტანის ამ დადგენილების გამოტანიდან ერთი თვის ვადაში -2002 წლის 31 ივლისს. ამასთან, მხარეთა მიერ დაცულია ზემოხსენებული ნორმით დადგენილი 5-წლიანი ვადაც.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ ზ. ც-აიას არ დაუსაბუთებია, ა. კ-მის, ჟ. ჩ-შვილისა და ე. ი-შვილის განცხადების დასაშვებობის შემოწმებისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის კონკრეტულად რომელი დანაწესი დაირღვა, შესაბამისად, კასატორის საკასაციო პრეტენზია აღნიშნულთან დაკავშირებით საფუძველს მოკლებულია.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება ზ. ც-აიას არგუმენტი, რომ პალატამ არ შეაფასა ქ. თბილისის, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 25 სექტემბრის განჩინებაზე თარიღის გადაკეთების ფაქტი და არ გაითვა-

ლისწინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმის წარმოების განახლებისას არ დაუსახელებია, რომელი მტკიცებულებები მიიჩნია გაყალბებულად და სამართლებრივად არ შეუფასებია ქ.თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის უფროსი გამომძიებლის 2002 წლის 12 ივლისის დადგენილებაში მითითებული მტკიცებულებები.

ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის უფროსი გამომძიებლის 2002 წლის 12 ივლისის დადგენილება, რომელშიც ამომწურავადაა მითითებული ის დოკუმენტები, რომელთა სიყალბეც რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა, კანონიერ ძალაშია შესული. სსსკ-ის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად (2002 წლის სექტემბრის რედაქცია) კი ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია ამ მუხლის პირველი ნაწილის "ა" – "გ" ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, ან თუ სისხლის სამართლის პროცესის დაწყება და ჩატარება ვერ ხორციელდება არა მტკიცებულებათა უკმარისობის, არამედ რაიმე სხვა მიზეზით. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მართებულად ჩათვალა, რომ ქ.თბილისის, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლო 2002 წლის 25 სექტემბრის განჩინების მიღებისას არ იყო უფლებამოსილი, ხელახლა გადაესინჯა აღნიშნულ მტკიცებულებათა კანონიერების საკითხი.

ასევე, დაუსაბუთებელია კასატორ ზ.ც-აიას საკასაციო პრეტენზია სააპელაციო პალატის მიერ საქმის განსჯადობით სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის გადაცემის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 მაისის განჩინების კანონიერად მიჩნევასთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება მხარის მოსაზრებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის, 393-ე მუხლის მესამე ნაწილის, 93-ე მუხლისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის დარღვევის თაობაზე და იზიარებს გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულ მსჯელობას, რომ დავის განსჯადობის კანონიერების საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ რომელი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს დავის საგანი. მოცემულ საქმეზე მხარეები მოითხოვდნენ საკუთრების უფლების აღიარებას, საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტების, მემკვიდრეობის შესახებ სანოტარო აქტების გაუქმებას, ამდენად, დავა გამომდინარეობს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის სამართალურთიერთობებიდან, რაც სავსებით შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის დანაწესს საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის თაობაზე.

მართალია, მხარეებს შორის დავა საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმებასაც ეხება, თუმცა სააპელაციო პალატამ მართებულად ჩათვალა, რომ აღნიშნული საკითხი ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის თანმდევი შედეგია.

მოცემული საქმის ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით განხილვის საფუძველი ვერ გახდება კასატორის მითითება საქმეში მხარედ ქ.თბილისის მერიის ჩაბმის შესახებ, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, დავის განსჯადობის საკითხზე მსეჯლობისას მისი სუბიექტების ვინაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად ზ.ც-აია უთითებს ასევე იმ გარემოებას, რომ 2004 წლის 15 ივლისის განჩინებით რაიონულმა სასამართლომ მოპასუხეთა წარმომადგენელ ვ.გ-ძის ავადმყოფობის გამო მოცემული საქმის წარმოება შეაჩერა, თუმცა საქმის განხილვა განაგრძო წარმოების განახლების შესახებ განჩინების მიღების გარეშე, რასაც სააპელაციო პალატამ შეფასება არ მისცა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართალია, რაიონული სასამართლოს განჩინება შეჩერებული საქმის წარმოების განახლების შესახებ საქმეში წარმოდგენილი არ არის და აღნიშნულზე არც სააპელაციო პალატას ყურადღება არ გაუმახვილებია, თუმცა ისეთი სახის საპროცესო დარღვევები, რომელთაც შედეგად არსებითად უკანონო გადაწყვეტილების მიღება არ მოჰყვა, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს არ წარმოადგენს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მესამე ნაწილი). კასატორის მიერ მითითებული არგუმენტი კი სწორედ ასეთი სახის საპროცესო დარღვევას ეხება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ზ. ც-აიასა და ქ. ბ-შვილი-ყ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლისა და 19 მარტის განჩინებები.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

### განჩინება

#ა-1029-ა-8-2010

21 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
მოსამართლე ლ. ლაზარაშვილმა

**განიხილა** რ. ბ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ. საკასაციო სასამართლომ

#### გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინებით რ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 თებერვლის განჩინებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის ვადის გასვლის გამო.

2010 წლის 11 მაისს რ. ბ-შვილმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, მოითხოვა უზენაესი სასამართლოს ზემოთ დასახელებული განჩინების გაუქმება და მის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადა არ გაუშვია, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება მას ჩაჰბარდა 2010 წლის 9 მარტს, ხოლო საკასაციო საჩივარი წარადგინა 19 მარტს, გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე საკმაოდ დროით ადრე.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე დასაბუთებულად მიიჩნევს განცხადების ავტორის მსჯელობას იმის შესახებ, რომ მან კანონით დადგენილ გასაჩივრების 1-თვიან ვადაში ჩააბარა საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინება და საქმეზე წარმოება განახლდეს.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლით, 430-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### და ა ა დ გ ი ნ ა :

რ. ბ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინება და საქმეზე განახლდეს წარმოება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საქმის წარმოების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

### განჩინება

#ა-826-ა-6-2010

27 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
თ. თოდრია

**განიხილა** სს "ბ. შ. ფ-ას" (წარმომადგენელი ს. რ-შვილი) განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მარტის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ. საკასაციო სასამართლომ

**გამოარკვია :**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მარტის განჩინებით სს "ბ. შ. ფ-ას" (წარმომადგენელი ს. რ-შვილი) საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ივნისის განჩინებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის გასვლის გამო.

2010 წლის 14 აპრილს სს "ბ. შ. ფ-ამ" განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, მოითხოვა უზენაესი სასამართლოს ზემოთ დასახელებული განჩინების გაუქმება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე მის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მისთვის ცნობილი გახდა ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. იმის გამო, რომ სააპელაციო სასამართლომ საკასაციო საჩივარი უზენაეს სასამართლოში გადააგზავნა საფოსტო კონვერტის გარეშე, საკასაციო სასამართლოსათვის უცნობი იყო საკასაციო საჩივრის ფოსტისათვის ჩაბარების ზუსტი თარიღი. შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ სს "ბ. შ. ფ-ას" მიერ საკასაციო საჩივრის შეტანის თარიღად მიიჩნია 2010 წლის 9 მარტი, ის დღე, როდესაც საკასაციო საჩივარი საფოსტო მომსახურების გამწვევა სუბიექტმა -თნთ-მ შეიტანა სააპელაციო სასამართლოს კანცელარიაში, ნაცვლად 2010 წლის 4 მარტისა, როდესაც საკასაციო საჩივარი ჩაჰბარდა უშუალოდ საფოსტო მომსახურების გამწვევს. აღნიშნულის დასადასტურებლად განცხადებას თან ერთვის სს "ბ. შ. ფ-ას" მიერ საკასაციო საჩივრის ფოსტისათვის ჩაბარების დამადასტურებელი ქვითრის დედანი.

განმცხადებლის მოსაზრებით, საკასაციო საჩივრის ფოსტისათვის ჩაბარების დამადასტურებელი ქვითრის საქმეში არსებობის პირობებში, უზენაესი სასამართლო არ გამოიტანდა განჩინებას მისი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. ამასთან, სს "ბ. შ. ფ-ა" მითითებულ ქვითარს საკასაციო საჩივარს თან ვერ დაურთავდა, რადგან მას ეს ქვითარი მას შემდეგ მიაწოდეს, რაც საკასაციო საჩივარი ჩაჰბარდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კანცელარიას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი მიიჩნევს, რომ სახეზეა საქმეზე წარმოების განახლების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, რაც სს "ბ. შ. ფ-ას" განცხადების დაკმაყოფილებას და საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების განახლებას განაპირობებს.

საკასაციო სასამართლოში განცხადების განხილვისას განმცხადებელმა წარმოადგინა თნთ-ს (საფოსტო ორგანიზაცია, რომლის მეშვეობითაც სს "ბ. შ. ფ-ამ" გზავნილი გააგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში) დირექტორის ცნობა. აღნიშნული ცნობით ირკვევა, რომ სს "ბ. შ. ფ-ას" გზავნილი (#000003237) სააპელაციო სასამართლოში შპს "სკს-ს" მეშვეობით გაიგზავნა 2009 წლის 4 მარტს, ხოლო ეს გზავნილი სასამართლოს ჩაჰბარდა 9 მარტს. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სექტორის სპეციალისტის მიმართვა სს "ბ. შ. ფ-ას" წარმომადგენელ ს. რ-შვილისადმი, რომელშიც განმარტებულია, რომ ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სექტორის მისაღების კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალში 2010 წლის 9 მარტს გატარებულ საკასაციო საჩივარზე ნომრით 2/1974, დანართის სახით მითითებული ასო "კ" ნიშნავს კონვერტს. მიმართვას თან ერთვის კორესპონდენციის რეგისტრაციის აღნიშნული ჟურნალიდან ამონარიდის ასლი.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, განცხადების საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, განახლდეს საქმეზე წარმოება, შემდეგ გარემოებათა გამო:

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საქმის მასალებთან ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ სს "ბ. შ. ფ-ას" მიერ საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაიგზავნა ფოსტის მეშვეობით -2009 წლის 4 მარტს, საკასაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში. საკასაციო საჩივარზე არსებულ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მისაღების შტამზე იმ გრაფაში, სადაც დაფიქსირებულია ფურცლების რაოდენობა, მითითებულია ასო "კ", რაც სააპელაციო სასამართლოს განმარტებით ნიშნავს, რომ საჩივარი სასამართლოში შევიდა კონვერტით, ე.ი. ფოსტის მეშვეობით.

ამდენად, სახეზეა საქმის წარმოების განახლების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, რის გამოც სს "ბ. შ. ფ-ას" განცხადება ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლით, 430-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

სს "ბ. შ. ფ-ას" (წარმომადგენელი ს. რ-შვილი) განცხადება დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19  
მარტის განჩინება და საქმეზე განახლდეს წარმოება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

### განჩინება

#ა-851-ა-9-2010 28 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გაუქ-  
მება, სამკვიდრო მოწმობის გაცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის გან-  
ჩინებით დ. ზ-იას, ი. და რ. მ-შვილების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად  
დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემ-  
ბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დ. ზ-იას, ი. და რ. მ-შვილების სარჩელები ნაწილობრივ  
დაკმაყოფილდა -გ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს  
ე. ბენდელიანის მიერ 2008 წლის 28 მარტს გაცემული დადგენილება სანოტარო მოქმედების შეს-  
რულებაზე უარის თქმის შესახებ, ი. მ-შვილის სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსს დაევა-  
ლა სამკვიდრო მოწმობების გაცემა დ. ზ-იას, ი., რ. და გ. მ-შვილების მიმართ მამკვიდრებლის  
დანაშთი ქონების 1/4-1/4-ზე.

2010 წლის 16 აპრილს დ. ზ-იამ, რ. და ი. მ-შვილებმა განცხადებით მიმართეს სასამარ-  
თლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 9 მარტის განჩი-  
ნების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ შემდეგი საფუძველით: საკასაციო სასა-  
მართლოში საქმის ზეპირი განხილვისას სასამართლო სხდომის ჩაწერა ხორციელდებოდა ტექნიკური  
საშუალებებით, თუმცა მოგვიანებით, როდესაც კასატორმა მოითხოვა სასამართლო სხდომის ოქმისა  
და შესაბამისი ჩანაწერის ჩაბარება, მას გადაეცა სასამართლო სხდომის მდივნის მიერ წერილობით  
შესრულებული ოქმი და განემარტა, რომ ჩანაწერი დაზიანდა და სხდომის ჩაწერა ხდებოდა სხდო-  
მის მდივნის მიერ ხელნაწერი ოქმის სახით.

აღნიშნული გარემოება სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან როგორც საქმეში მონაწილე მხა-  
რეებმა, ისე სასამართლო სხდომათა დარბაზში დამსწრე კასატორის ოჯახის ახლობლებმა დააფიქ-  
სირეს ის ფაქტი, რომ საქმის განხილვის მიმდინარეობას სასამართლო სხდომის მდივანი იწერდა  
არა ხელით, არამედ სპეციალური ტექნიკური საშუალებით.

სადავო სასამართლო სხდომის ოქმის შინაარსი გაყალბებულია და საქმის განხილვისას მხარეთა  
მიერ ახსნა-განმარტებებს არ შეიცავს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო კასატორი მხარის სა-  
სარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებდა. ამდენად, უნდა ჩაითვალოს, რომ სასამართლო სხდომის  
ოქმი არ არსებობს, რის გამოც მის შინაარსზე კასატორმა შენიშვნები შეგნებულად არ შეიტანა. შე-  
საბამისად, მოცემულ შემთხვევაში არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპ-  
როცესო კოდექსის 394-ე მუხლის "თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

2010 წლის 17 მაისს დ. ზ-იამ კვლავ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს შემდეგ  
გარემოებებზე მითითებით: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ეფუძ-  
ნება იმ გარემოებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 მარტის დაუსწრებელი  
გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლომ განიხილა გ. მ-შვილის სარჩელი მოპასუხე დ. ზ-იას  
მიმართ ი. მ-შვილის სამკვიდრო ქონებიდან 1/8-ის გამოყოფის თაობაზე. თბილისის საქალაქო  
სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 მაისის განჩინებით გასწორდა ზემოხ-  
სენებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა და მიეთითა, რომ გ. მ-შვილმა  
სარჩელი აღძრა არა მარტო დ. ზ-იას, არამედ ი. და რ. მ-შვილების მიმართაც. იგივე უსწორობა  
დაფიქსირებული იყო ნოტარიუს ე. ბენდელიანის განმარტებასა და დადგენილებაშიც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 მარტის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში ასევე არასწორადაა დაფიქსირებული გ. მ-შვილის მოთხოვნა -სადავო სამკვიდროდან 1/8-ის განსაზღვრა მაშინ, როდესაც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დარჩა პირველი რიგის 4 მემკვიდრე. აღნიშნულ უსწორობაზე გ. მ-შვილს რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამს. ამდენად, სასამართლომ შეგნებულად შეცვალა დავის მხარეები და სასარჩელო მოთხოვნა, რათა დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შეესვლინა შემდეგ დავის განახლების შემთხვევაში გამოყენებული აღარ ყოფილიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლი. აღნიშნული გარემოებები დ.ზ-იამ ჯერ კიდევ საქმის განხილვის დროს შენიშნა, თუმცა შეგნებულად რეაგირება არ მოახდინა და არც საკუთარ ადვოკატს არ გააცნო.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დ.ზ-იას, ი. და რ. მ-შვილების განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებისა თუ განჩინების გაუქმების, ან ბათილად ცნობის შესახებ განცხადება შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ კანონით -სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებით ზუსტად განსაზღვრულ წანამძღვრებს. აღნიშნულ დათქმაში კანონმდებელი გულისხმობს, რომ საქმის წარმოების განახლება სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების მორიგ ეტაპს არ წარმოადგენს, არამედ დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 9 მარტის განჩინებასთან მიმართებით ახლად აღმოჩენილად მიიჩნევს ამავე თარიღის სასამართლო სხდომის ოქმის არარსებობის ფაქტს.

უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ზემოხსენებული ნორმები კანონიერ ძალაში შესული განჩინების გაუქმების ან ბათილად ცნობის ასეთ საფუძველს არ შეიცავს, რის გამოც დ.ზ-იას, ი. და რ. მ-შვილების განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაუსაბუთებელია.

ასეც რომ არ იყოს, ვერ იქნება გაზიარებული განმცხადებელთა მოსაზრება 2010 წლის 9 მარტის სასამართლო სხდომის ოქმის გაყალბებასა და, შესაბამისად, არარსებობასთან დაკავშირებით მხოლოდ იმის გამო, რომ აღნიშნული საპროცესო დოკუმენტი შედგენილია არა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, არამედ სასამართლო სხდომის მდივნის მიერ წერილობითი სახით, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 289-ე-290-ე მუხლები სასამართლო სხდომის ოქმის შედგენისას ტექნიკურ საშუალებათა სავალდებულო გამოყენებას არ ითვალისწინებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო სხდომის ოქმი შედგენილია და საქმეს ერთვის კანონის მოთხოვნათა დაცვით.

რაც შეეხება მხარის მითითებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "თ" ქვეპუნქტზე, დასახელებული ნორმის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი. კანონის აღნიშნული დანაწესი ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველებს. ერთ-ერთ ასეთ საფუძველს წარმოადგენს საქმეში სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმის არარსებობა. როგორც აღინიშნა, მოცემულ საქმეს სადავო სასამართლო სხდომის ოქმი ერთვის და ზემოხსენებული ნორმა მოცემულ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება.

რაც შეეხება დ.ზ-იას 2010 წლის 17 მაისის განცხადებას, განმცხადებელი უთითებს სამივე ინსტანციის სასამართლოში, მისი მოსაზრებით, საქმის განხილვისას არსებულ დარღვევებს, რაც საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი ვერ გახდება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით და

## და ა ა დ გ ი ნ ა :

დ. ზ-იას, ი. და რ. მ-შვილების განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

#### განჩინება

#ა-1425-ა-12-2010 19 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ანდერძის ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინებით ა. ქ-იას საკასაციო საჩივარი რ. თ-ძის მიმართ დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 7 მაისის განჩინებით ა.ქ-იას საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და კასატორს დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი ა. ქ-იას ჩაჰბარდა 2010 წლის 16 მაისს, თუმცა ხარვეზის გამოსწორების მიზნით კასატორმა საკასაციო სასამართლოსათვის გასაგზავნი გზავნილი ქუთაისის საფოსტო განყოფილებას ჩააბარა 2010 წლის 22 მაისს, ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი 5-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

2010 წლის 22 ივნისს ა. ქ-იამ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს, მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო 2010 წლის 4 ივნისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველია ის გარემოება, რომ კასატორ ა. ქ-იას სასამართლო გზავნილი ხარვეზის დადგენის შესახებ სასამართლო განჩინებასთან ერთად ჩააბარდა არა 2010 წლის 16 მაისს, როგორც ეს საკასაციო პალატის გასაჩივრებულ განჩინებაშია მითითებული, არამედ 2010 წლის 17 მაისს. შესაბამისად, 2010 წლის 22 მაისს ხარვეზის გამოსწორების მიზნით საფოსტო განყოფილებისათვის მიმართვით მხარეს საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი 5-დღიანი ვადა არ დაურღვევია და მისი საკასაციო საჩივარი არასწორად დარჩა განუხილველად.

განმცხადებელმა აღნიშნულ განცხადებას დაურთო შპს "საქართველოს ფოსტის" ფილიალ "ქუთაისის ფოსტის" უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გაცემული ცნობა თანდართული მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი "ფორმა #8-ის" ქსეროასლით.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ქ-იას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებისა თუ განჩინების გაუქმების ან ბათილად ცნობის შესახებ განცხადება შეიძლება ეფუძ-



ნებოდეს მხოლოდ კანონით –სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებით ზუსტად განსაზღვრულ წანამდღვრებს.

მოცემულ შემთხვევაში საქმის წარმოების განახლებას მოითხოვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამასთან, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

კანონის ზემოხსენებული დანაწესი ცხადყოფს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას შეიძლება საფუძველად დაედოს მხარის მიერ საქმის წარმოების დასრულების შემდეგ ისეთი გარემოების შეტყობა, რომლებსაც საქმის განხილვის პერიოდში მისი სასამართლოსათვის წარდგენის შემთხვევაში შეეძლო არსებითად ზეგავლენა მოეხდინა საქმის განხილვის შედეგზე. ამასთან, მხარე ვალდებულია, სათანადო მტკიცებულების წარდგენის გზით დაადასტუროს მის მიერ მითითებული გარემოების ნამდვილობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელმა ასეთი გარემოების არსებობა სარწმუნოდ ვერ დაადასტურა, კერძოდ:

განმცხადებლის მითითებით, მას საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 7 მაისის განჩინება ა. ქ-იას საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ ჩაჰბარდა 2010 წლის 17 მაისს, რაც დასტურდება "საქართველოს ფოსტის" ფილიალ "ქუთაისის ფოსტის" უფროსის მოვალეობის შემსრულებელ მ. ჩ-ის მიერ 2010 წლის 17 ივნისს გაცემული #165 ცნობით და "ფორმა #8-ის" ქსეროასლებით. დასახელებული დოკუმენტებით ფიქსირდება, რომ ა. ქ-იას სასამართლო გზავნილი ჩაბარდა 2010 წლის 17 მაისს, თუმცა მათი შინაარსიდან არ ირკვევა, თუ რამ (საფოსტო განყოფილების მუშაკის შეცდომამ თუ სხვა გარემოებამ) განაპირობა საკასაციო სასამართლოსათვის გაგზავნილ საფოსტო შეტყობინებაში ა. ქ-იასათვის ამავე სასამართლო გზავნილის ჩაბარებად 2010 წლის 16 მაისის მითითება.

ამდენად, საქმის მასალებში წარმოდგენილია კასატორ ა. ქ-იას მიერ სასამართლო გზავნილის მიღების დამადასტურებელი ერთისა და იმავე ორგანიზაციის გაცემული ორი სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტი, რომელთაგან საკასაციო სასამართლო სარწმუნოდ მიიჩნევს შპს "საქართველოს ფოსტის" მიერ სათანადო ფორმით შესრულებულ და ბეჭდით დამოწმებულ შეტყობინებას საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ, რომელზეც გარკვევითაა აღნიშნული მხარისათვის გზავნილის ჩაბარების თარიღი –2010 წლის 16 მაისი. სასამართლო თვლის, რომ დასახელებულ მონაცემთა უზუსტობა მხარეს სათანადოდ არ დაუსაბუთებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის განჩინება კანონიერია და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მისი გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველზე განმცხადებელს არ მიუთითებია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ა. ქ-იას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

### განჩინება

#ვ-437-ა-11-2010

21 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სა-  
მოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების  
განახლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 17 ივლისს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ყ-შვილმა მოპასუხეების -მ. ჭ-ძისა და ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის არბიტრ ქ. ფ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებისა და სამტრედიაში, ... ქ. #145-ში მდებარე უძრავ ქონებაზე მ. ჭ-ძის საკუთრების უფლების გაუქმება.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მ. ყ-შვილის და, ი. ყ-შვილი 1985 წელს ცოლად გაჰყვა აწ გარდაცვლილ შ. ჭ-ძეს. ისინი ქორწინების რეგისტრაციაში გატარდნენ 1986 წელს. თა-  
ნაცხოვრების პერიოდში შვილი არ შესძენიათ.

1997 წლის 5 მაისს გარდაიცვალა ი. ყ-შვილის ქმარი. მისი გარდაცვალების შემდეგ ი. ყ-  
შვილმა, როგორც კანონით პირველი რიგის მემკვიდრემ, მიიღო გარდაცვლილის სამკვიდრო ქონე-  
ბა, რაზეც ნოტარიუსმა ქ. ჭ-ძემ 2000 წლის 29 მაისს გასცა კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწ-  
მობა. მითითებულ ქონებას ი. ყ-შვილი ფლობდა გარდაცვალებამდე, რაც მის მაზლს -შ. ჭ-ძეს  
სადავოდ არ გაუხდია. ი. ყ-შვილი გარდაიცვალა 2008 წლის 16 თებერვალს.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ი. ყ-შვილის დანაშთი ქონება მის საკუთრებაში უნდა აღრიცხუ-  
ლიყო, ვინაიდან ა. ი. ყ-შვილს პირველი რიგის კანონით ან ანდერძით მემკვიდრე არ ჰყავდა,  
ხოლო მოსარჩელე წარმოადგენდა მეორე რიგის კანონით მემკვიდრეს; ბ. გარდაცვლილის მკურნა-  
ლობასა და დაკრძალვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი მოსარჩელეს ჰქონდა გაღებული; გ. მო-  
სარჩელემ კანონით დადგენილ 6-თვიან ვადაში სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში  
შეიტანა განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ, სამკვიდრო მოწმობა ჯერ არ აუღია, რადგან არ  
გასულა აღნიშნული 6-თვიანი ვადა.

მოსარჩელე ასევე აღნიშნავდა, რომ ი. ყ-შვილის გარდაცვალების შემდეგ ამ უკანასკნელის და-  
ნაშთ ქონებაზე წარმოეჭა დავა მ. ჭ-ძესთან. ეს უკანასკნელი სამტრედიის პოლიციის თანამშრომ-  
ლების მიერ გაფრთხილებულ იქნა, არ მიეყენებინა შეურაცხყოფა მ. ყ-შვილისათვის. ამასთან,  
მოდავე მხარეებს განემარტათ, რომ არსებული სამოქალაქო დავის გადასაწყვეტად უნდა მიემართათ  
სამტრედიის რაიონული სასამართლოსათვის. მიუხედავად ამისა, ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო  
არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე, მ. ჭ-ძემ საკუთრებაში აღი-  
რიცხა სამტრედიაში, ... ქ. #145-ში (ყოფილი ... ქ. #205) მდებარე ი. ყ-შვილის უძრავი  
ქონება. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ აღნიშნულით ილახებოდა მისი, როგორც მემკვიდრის, უფ-  
ლებები, რაც სარჩელის დაკმაყოფილებას განაპირობებდა.

მოპასუხე მ. ჭ-ძემ იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა მ. ყ-შვილისა და  
ნოტარიუს ქ. ჭ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ნოტარიუს ქ. ჭ-ძის მიერ აწ გარდაცვლილი  
ი. ყ-შვილის სახელზე გაცემული 2000 წლის 29 მაისის კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის  
ბათილად ცნობა.

შეგებებული სარჩელის ავტორი განმარტავდა, რომ ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრა-  
ჟის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით იგი ცნობილ იქნა პირველი რიგის მემკვიდრედ აწ  
გარდაცვლილი დედის -ვ. ჭ-ძის დანაშთ საცხოვრებელ სახლზე მდებარე სამტრედიაში, ... ქ.  
#145-ში, რომლის მიწის ნაკვეთის ფართობი 3702.0კვ.მ, საცხოვრებელი სახლის ფართობი კი  
120.6კვ.მ. ამავე ქონებაზე 2008 წლის 29 მაისს ნოტარიუსმა ქ. ჭ-ძემ გასცა კანონისმიერი მემ-  
კვიდრეობის მოწმობა ი. ყ-შვილის სახელზე.

იმ საფუძველით, რომ, საარქივო ცნობის შესაბამისად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონება წარმო-  
ადგენდა მ. ჭ-ძის დედის -ვ. ჭ-ძის საკუთრებას, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მასზე ი. ყ-შვილს  
(მ. ჭ-ძის რძალი) კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლება არ უნდა მიეღო, მით უფრო, იმ ვითა-  
რებაში, როდესაც არ არსებობდა ვ. ჭ-ძის შვილების თანხმობა.

შეგებებული სარჩელის ავტორის მოსაზრებით, ნოტარიუსს არ გააჩნდა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ზემომითითებული ქონების მესაკუთრე იყო შ. ჭ-ძე. მ. ყ-შვილმა, ისევე, როგორც მისმა გარდაცვლილმა დამ -ი. ყ-შვილმა, კარგად იცოდნენ, რომ სადავო სახლი ააშენა მ. ჭ-ძემ ჯერ კიდევ ვ. ჭ-ძის სიცოცხლეში და იდგა მოპასუხის ეზოში.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. ყ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის #1/56 გადაწყვეტილება, მ. ჭ-ძის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს მ. ჭ-ძემ და არბიტრმა ქ. ფ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ჭ-ძისა და ქ. ფ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება ქუთაისის კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის #1/56 გადაწყვეტილების გაუქმების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: მ. ყ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა ქუთაისის კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის #1/56 გადაწყვეტილება ვ. ჭ-ძის დანაშთ საცხოვრებელ სახლზე, მდებარე ქ. სამტრედიაში, ... ქ. #145-ში, 120.6 კვ.მ და 1486 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მ. ჭ-ძის მემკვიდრედ ცნობის ნაწილში, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა მ. ჭ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ივლისის განჩინებით მ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება მ. ჭ-ძის შეგებებულ სარჩელზე უარის თქმის შესახებ და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს; დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ ი. ყ-შვილი და შ. ჭ-ძე იყვნენ ცოლ-ქმარი. შ. ჭ-ძე გარდაიცვალა 1997 წლის 5 მაისს, ხოლო ი. ყ-შვილი - 2008 წლის 16 თებერვალს. მათ შვილი არ დარჩენიათ. შ. ჭ-ძის გარდაცვალების შემდეგ ი. ყ-შვილმა კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის საფუძველზე მიიღო შ. ჭ-ძის სამკვიდრო -სამტრედიაში, ... ქ.#145-ში მდებარე სადავო საცხოვრებელი სახლი.

ი. ყ-შვილის გარდაცვალების შემდეგ მისმა მაზლმა -მ. ჭ-ძემ მიმართა ქუთაისის მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟს თავისი ქალიშვილის -ი. თ-ძის წინააღმდეგ და მოითხოვა სამტრედიაში, ... ქ.#145-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე, როგორც დედამისის -ვ. ჭ-ძის დანაშთ ქონებაზე, მემკვიდრედ ცნობა. ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით მ. ჭ-ძე ცნობილ იქნა სამტრედიაში, ... ქ.#145-ში მდებარე ვ. ჭ-ძის დანაშთ საცხოვრებელ სახლზე პირველი რიგის მემკვიდრედ.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის მიერ საქმე განხილულია და სადავო გადაწყვეტილება გამოტანილია "კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი საქმის განხილვის წესების დარღვევით, რაც ამ კანონის 43-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მისი გაუქმების საფუძველია, კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კერძო არბიტრაჟს განსახილველად გადაეცემა პირებს შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა ანუ საარბიტრაჟო განხილვის საგანი შეიძლება იყოს მხარეთა შორის რეალურად სადავო სამართალურთიერთობა. მოცემულ შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვის მხარეებს წარმოადგენდნენ მ. ჭ-ძე და მისი ქალიშვილი ი. თ-ძე, რომელთა შორის სამტრედიაში, ... ქ.#145-ში მდებარე სადავო საცხოვრებელი სახლის, როგორც ვ. ჭ-ძის დანაშთი ქონების მემკვიდრეობის საკითხი, საქმის მასალების თანახმად, არასოდეს ყოფილა სადავო. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კერძო არბიტრაჟს არა აქვს განხილული სადავო სამართალურთიერთობა, რაც სწორად შეაფასა სააპელაციო სასამართლომ.

რაც შეეხება მ. ჭ-ძის შეგებებულ სარჩელს, რომლის დავის საგანსაც წარმოადგენს ი. ყ-შვილის სახელზე გაცემული 2000 წლის 29 მაისის კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის ბათილად ცნობა, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია.

შეგებებული სარჩელის მოთხოვნის საფუძველია სამტრედიაში, ... ქ.#145-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე მ. ჭ-ძის მიერ მემკვიდრეობის მიღება ფაქტობრივი დაუფლების გზით. მ. ჭ-ძე მიუთითებს, რომ დედამისი ვ. ჭ-ძე გარდაიცვალა 1982 წელს, რის შემდეგაც სამტრედიაში, ... ქ.#145-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს დაეუფლა ფაქტობრივი ფლობით. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად მ. ჭ-ძე როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ითხოვდა მოწმეთა დაკითხვას, რაზედაც სრულიად დაუსაბუთებლად ეთქვა უარი. სააპელაციო სასამართლოს მ. ჭ-ძის მიერ სადავო უძრავი ქონების ფაქტობრივი დაუფლების გზით მემკვიდრეობით მიღების საკითხზე არ უმსჯელია. ამასთან, მიმართებით საქმის მასალები არ გამოუკვლევია და არც შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები დაუდგენია.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე, მათ შორის, მოწმეთა დაკითხვის მეშვეობით, უნდა გამოარკვიოს, სამტრედიაში, ... ქ.#145-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი შედიოდა თუ არა 1982 წელს გარდაცვლილი ვ. ჭ-ძის სამკვიდრო მასაში და ვინ მიიღო მემკვიდრეობა აღნიშნულ სახლზე, მათ შორის, ფაქტობრივი ფლობით - მხოლოდ შ. ჭ-ძემ, მხოლოდ მ. ჭ-ძემ, თუ ორივემ ერთად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის განჩინებით მ. ჭ-ძის სააპელაციო საჩივარი სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის ნაწილში - გაუქმების მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა; ამ ნაწილში უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ჭ-ძეს დედის - ვ. ჭ-ძის გარდაცვალების შემდეგ ფაქტობრივი ფლობით არ მიუღია სამკვიდრო. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მტკიცება იმის თაობაზე, რომ მ. ჭ-ძემ მიიღო დედის - ვ. ჭ-ძის დანაშთი ქონება, ქ. სამტრედიაში, ... ქ. #145-ში.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება, ვინაიდან, საბინაო წიგნის თანახმად, შ. ჭ-ძე სარგებლობდა 60 კვ.მ საცხოვრებელი სახლით, შესაბამისად, ი. ყ-შვილი ვერ გახდებოდა 120 კვ.მ საცხოვრებელი ფართის მესაკუთრე.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სამტრედიაში, ... ქ. #145-ში მდებარე 120 კვ.მ სახლი და 1486 კვ.მ მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა შ. ჭ-ძის საკუთრებას 2000 წლისათვის, ვინაიდან იგი სადავო ქონების მფლობელია 1984 წლიდან. სამართლებრივ საფუძველად სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე, ამავე კოდექსის 1336-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაზე, ამავე კოდექსის 1328-ე მუხლის პირველ ნაწილზე და 1421 მუხლის მე-2 ნაწილზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო სახლი 1984 წლიდან ეკუთვნოდა შ. ჭ-ძეს. გარდაცვალებამდე შ. ჭ-ძე და მისი მეუღლე ი. ყ-შვილი ცხოვრობდნენ ვ. ჭ-ძესთან (შ. ჭ-ძის დედასთან) სამტრედიაში, ... ქ. #145-ში. შესაბამისად, მიწა და სახლი, 1976 წლის ზონარეგულირების წიგნის თანახმად, ეკუთვნოდა ვ. ჭ-ძესა და შ. ჭ-ძეს, ხოლო ვ. ჭ-ძის გარდაცვალების შემდეგ შ. ჭ-ძეს და მის მეუღლეს ი. ყ-შვილს, რომელთაც შვილი არ ჰყავდათ. ვ. ჭ-ძის გარდაცვალების შემდეგ მისი დანაშთი ქონების მემკვიდრე გახდა შ. ჭ-ძე ფაქტობრივი ფლობით, რომლის პირველი რიგის მემკვიდრე იყო მისი მეუღლე ი. ყ-შვილი, ხოლო ი. ყ-შვილის გარდაცვალების შემდეგ, ვინაიდან მას არ ჰყავდა პირველი რიგის მემკვიდრე, სადავო ქონების მესაკუთრე მემკვიდრეობით გახდა ი. ყ-შვილის და მ. ყ-შვილი (მეორე რიგი კანონისმიერი მემკვიდრე), ხოლო, რაც შეეხება მ. ჭ-ძეს, ის ცხოვრობდა სხვა სახლში, კერძოდ სამტრედიაში, ... ქ. #143-ში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ჭ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მარტის განჩინებით კასატორს საკასაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზის შევსების ვადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განჩინებით მ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის განჩინებაზე, დარჩა განუხილველი. საკასაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მიიჩნია, რომ კასატორმა სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი.

მ. ჭ-ძემ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიმართა განცხადებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. განმცხადებელი აღნიშნული მოთხოვნის საფუძველად მიუთითებს იმ გარემოებას, რომ ხარვეზი დროულად შეავსო, მაგრამ ბაჟის გადახდის ქვითარი საკასაციო პალატისთვის არ წარმოდგენია, რადგან ჩათვალა, რომ სახელმწიფო ბაჟის ბანკში გადახდით ინფორმაცია ავტომატურად სასამართლოსთვის გახდებოდა ცნობილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ განცხადებას, თანდართულ მტკიცებულებას და მიაჩნია, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, 2010 წლის 4 მარტის განჩინებით მხარეს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა ბაჟის დამადასტურებელი ქვითრის სასამართლოში წარმოსადგენად. მხარეს დადგენილ ვადაში სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია ბაჟის გადახდის ქვითარი, რის გამოც საკასაციო პალატის 2010 წლის 12 აპრილის განჩინებით მ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

თუ რა შეიძლება გახდეს დამთავრებული საქმის წარმოების განახლების საფუძველი, განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

აღნიშნული კოდექსის 421-ე მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წინამძღვრები.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელმა სასამართლოს მიმართა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე ახლად აღმოჩენილ გარემოებაზე მითითებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

განცხადების ავტორი განმარტავს და, შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მან ხარვეზი შეავსო დადგენილ ფარგლებში, საბანკო ანგარიშზე გადაიხადა განსაზღვრული ბაჟის ოდენობა, მაგრამ ბაჟის გადახდის ქვითარი საკასაციო პალატისთვის არ წარმოუდგენია, რადგან ჩათვალა, რომ სახელმწიფო ბაჟის ბანკში გადახდით ინფორმაცია ავტომატურად სასამართლოსთვის გახდებოდა ცნობილი. ამის დასადასტურებლად წარმოადგინა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, მართალია, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელ ქვითარზე აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ბაჟი გადახდილია 2010 წლის 19 მარტს, მაგრამ მურამ ჭ-ძემ სასამართლოში აღნიშნული ქვითარი წარმოადგინა დაგვიანებით. მას სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოედგინა არა 2010 წლის 4 მაისს, არამედ - 2010 წლის 22 მარტის ჩათვლით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, ვინაიდან უზენაეს სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი წარმოდგენილ იქნა დაგვიანებით, მიიჩნევა, რომ საპროცესო მოქმედება არ შესრულებულა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სწორად დატოვა საკასაციო საჩივარი განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საქმის განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის მის დაკმაყოფილებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 430-ე მუხლებით და

## და ა დ გ ი ნ ა :

მ. ჭ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განჩინების, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

მ. ჭ-მეს დაუწმინდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახილი სახელმწიფო ბაჟი -300 ლარი;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

#### განჩინება

#ა-903-ა-7-10

23 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ბ. და მ. კ-ძეების წარმომადგენლის -ი. ჭ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

#### გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინებით მ. და ბ. კ-ძეების წარმომადგენლის -ი. ჭ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის გასვლის გამო.

2010 წლის 16 აპრილს მაია და ბ. კ-ძეების წარმომადგენელმა ი. ჭ-იამ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მოითხოვა უზენაესი სასამართლოს ზემოთ დასახელებული განჩინების გაუქმება და მის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადა არ გაუშვია, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება მას ჩაბარდა 2010 წლის 11 თებერვალს, ხოლო საკასაციო საჩივარი წარადგინა 15 მარტს, გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე.

საკასაციო პალატა გაეცნო ბ. და მ. კ-ძეების წარმომადგენლის -ი. ჭ-ის მიერ წარმოდგენილ განცხადებას და თვლის, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წლებით გამოსათვლელი ვადა დამთავრდება ვადის უკანასკნელი წლის შესაბამის თვესა და რიცხვში. თვეებით გამოსათვლელი ვადა გასულად ჩაითვლება ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში. თუ თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს სათანადი რიცხვი არა აქვს, მაშინ ვადა დამთავრებულად ჩაითვლება ამ თვის უკანასკნელ დღეს.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინება ზემოაღნიშნული მუხლიდან გამომდინარე სწორად იქნა განუხილველად დატოვებული, ვინაიდან საკასაციო საჩივრი შეტანილია ერთთვიანი ვადის დარღვევით.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები და იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

#### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

## და ა ა დ გ ი ნ ა :

ბ. და მ. კ-ძეების წარმომადგენლის -ი. ჭ-ის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს; უცვლელი დარჩეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინება.  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

#### განჩინება

#ას-1681-ა-16-10

7 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა მ. მ-ძემ სს "მ-ის" მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და თანხის დაკისრების შესახებ.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით მ. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მ. მ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მ. მ-ძის სარჩელი ბ. გ-ვას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე; მ. მ-ძის სარჩელზე, ბ. გ-ვას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე შეწყდა წარმოება და მას განემარტა, რომ ბ. გ-ვას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე უფლებამოსილია, მიმართოს საგამოძიებო ორგანოებს, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მ. მ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 18 მარტის განჩინებით მ. მ-ძის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.

მ. მ-ძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 18 მარტის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. მან მიუთითა, რომ მოცემული საქმის წარმოება უნდა განახლდეს სსკ-ის 423-ე მუხლის "ვ" პუნქტის შესაბამისად, რადგან მოცემულ საქმეზე განჩინებები და გადაწყვეტილებები ეყრდნობა იმას, რომ 2004 წლის 2 ივლისს სს "მ-ის" აქციონერთა საერთო კრების ოქმი გაუქმდა, რითაც მიღებულ იქნა წესდება, რომლის თანახმად, დირექტორი უფლებამოსილია, დაამტკიცოს საზოგადოების შინაგანაწესი, შესაბამისად, მოქმედებს შრომის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ზეპირი ფორმით. სრულიად იგნორირებულია სს "მ-ის" 2002 წლის 24 ივნისის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ მისი #2/355-98წ სარჩელი. აღნიშნული კრების ოქმით მიღებულ იქნა საზოგადოებაში საკონტრაქტო სისტემა, არჩეულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობა 6 კაცის შემადგენლობით, ანუ საკონტრაქტო სისტემის შემოღების უფლება უკანონო სამეთვალყურეო საბჭოს მიერ აღნიშნულ დირექტორს არ აქვს.

განმცხადებელმა ასევე მიუთითა, რომ მან მოიძია #2ა-336-02 საქმეზე მისი საკასაციო საჩივარი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 28.04.2005 წლის განჩინების გაუქმების შესახებ და სააპელაციო სასამართლოდან 28.06.10 წლის #355-2/10 წერილით ეცნობა, რომ ამის შესახებ უნდა მიემართა ზუგდიდის რაიონული სასამართლოსთვის. აღნიშნული საჩივარი მოიცავს ისეთ მტკიცებულებებს, რომელიც სასამართლოსათვის რომ ყოფილიყო ცნობილი თავის დროზე, არ დადგებოდა მისთვის არახელსაყრელი შედეგი. აქედან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა საქმის წარმოების განახლება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა განცხადება, საქმის მასალები და თვლის, რომ მ. მ-ძის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების განცხადების წანამძღვრები.

ამავე კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიიჩნევს, მის მიერ შეტანილ სარჩელს, რაც, მისი აზრით, მოიცავს ისეთ მტკიცებულებებს, რომელიც სასამართლოსათვის, რომ ყოფილიყო ცნობილი თავის დროზე, არ დადგებოდა მისთვის არახელსაყრელი შედეგი. გამომდინარე აქედან, განმცხადებელი ითხოვს საქმის წარმოების განახლებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საქმის ზეპირი განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მ. მ-ძის მიერ მითითებული გარემოებები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ახლად აღმოჩენილ გარემოებად. სარჩელის შეტანა სასამართლოში არ წარმოადგენს შესაბამის გარემოებას, რის გამოც უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება. მას შეეძლო სარჩელში მოყვანილი მტკიცებულებები და გარემოებები წარედგინა წინა ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვის დროს. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს მ. მ-ძის განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე, 431-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მ. მ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მარტის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.